ანგარიში
ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის შესახებ

2005

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

ნაწილი I - პარტნიორობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის 5

1. პარტნიორობის საფუძვლები 5
2. მნიშვნელოვანი მოვლენები 6
3. საქართველოს საგარეო პოლიტიკის ორიენტაცია 7
4. კონფლიქტების მოგვარება. 8
5. ენერგეტიკა 9
6. ვიზიტები და შეხვედრები 10

ნაწილი II - ევროკავშირის მიდგომა საგარეო დახმარების მიმართ. 13

1. ზოგადი მიმოხილვა 13
2. ევროკავშირის დახმარების სტრუქტურა 13
3. ევროკავშირის დახმარების მთავარი სფეროები. 14
4. ევროკავშირის დახმარების სტრუქტურა საქართველოში 15

ნაწილი III - საქართველოსთვის ევროკომისიის მეშვეობით გაწეული დახმარება . . 17

1. ზოგადი ინფორმაცია. 17

2. საქართველოში მიმდინარე პროგრამა „ტასისი" 18

2.1 ინსტიტუციური, სამართლებრივი, ადმინისტრაციული რეფორმების ხელშეწყობა 19

2.2 დახმარება გარდამავალი პერიოდის სოციალური შედეგების დაძლევაში . . . 23

2.3 მცირე პროექტების მომცველი პროგრამები 26

2.4 პროგრამა „ტემპუსი" 28

3. სხვა ინსტრუმენტები. 29

3.1 კონფლიქტის მოგვარება და რეაბილიტაცია 29

3.2 ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების დეპარტამენტი (Eჩჩ) 32

3.3 ევროპული ინიციატივა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში (EIDHR). 34

3.4 მაკროფინანსური დახმარება 41

3.5 სასურსათო უსაფრთხოების პროგრამა 42

3.6 არასამთავრობო ორგანიზაციების თანადაფინანსება 42

3.7 ახალგაზრდული პროგრამა 43

4. რეგიონული პროგრამები (დაფინანსებული „ტასისის" მიერ) 45

4.1 პროგრამა INOGATE 46

4.2 TRACECA 49

4.3 გარემო. 51

4.4 ნარკოტიკების საწინააღმდეგო პროგრამა 52

5. ერთობლივი ქმედებები საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის (CSFP) ფარგლებში 53

5.1 სწრაფი რეაგირების მექანიზმი 53

5.2 სხვა საქმიანობა საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის ფარგლებში . . 55

ნაწილი IV - ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების თანამშრომლობა განვითარების სფეროში 57

ავსტრია 57

ჩეხეთის რესპუბლიკა 60

დანია 62

ესტონეთი 64

ფინეთი 66

საფრანგეთი 69

გერმანია 71

საბერძნეთი 77

იტალია 80

ლიტვა 84

ნიდერლანდები 86

პოლონეთი 90

შვედეთი 91

გაერთიანებული სამეფო 96

წინასიტყვაობა

წინამდებარე ანგარიში დეტალურად აღწერს საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებულ თანამშრომლობას და ამ თანამშრომლობის კონტექსტს. ანგარიშში მოცემული ინფორმაცია შეეხება თანამშრომლობის სტრუქტურასა და იმ ძირითად პროგრამებს, რომლებსაც, ევროკავშირის სახელით, ევროკომისია აფინანსებს. ანგარიშში მოცემულია, აგრეთვე, ინფორმაცია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის არსებული ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ. ეს თანამშრომლობა დაეხმარება საქართველოსა და ევროკავშირს კიდევ უფრო გააღრმავონ მათ შორის არსებული პარტნიორული ურთიერთობები.

2004 წლის 1 მაისს, გაფართოვების შედეგად ევროკავშირს 10 ახალი წევრი სახელმწიფო შეემატა და ამ გაერთიანების საზღვრებმა აღმოსავლეთისაკენ გადაინაცვლა. როგორც კი, ახლო მომავალში, ბულგარეთი და რუმინეთი ევროკავშირის წევრები გახდებიან, ევროკავშირი, შავი ზღვის გავლით, საქართველოს მეზობელი გახდება და მასთან თანამშრომლობა კიდევ უფრო გააქტიურდება. 2004 წლის 14 ივნისს აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის „ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში“ ჩართვაც სწორედ ამის დასტურია. „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ განხორციელება ითვალისწინებს სამხრეთი კავკასიის სამივე სახელმწიფოსათვის ცალ-ცალკე სამოქმედო გეგმების შემუშავებას და მათ განხორციელებას. კონსულტაციები სამოქმედო გეგმების შესამუშავებლად 2005 წლის მეორე ნახევაში დაიწყო. საქართველოს სამოქმედო გეგმის ძირითადი ტექსტი მიღებულია და მასზე საბოლოო შეთანხმება 2006 წლის მეორე ნახევარშია დაგეგმილი. ამ გეგმის განხორციელება ხელს შეუწყობს მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ეს ურთიერთობები გასცდება უბრალო თანამშრომლობის ჩარჩოებს და მოემსახურება უფრო ღრმა ეკონომიკურ ინტეგრაციასა და პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავებას. სამოქმედო გეგმების განხორციელების საშუალებით, გაგრძელდება საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებით“ გათვალისწინებული თანამშრომლობა, რომელიც წინამდებარე ანგარიშშია აღწერილი.

საქართველო აგრძელებს მის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებას. 2003 წლის მიწურულს მომხდარმა მოვლენებმა ახალი მმართველობა და დიდი ცვლილებები მოიტანა. ამას მოჰყვა თავისუფალი ბაზრის, დემოკრატიის და კარგი მმართველობის ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული ახალი პოლიტიკისა და რეფორმების განხორციელება. ევროკავშირისათვის კვლავ აქტუალურია საქართველოში დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობის განმტკიცებისა და სიღარიბის დაძლევის მხარდაჭერა.

ევროკავშირი იმედს გამოთქვამს, რომ დადებითი ეკონომიკური ძვრები გავლენას მოახდენს სიღარიბის დაძლევაზე, ხოლო დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა, აქტიურ სამოქალაქო საზოგადოებასა და თავისუფალ მედიასთან ერთად, მტკიცედ მოიკიდებს ფეხს საქართველოში.

ევროკომისიის წარმომადგენლობის
ხელმძღვანელი საქართველოში
ტორბენ ჰოლცე

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის
ელჩი საქართველოში
პატრიცია ფლორი

ნაწილი I

პარტნიორობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის

1. პარტნიორობის საფუძვლები

განვლილ სამ წელიწადს საქართველოს და ევროკავშირს შორის არსებულ ურთიერთობებში დიდი მნიშნელობა ენიჭება. საქართველოში მომხდარმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებულ ურთიერთობებზე.

2004 წლის 1 მაისს 15 წევრი სახელმწიფოსაგან შემდგარ ევროპის კავშირს 10 ახალი წევრი სახელმწიფო – ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა – შეემატა. გაფართოებამ ევროკავშირის პოლიტიკურ გეოგრაფიაში ცვლილებები შეიტანა და აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე მეზობლებს ახალი გარემო შეუქმნა.

სტაბილური სამეზობლოს არსებობა ევროკავშირის საციცოცხლო ინტერესებში შედის, ამდენად, ის მეზობლებთან ურთიერთობების გაძლიერებას ცდილობს. ეს ურთიერთობები ორმხრივად მომგებიანი უნდა იყოს და მიზნად ისახავდეს უსაფრთხოების და კეთილდღეობის შექმნას. სწორედ ეს ამოცანებია დასახული 2003 წელს გამოქვეყნებულ „ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიაში."

გაფართოებულ ევროკავშირსა და მის მეზობლებს შორის ახალი გამყოფი ხაზების წარმოქმნის თავიდან აცილების და ახალ მეზობლებთან თანამშრომლობის გააქტიურების მიზნით შემუშავდა **„ევროპის სამეზობლო პოლიტიკა."**

ევროკავშირის გაფართოების შედეგად სამხრეთი კავკასია ევროპას დაუახლოვდა. მას შემდეგ, რაც უახლოეს მომავალში ბულგარეთი და რუმინეთი ევროკავშირში გაწევრიანდებიან, საქართველოს და ევროკავშირს შორის საზღვარი შავ ზღვაზე გავა. ამდენად, საქართველოში დემოკრატიის დამყარება და საბაზრო ეკონომიკის წარმატება ევროკავშირის სტრატეგიული ინტერესის საგანია. 2004 წლის 14 ივნისს ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის „ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში" გაწევრიანების შესახებ. ამით მან დაადასტურა უფრო აქტიური ჩართვა რეგიონის განვითარებაში. „ევროპის სამეზობლო პოლიტიკა" სამხრეთი კავკასიის ქვეყნებს სთავაზობს გაღრმავებულ პოლიტიკურ ურთიერთობებს და ეკონომიკურ ინტეგრაციას, რომელიც ეფუძნება საერთო ღირებულებებს, საგარეო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებს და პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ინსტიტუციურ რეფორმებს.

„ევროპის სამეზობლო პოლიტიკა" არის პროცესი, რომლის ინტენსივობა და სისწრაფე საქართველოს სურვილსა და უნარზეა დამოკიდებული. დასაწყისისთავის ევროკომისიამ მოამზადა ანგარიში საქართველოს შესახებ, რომელშიც შეფასებულია საქართველოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია, ქვეყნის ინსტიტუციური შესაძლებლობები და ცალკეულ სექტორში არსებული მდგომარეობა. **„ანგარიში საქართველოს შესახებ"** 2005 წლის მარტში გამოქვეყნდა.

"ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" ფარგლებში შემუშავდა ორმხრივი „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა." ევროკავშირმა სამოქმედო გეგმებთან დაკავშირებული მოლაპარაკებები სამხრეთი კავკასიის თითოეულ ქვეყანასთან ცალ-ცალკე გამართა და სამოქმედო გეგმები თითოეული ამ ქვეყნის საჭიროებებს და საერთო ინტერესებს მოარგო. მოლაპარაკებები საქართველოს სამოქმედო გეგმასან დაკავშირებით 2005 წლის ბოლოს დაიწყო. სამოქმედო გეგმების საბოლოო დამტკიცება 2006 წლის ოქტომბრისათვისაა მოსალოდნელი.

საქართველოს მთავრობამ მოამზადა **„ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული პრიორიტეტების ნუსხა**. ამ პრიორიტეტებში შედის: კანონის უზენაესობა, უსაფრთხოება და სტაბილურობა, საზღვრის მართვა; ადამიანების, საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება; ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია; ენერგეტიკა და ტრანსპორტი, განათლება და მეცნიერება და, აგრეთვე, მხარდაჭერა კონფლიქტის მოგვარების პროცესში. ამ სფეროებში მიმდინარე რეფორმების წარმატების სანაცვლოდ, ევროკავშირი თავის პარტნიორებს სთავაზობს უფრო მჭიდრო ინტეგრირებას ევროპულ პროგრამებსა და ქსელებში, უფრო მეტ დახმარებას და ევროკავშირის ბაზარზე გასვლის უფრო მეტ შესაძლებლობებს.

დღეს მიმდინარეობს ევროკავშირის დახმარების რეფორმირება. დახმარების ზოგიერთ ინსტიტუტს და გეოგრაფიულ და თემატური პროგრამას ჩაანაცვლებს ერთიანი **„ევროკავშირის მეზობლობისა და პარტნიორობის ინსტრუმენტი" (ENPI).** ეს ინსტრუმენტი ითვალისწინებს მდგრადი განვითარების ხელშეწყობას და ევროკავშირის პოლიტიკასთან და სტანდარტებთან მიახლოების მხარდაჭერას იმ პრიორიტეტების მიხედვით, რომლებიც სამოქმედო გეგმაშია ასახული.

საქართველოს სამოქმედო გეგმა თანამშრომლობის არსებულ ჩარჩოებს ეყრდნობა. საქართველოს შემთხვევაში ეს ჩარჩო **„პარტნიორობის და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაა" (PCA)**. ეს შეთანხმება, რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში ქმნის ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობის სამართლებრივ საფუძველს. დემოკრატიის, საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპების, ადამიანის უფლებების პატივისცემა და საბაზრო ეკონომიკის მხარდაჭერა სწორედ ის ძირითადი ელემენტებია,

რომლებსაც ევროკავშირის და საქართველოს ურთიერთობა ემყარება.

„პარტნიორობის და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების“ საშუალებით ევროკავშირმა და საქართველომ ერთმანეთს **„უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი” (MFN) მიანიჭეს**. უფრო მეტიც, საქართველო სარგებლობს **„ევროკავშირის პრეფერენციების ზოგადი სისტემით” (GSP+),** რითაც დაახლოებით 8 000 სახელწოდების ქართულ პროდუქციას საშუალება ეძლევა, შევიდეს ევროკავშირის ბაზარზე მოსაკრებლის და კვოტის გარეშე. ამ პრეფერენციების მისაღებად ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ რატიფიცირებული და შესრულებული მთავარი საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნები პოლიტიკური, ადამიანის უფლებების და შრომითი უფლებების სფეროში.

იმის დასტურად, რომ კონფლიქტების მოგვარებას ევროკავშირი რეგიონის ეკონომიკური განვითარების ძირითად პირობად მიიჩნევს, 2003 წლის ივლისში ევროკავშირის საბჭომ პირველად დანიშნა **სპეციალური წარმომადგენელი (EUSR) სამხრეთი კავკასიის რეგიონში.** სპეციალური წარმომადგენელი აღიჭურვა მანდატით, რომლის უმნიშვნელოვანეს ნაწილს სწორედ სამხეთი კავკასიის რეგიონის სამ სახელმწიფოში არსებული კონფლიქტების მოგვარების მხარდაჭერაა.

2004 წლის ივნისში საქართველოს მთავრობამ შექმნა **საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისია,** რომელსაც სათავეში ჩაუდგა პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია. კომისიის მიზანია „პარტნიორობის და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების“ განხორციელების უზრუნველყოფა და „სამეზობლო პოლიტიკის“ სამოქმედო გეგმაში მონაწილეობა. კომისიის დავალებით ყველა სამინისტროში უნდა შექმნილიყო ევროკავშირის დეპარტამენტები. წინა მთავრობამ 2003 წელს მიიღო საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზების ეროვნული პროგრამა. დღევანდელმა მთავრობამ დაავალა სამინისტროებს შეადგინონ ჰარმონიზების სამოქმედო გეგმები. პროცესის დასაჩქარებლად შეიქმნა სამინისტროთაშორისი საექსპერტო ჯგუფები.

2. მნიშვნელოვანი მოვლენები

2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუცია“ გაყალბებული საპარლამენტო არჩევნების წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვით დაიწყო და პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომით დასრულდა. **2004 წლის 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში მიხეილ სააკაშვილმა** დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. მოსახლეობის არჩევნებში 80%-იანი მონაწილეობის ფონზე მან ხმების 96,2 % მოიპოვა.

2004 წლის თებერვალში პარლამენტმა ძალზე სწრაფად მიიღო ცვლილებები კონსტიტუციაში და გააძლიერა პრეზიდენტის უფლებები, კერძოდ, მისცა პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის უფლება. კონსტიტუციაში შეტანილი იქნა **პრემიერ-მინისტრის პოსტი.** ამ პოსტზე ნოემბრის დემონტრაციების მონაწილე ოპოზიციური ტრიუმვირატის მეორე წევრი - ზურაბ ჟვანია - დაინიშნა. ტრიუმვირატის მესამე წევრი და დროებითი პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძე **პარლამენტის თავმჯდომარე** გახდა.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ნაწილობრივ გააუქმა ნოემბრის გაყალბებული არჩევნების შედეგები. **განმეორებით საპარლამენტო არჩევნებში,** რომელიც 2004 წლის 28 მარტს ჩატარდა, სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობის“ და ბურჯანაძე-ჟვანიას „დემოკრატების“ პარტიულმა ალიანსმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა და 253-დან 170 მანდატი მიიღო. 7%-იანი ბარიერი მხოლოდ მემარჯვენე ოპოზიციამ გადალახა. ოპოზიციური ალიანსი „ახალი მემარჯვენეების“ და „მრეწველების“ პარტიებისაგან შედგებოდა.

2004 წლის ივნისში ევროკომისიამ, მსოფლიო ბანკთან ერთად, უმასპინძლა **დონორი ორგანიზაციების კონფერენციას ბრიუსელში,** სადაც საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა „2004-2006 წლების სტრატეგიული ხედვა და გადაუდებელი ფინანსური პრიორიტეტები.“ საქართველოს მთავრობამ 2004-2006 წლებისათვის ოთხი ამოცანა განსაზღვრა: 1. კორუფციის აღმოფხვრა; 2. სტაბილურობის აღდგენა და მისი შენარჩუნაბა; 3. სიღარიბის შემცირება; 4. მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა.

საქართველოს მიერ წარმოდგენილ პროგრამას დონორების მხრიდან კარგი გამოხმაურება მოჰყვა. 2004-2006 წლების გადაუდებელი ამოცანების გადასაჭრელად დონორებმა **850 მილიონი ევრო** გამოყვეს. ევროკავშირმა, თავის მხრივ, 125 მილიონი ევრო გამოყო, რამაც ევროკავშირის საერთო დახმარება 2004-2006 წლებში 137 მილიონ ევრომდე გაზარდა. ევროკავშირის დახმარება 2001-2003 წლებთან შედარებით გაორმაგდა. განსაკურთებული ყურადღება დაეთმო საქართველოში სამართლებრივი სისტემის და კანონის უზენაესობის სფეროების მხარდაჭერას, ასევე, ძირითადი ინსტიტუტების პოტენციალის გაძლიერებას საქართველოს პარლამენტის ჩათვლით.

2004 წლის მაისში მოსახლეობის პროტესტს აჭარის **ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის ასლან აბაშიძის გადადგომა მოჰყვა**. აჭარის პარლამენტის, ანუ აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნები 2004 წლის 20 ივნისს ჩატარდა.

პარტიამ „გამარჯვებული აჭარა,“ რომელსაც მხარს მთავრობა უჭერდა, 30 მანდატიდან 28 მანდატი მოიპოვა. „რესპუბლიკურ პარტიას,“ რომელმაც ხმების 9% მიიღო, დარჩენილი მანდატები ერგო. თუმცა, რესპუბლიკელებმა ბრალი დასდეს ცენტრალურ ხელისუფლებას არჩევნების გაყალბებაში და შეწყვიტეს თანამშრომლობა მმართველ ფრაქციასთან „ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატები,“ რომელთანაც მანამდე კოალიცია ჰქონდათ შექმნილი.

საქართველოს პარლამენტმა მაისშივე მიიღო ორ-

განული **კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ.** კანონი საქართველოს პრეზიდენტს ვრცელ უფლებამოსილებას ანიჭებს აჭარის სტრუქტურებთან მიმართებაში და, რაც მთავარია, აჭარის მთავრობის მეთაურის დასახელების უფლებას აძლევს.

2005 წლის 3 თებერვალს ერთ-ერთ ბინაში **პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ცხედარი იპოვეს.** მისი გარდაცვალების მიზეზად მხუთავი აირით მოწამლვა დასახელდა, რაც გაზის გამათბობელმა გამოიწვია. ზურაბ ჟვანიას დაკარგვით საქართველომ დაკარგა ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი პოლიტიკოსი. პრემიერ-მინისტრის პოსტი ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ჩაიბარა.

3. საქართველოს საგარეო პოლიტიკის ორიენტაცია

საქართველოს მდებარეობა შავ ზღვას, რუსეთს, სომხეთს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ამ ქვეყანას, მიუხედავად მისი მცირე ზომისა, დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს. საქართველო ვითარდება და შავი ზღვის და უფრო ვრცელი, კასპიის ზღვის რეგიონის კარიბჭის როლს იმკვიდრებს.

საქართველო გაერთიანებული ერების, ევროპის საბჭოს, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო), დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ), შავი ზვის თანამშრომლობის ორგანიზაციის (ბისეკი), სუამის (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა), საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ), მსოფლიო ბანკის და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის წევრი სახელმწიფოა. საქართველომ ხელი მოაწერა „ხელშეკრულებას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ“ და 2000 წელს გახდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი.

საქართველოს საგარეო პოლიტიკა ორიენტირებულია **ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში და ევროპის კავშირში ინტეგრირებაზე.** ეს მიმართულება საქართველოს წინა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განსაზღვრა. საქართველოს დღევანდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ამ ორივე ამოცანის შესრულება დღევანდელი საქართველოს პირველი რანგის პრიორიტეტს წარმოადგენს გრძელვადიან პერსპექტივაში.

სამხრეთი კავკასიის სახელმწიფოებიდან საქართველო პირველი შეუერთდა ნატოს **„ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმას” (IPAP)** 2004 წლის ოქტომბერში. 2005 წელს მას აზერბაიჯანი და სომხეთი შეუერთდნენ. ნატოს „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა,“ რომელიც 2002 წლის პრაღის სამიტმა დაამტკიცა, საშუალებას აძლევს ქვეყნებს გააღრმავონ თანამშრომლობა ნატოსთან. ნატოს შეფასებით „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებული რეფორმის შესრულებაში საქართველომ საგრძნობ წარმატებას მიაღწია. შემდეგი ნაბიჯი არის „ინტენსიური დიალოგი“ (ID), რომელიც ნატოში გაწევრიანების წინა ეტაპად აღიქმება.

საქართველოს მტკიცე დასავლურმა ორიენტაციამ გაართულა მისი ურთიერთობა **ჩრდილოეთის მეზობელთან რუსეთთან.** 2004 წლის დასაწყისში ახლადარჩეული პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პირველად მოსკოვს ესტუმრა, სადაც ის შეხვდა თავის კოლეგას პრეზიდენტ პუტინს. რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და პოლიტიკოსები მიესალმნენ ამ ვიზიტს და შეაფასეს ის, როგორც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ახალი, პოზიტიური ეტაპის დასაწყისი. თუმცა, ამ ორ ქვეყანას შორის მუდმივი დაძაბულობის გამო, ოპტიმისტური განწყობა დიდხანს არ გაგრძელებულა.

რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანა საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობებში დიდი ხნის მოუგვარებელ საკითხად რჩებოდა. სტამბულის შეთანხმების თანახმად, რომელსაც ორივე მხარემ 1999 წლის ეუთოს სამიტზე მოაწერა ხელი, რუსეთი დათანხმდა, დაეცალა გუდაუთის და ვაზიანის სამხედრო ბაზები 2001 წლისათვის და შეემუშავებინა დარჩენილი ორი ბაზის გაყვანის გრაფიკი. რამოდენიმე წლის განმავლობაში ამ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ უმნიშვნელო წინსვლა შეინიშნებოდა. მოსკოვმა რამოდენიმეჯერ გადადო ბაზების გაყვანის თარიღი და არგუმენტად ის მოიშველია, რომ ბაზების გასაყვანად მას მილიონობით დოლარი და მრავალი წელი დასჭირდებოდა.

გაჭიანურებული მოლაპარაკეების შედეგად, 2005 წლის 15 მაისს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა და საქართველოს იმჟამინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას. დეკლარაციაში აღწერილი იყო ახალქალაქსა და ბათუმში მდებარე რუსეთის სამხედრო ბაზების ეტაპობრივი გაყვანა. დეკლარაციაში აღნიშნული იყო, აგრეთვე, საზღვრის დელიმიტაციასთან და კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული საკითხები.

შემდგომ შეთანხმებაში, რომელსაც 2006 წლის მარტში სოჭში მოეწერა ხელი, მოცემულია აღნიშნული სამხედრო ბაზების 2008 წლამდე გაყვანის განრიგი, მექანიზმი და წესები, ასევე, რუსეთის სამხედრო კონტინგენტის და ტვირთების ტრანზიტის პირობები. სამხედრო ტექნიკის გაყვანის პროცესი 2005 წელს დაიწყო და 2007 წლის მიწურულს უნდა დასრულდეს.

2006 წლის მარტში რუსეთის მთავარმა სანიტარულმა დეპარტამენტმა განაცხადა, რომ თითქოს **ქართული** და **მოლდავური წარმოშობს ღვინოებში პესტიციდების კვალი იყო აღმოჩენილი** და მათი რუსეთში შეტანა აიკრძალა. 2006 წლის მაისში რუსეთმა აკრძალა საქართველოდან მინერალური წყლების „ბორჯომისა“ და „ნაბეღლავის“ იმპორტი და მიზეზად მათი ფალსიფიცირება და დაბალი ხარისხი დაასახელა. 2005 წლის დეკემბერში რუსეთმა, ისევ სანიტარული უსაფრხოების საბაბით, ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტზე დროებითი

შეზღუდვები დააწესა. 2005 წელს ქართული ღვინის 90% და მინერალური წყლების 60% რუსეთის ბაზარზე გადიოდა. ფულად ერთეულებში ეს არის ღვინის ექსპორტიდან - 63 მილონი დოლარი, მინერალური წყლების ექსპორტიდან კი - 24 მილიონი დოლარი.

საქართველოს მთავრობა არ უარყობს, რომ ქართული ღვინის წარმოებაში არსებობს ხარიხთან დაკავშირებული პრობლემები, რაც, ხშირად, დანამატების ან უხარისხო ყურძნის ჯიშების შერევის გამო იქმნება. თუმცა, აკრძალვას ქართული მხარე პოლიტიკური მიზეზით გამოწვეულ ეკონომიკურ ემბარგოდ აღიქვამს. ქართული მხარის წარმომადგენელთა მცდელობა, შეხვედროდნენ რუსეთის წარმომადგენლებს და კრიზისის დაძლევის გზებზე ემსჯელათ, რუსეთის მხარის უარის გამო წარუმატებელი აღმოჩნდა. ქართველი მეღვინეების მძიმე მდგომარეობის გამოსწორების მიზნით მთავრობამ მათთვის დროებითი საგადასახადო შეღავათები დააწესა. რუსეთში ღვინის იმპორტის აკრძალვის დღიდან საქართველოს მთავრობა გამუდმებით ეძებს ახალ ბაზრებს ქართული პროდუქციისათვის.

4. კონფლიქტების მოგვარება

მოუგვარებელი კონფლიქტები საქართველოს განვითარების ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორია. სწორედ ამიტომ, პრეზიდენტმა კონფლიქტების მოგვარება ქვეყნის ძირითად პრიორიტეტად გამოაცხადა.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში (სამხრეთი ოსეთი) მიმდინარე მოუგვარებელი ტერიტორიული დავების გამო, საქართველოს ტერიტორიის თითქმის 18% ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს არ ექვემდებარება. ამ ორმა კონფლიქტმა 300 000-ზე მეტი ადამიანი იძულებით გადაადგილებულ პირად აქცია. ორივე კონფლიქტი იმ სამოქალაქო ომების შედეგია, რომლებიც 1991 წელს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოჰყვა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ოფიციალურად ცნობდა საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, 1993 წლიდან მან გააძლიერა გავლენა **აფხაზეთზე**. აფხაზეთსა და რუსეთს შორის სავაჭრო კავშირები სულ უფრო მყარდება.

2001-2004 წლებში **სამხრეთ ოსეთში** კონტრაბანდა ყვაოდა. 2004 წლის მაისში, ანტიკორუფციული კამპანიის ფარგლებში, საქართველოს მთავრობამ ცხივნალის რეგიონში დაიწყო კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა. ამას მოჰყვა სიტუაციის დაძაბვა უსაფრთხოების თვალსაზრისით, ხოლო 2004 წლის აგვისტოში, პირველად რამოდენიმე წლის განმავლობაში, დაძაბულობას ადამიანების დაიღუპვა მოჰყვა. 2004 წლის ნოემბერში აწგარდაცვლილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია შეხვდა სამხრეთი ოსეთის ლიდერს კოკოითს, თუმცა დაძაბულობა არ განიმუხტა და შეტაკებებიც გახშირდა.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკომისია არ არის უშუალოდ ჩართული კონფლიქტების პოლიტიკური მოგვარების საკითხებში, ის აქტიურად უჭერს მხარს კონფლიქტის ორივე ზონის ეკონომიკურ რეაბილიტაციას და მხარეებს შორის ნდობის აღდგენის ღონისძიებებს. დღეისათვის ევროკომისია აფხაზეთისთვისა და სამხრეთი ოსეთისთვის ყველაზე დიდი დონორია.

2005 წლის ნოემბრიდან 2006 წლის თებერვლამდე ეუთო იკვლევდა **სამხრეთი ოსეთის საჭიროებებს** დახმარების თვალსაზრისით. ეს კვლევა ძირითადად აშშ განვითარების სააგენტომ დააფინანსა, თუმცა მის დაფინანსებაში წვლილი მიუძღვით ევროკომისიას და ბელგიის, საფრანგეთის და ნიდერლანდების მთავრობებს. შესწავლილ იქნა ექვსი სექტორი: სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, სოციალური ინფრასტუქტურა, ბიზნესის განვითარება, ფინანსები და გზები. კვლევამ შექმნა საფუძველი კონფლიქტის ზონაში ეკონომიკური და ინფრასტრუქტურის რეაბილიტირების პროექტებისათვის წინადადებათა პაკეტის შესამუშავებლად. ეს პაკეტი წარმოდგენილი იქნა დონორთა კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა 2006 წლის ივნისში ბრიუსელში, ბელგიის, როგორც ეუთოს თავმჯდომარე ქვეყნის ეგიდით. დასავლელმა დონორებმა 7.9 მილიონი ევრო გამოყვეს, საიდანაც ევროკომისიის წილი 2 მილიონი ევროა, ხოლო აშშ-ს წილი - 2 მილიონი დოლარი.

2005 წლის ოქტომბერში საქართველოს პრემიერ მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ეუთოს მუდმივმოქმედ საბჭოს ვენაში პრეზიდენტი სააკაშვილის მიერ შეთავაზებული **სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების უახლესი გეგმა** წარუდგინა. თავდაპირველად, ეს გეგმა სააკაშვილმა 2004 წლის სექტემბერში გაეროს ასამბლეაზე წარადგინა, ხოლო გეგმის განახლებული, უფრო დეტალური ვარიანტი 2005 წლის იანვარში სტრასბურგში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას წარუდგინა. 2005 წლის დეკემბერში სამხრეთი ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი გამოვიდა ინიციატივით ქართულ და ოსურ მხარეებს ერთობლივად ემუშავათ სამშვიდობო გეგმაზე.

როგორც ქართული, ისე ოსური მხარის მიერ შემუშავებული სამშვიდობო გეგმები **სამსაფეხურიანია**. პირველი საფეხური ითვალისწინებს კონფლიქტის ზონის დემილიტარიზებას, მეორე ეტაპი - ნდობის აღდგენის ღონისძიებებს, უსაფრთხოების გარანტიებს და სოციალურ და ეკონომიკურ რეაბილიტირებაზე მიმართულ ღონისძიებებს, ხოლო მესამე, საბოლო ეტაპი, კონფლიქტის პოლიტიკურ მოგვარებას ითვალიწინებს. სამშვიდობო გეგმის განხორციელება 2-3 წელზეა გათვლილი.

აფხაზეთთან დაკავშირებული სამშვიდობო გეგმის განხილვა საქართველოს მთავრობამ 2006 წელს დაიწყო. დღეისათვის მიმდინარეობს მუშაობა ორ დოკუმენტზე, ესენია: საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული **„აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდო-**

ბიანი მოგვარების სტრატეგია," რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობისათვისაა განკუთვნილი და **„აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საგზაო რუკა,"** რომელიც აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებისთვის შეიქმნა.

აფხაზეთის რკინიგზის აღდგენა, რომელიც ქართული, რუსული, სომხური და აფხაზური მხარეების მონაწილეობით მიმდინარეობს, ნდობის აღდგენისაკენ მიმართული მნიშვნელოვანი პროექტია. მოსალოდნელია, რომ მოლაპარაკებების შედეგად შეიქმნება კონსორციუმი „შავი ზღვის რკინიგზა," რომელიც მოახდენს რკინიგზის აფხაზეთში გამავალი მონაკვეთის რეაბილიტირებას. ეს პროექტი, რომლის მიახლოებითი ღირებულება 150-250 მილიონი ევროა, გააცოცხლებს ტრანსკავკასიური რკინიგზის ქსელს და საქართველოსა და სომხეთს რუსეთთან დააკავშირებს.

5. ენერგეტიკა

საქართველოსათვის ენერგეტიკა მნიშვნელოვანია როგორც მისი ტრანზიტის, ისე მისი იმპორტის თვალსაზრისით. საქართველო ენერგიაზე მოთხოვნილებას ენერგორესურსების 85%-ის იმპორტის ხარჯზე აკმაყოფილებს. 2006 წლის დასაწყისის მოვლენებმა საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე მწვავედ დააყენა ენერგეტიკული დამოუკიდებლობის და უსაფრთხოების საკითხები.

2006 წლის იანვრის დასაწყისში სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფმა რუსულმა „გაზპრომმა" გაზის ფასზე შეუთანხმებლობის გამო უკრაინას გაზის მიწოდება შეუწყვიტა. რუსული გაზის 75 % უკრაინის გაზსადენების გავლით დასავლეთი ევროპისკენ მიემართება. შესაბამისად, უკრაინისათვის გაზის შეწყვეტა ევროკავშირის რამოდენიმე წევრ სახელმწიფოს შეეხო, მათ შორის ავსტრიასა და უნგრეთს, რომლებსაც გაზის მიწოდება შეუმცირდათ. იანვრის ბოლოს რუსეთში შემავალი ჩრდილოეთი ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამავალი ორი გაზსადენი აფეთქდა და საქართველოს და სომხეთს რვა დღის განმავლობაში გაზის მიწოდება შეუწყდათ. ამან საქართველო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო, რადგან ქვეყანაში გაზის საცავები არ არის და ის მთლიანად გაზის იმპორტზეა დამოკიდებული. საქართველოს მთავრობამ რუსეთს ბრალი დასდო საბოტაჟში, თუმცა რუსეთმა ეს ბრალდება უარყო.

ამ ფონზე 2006 წლის მარტში დაიწყო დისკუსია ევროკავშირის სამომავლო ერთიან პოლიტიკაზე ენერგეტიკის სფეროში. მარტშივე გამოქვეყნდა პოლიტიკის ამსახველი წინასწარი დოკუმენტი (Green Paper), სადაც ნათლადაა მოცემული ალტერნატიული და უსაფრთხო ენერგეტიკული წყაროების მოძიების აუცილებლობა. ევროკომისარმა ენერგეტიკის საკითხებში ანდრის პიბალგსმა მის მანდატში შემავალი ექვსი პრიორიტეტული საქმიანობიდან საგარეო ენერგეტიკული ურთიერთობები ერთ-ერთ პირველ საკითხად დაასახელა. ენერგიის მოწოდების დივერსიფიცირებაზე და ენერგიის ტრანზიტზე ზრუნვის პარალელურად, გაიზარდა ევროკავშირის ინტერესი სამხრეთი კავკასიის მიმართ. 2006 წლის მარტში მსოფლიოს ენერგეტიკული საბჭოს სხდომაზე პიბალგსმა განაცხადა: „ახალი სამეზობლო პოლიტიკა განსაკუთრებით სიცოცხლისუნარიანია ენერგეტიკის სფეროში." პიბალგსი მიესალმა **ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის** ოფიციალურ გახსნას 2006 წლის ივნისში და ის ენერგიის დივერსიფიცირების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ნაბიჯად მიიჩნია.

1760 კმ-იანი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საშუალებით კასპიის ზღვიდან საქართველოს გავლით ხდება ნავთობის ტრანსპორტირება თურქეთის ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს მიმართულებით. ნავთობსადენის მშენებლობას და მის ოპერირებას ახდენს საერთაშორისო ენერგოკომპანიებისაგან შემდგარი საერთაშორისო კონსორციუმი, რომელსაც ხელმძღვანელობს კომპანია „ბრითიშ პეტროლეუმ." კონსორციუმის დანარჩენი წევრები არიან კომპანია „თურქიშ პეტროლეუმ," კომპანია „კონოკო ფილიპს," აშშ კომპანია „იუნოკალ ენდ ამერადა ჰეს," იაპონური „იტოშუ" და „ინპექსი," ნორვეგიული „სტატოილი," იტალიური „ენი" და ფრანგული „ტოტალი." ნავთობსადენის მშენებლობის მიახლოებითი ღირებულება 3 მილიონი ევროა. ნავთობსადენი სრულად მხოლოდ 2009 წელს დაიტვირთება. მოსალოდნელია, რომ 2009 წლიდან ნავთობსადენი გაატარებს ერთ მილიონ ბარელ ნავთობს დღეში. ნავთობის ტრანზიტის საფასურად საქართველო წელიწადში 70 მილიონ დოლარს მიიღებს. 2006 წლის ივნისში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს ოფიციალურად შეუერთდა ყაზახეთი. პირველ ეტაპზე ყაზახეთი ყოველწლიურად 7.5 მილიონი ტონა ნავთობის ტრანსპორტირებას აპირებს.

ნავთობსადენს გასდევს ბუნებრივი გაზსადენიც, რომელიც თბილისს, ბაქოს და თურქეთის აღმოსავლეთ ანატოლიაში მდებარე ქალაქ ერზრუმს დააკავშირებს. ეს გაზსადენი **ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის** სახელწოდებითაა ცნობილი. მოსალოდნელია, რომ გაზსადენი 2006 წლის ბოლოდან ამუშავდება და საქართველოსათვის გაზის მოწოდების ალტერნატიული გზა გახდება. ტრანზიტის შესახებ შეთანხმების თანახმად, საქართველო მიიღებს ტრანზიტის საფასურს ნატურით და შესაძლებლობა ექნება შეისყიდოს გაზის მცირე მოცულობა შეღავათიანი ფასით. დამატებითი მოცულობების შესყიდვა და მათი ფასები ცალკე მოლაპარაკების საგანია.

კიდევ ერთი პროექტი, რომლის განხილვაც მიმდინარეობს არის **საქართველო-უკრაინა-ევროკავშირის გაზსადენის** პროექტი. 700 კმ-იანი გაზსადენი საქართველოს, შავი ზღვის გავლით, უკრაინასთან და ევროპასთან დააკავშირებს და გვერდს აუქცევს რუსეთს. 2006 წლის ბოლოსათვის მოსალოდნელია წინასწარი ტექნიკური კვლევის დასრულება. პროექტის საწყისი ფაზა 2 მილიარდ აშშ დოლარადაა შეფასებული, ხოლო გაზსადენის მონახაზის შექმნას, სატენდერო პროცესსა და მის მშენებლობას მინიმუმ ხუთი წელი დასჭიდება.

6. ვიზიტები და შეხვედრები

ევროკავშირის მზარდი ინტერესი საქართველოსადმი დასტურდება იმ მაღალი რანგის წარმომადგენელთა ვიზიტებით, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელდა.

ვიზიტები თბილისში

ევროკავშირის ერთიანი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების უმაღლესი წარმომადგენელი **ხავიერ სოლანა** საქართველოში მომხდარი ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ერთ-ერთი პირველი ჩამოვიდა. ის საქართველოს, 2004 წლის იანვარში ორი დღით ეწვია და შეხვედრები გამართა დროებით პრეზიდენტთან ნინო ბურჯანაძესთან, იმჟამინდელი პრეზიდენტობის კანდიდატთან მიხეილ სააკაშვილთან და მომავალ სახელმწიფო მინისტრთან ზურაბ ჟვანიასთან. „ჩვენი შეხვედრების მიზანია გავააქტიუროთ მაღალი დონის კონტაქტები ევროკავშირსა და საქართველოს ახალ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას შორის და დავარწმუნოთ საქართველო ევროკავშირის მხარდაჭერაში," განაცხადა ხავიერ სოლანამ.

2004 წლის იანვარში, **პრეზიდენტი სააკაშვილის** ინაუგურაციაზე ევროკავშირს წარმოადგენდა ირლანდიის (**თავმჯდომარე ქვეყანა**) საგარეო საქმეთა მინისტრი ბრაიან კოუენი, აგრეთვე, **ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში ჰაიკი ტალვიტი**.

ევროკომისარი **იანეშ პოტოჩნიკი** საქართველოს 2004 წლის ივლისში ეწვია. მას შემდეგ, რაც ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება „ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა" სამხრეთი კავკასიის სამ ქვეყანაზე გაევრცელებინა, პოტოჩნიკი სამხრეთ კავკასიაში ვიზიტის ფარგლებში საქართველოსაც ეწვია. ვიზიტის მიზანი იყო „სამეზობლო პოლიტიკის" ამოცანების განმარტება და იმ ნაბიჯების ახსნა, რომლებიც ქვეყნებს უნდა გადაედგათ „სამეზობლო პოლიტიკაში" გაწევრიანების შემდეგ. პოტოჩნიკი შეხვდა პრეზიდენტ სააკაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს და პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიას.

2004 წლის სექტემბერში საქართველოში **ევროკომისიის პრეზიდენტი რომანო პროდი** ჩამოვიდა. პროდი იყო ევროკომისიის პირველი პრეზიდენტი, რომელიც საქართველოს ეწვია. მისი მარტივი გზავნილი ასეთი იყო: „იწყება საქართველოსთან თანამშრომლობის ახალი ეტაპი." პროდი პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვედა.

2005 წლის დეკემბერში საქართველოს ეწვია დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვენლობდა ევროკომისიის საგარეო ურთიერთობათა დირექტორატის ცენტრალური აზიის და კავკასიის **განყოფილების ხელმძღვანელი კურტ იუული.** დელეგაციის მიზანი იყო **კონსულტაციების პირველი რაუნდის** გამართვა „ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის" სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით. ამ კონსულტაციების დროს საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა მინისტრის მოადგილე ვალერი ჩეჩელაშვილი.

ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა და სამეზობლო პოლიტიკის ევროკომისარი ბენიტა ფერერო-ვალდნერი სამხრეთი კავკასიის სამ ქვეყანას პირველად 2006 წლის თებერვალში ეწვია. მისმა ვიზიტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ევროკომისიის სურვილი, გაამყაროს ევროკავშირსა და სამხრეთ კავკასიის შორის არსებული ურთიერთობები. „2006 წელს ჩვენს შორის არსებული პარტნიორობა ახალი, უფრო სწრაფი ტემპით უნდა განვითარდეს," განაცხადა ფერერო-ვალდნერმა თბილისში ვიზიტისას.

2006 წლის აპრილში სამხრეთ კავკასიაში **ევროკავშირის „ტროიკა"** ჩამოვიდა. მის შემადგენლობაში შედიოდნენ ავსტრიის (თავმჯდომარე ქვეყანა) საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრი ჰანს ვინკლერი, ფინეთის (შემდეგი თავმჯდომარე ქვეყანა) ელჩი საქართველოში ტერი ჰაკალა, ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი პიტერ სემნები და ევროკომისიის ცენტრალური აზიის და კავკასიის განყოფილების ხელამძღვანელი კურტ იუული. დელეგაციამ მოლაპარაკებები აწარმოა **პრეზიდენტ სააკაშვილთან, პრემიერ-მინისტრ ნოღაიდელთან** და **საგარეო საქმეთა მინისტრ ბეჟუაშვილთან.** განხილული იყო ევროკავშირის სამოქმედო გეგმა საქართველოსათვის და ენერგოუსაფრთხოების საკითხები.

2006 წლის მაისში საქართველოს ეწვია დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა **ევროკომისიის აღმოსავლეთი ევროპის, ცენტრალური აზიის და კავკასიის დირექტორატის დირექტორი იუგ მინგარელი.** დელეგაციის ჩამოსვლის მიზანი იყო „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" სამოქმედო გეგმის შესახებ კონსულტაციების **მესამე რაუნდის ჩატარება.** კონსულტაციების შედეგად მოხდა შეთანხმება გეგმის ტექსტის ძირითად ნაწილზე. შეუთანხმებელი მხოლოდ რამოდენიმე საკითხი დარჩა.

ვიზიტები ბრიუსელში

ევროპელების საქართველოში ვიზიტების პარალელურად იმართებოდა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლების ვიზიტები ბრიუსელსა და სტრასბურგში.

2003 წლის დეკემბერში **ნინო ბურჯანაძე დროებითი პრეზიდენტის რანგში** ბრიუსელს ეწვია. ნინო ბურჯანაძემ ევროკომისიის პრეზიდენტთან რომანო პროდისთან საუბრისას ხაზგასმით გამოყო ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული პროცესისადმი.

2004 წლის აპრილში **პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი** ბრიუსელს ეწვია და ევროკავშირის და ნატოს ხელმძღვანელობას შეხვდა. პრეზიდენტმა პროდიმ და ევროკომისიის საგარეო საქმეთა კომისარმა კრის პატენმა საქართველოში მიმდინარე რეფორმების პროცესის მხარდაჭერა გამოხატეს. „დღეს საქართველო თავისი ისტორიის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ეტაპზე იმყოფება," განაცხადა კრის პატენმა.

2004 წლის ივნისში, ბრიუსელში, ევროკომისიის

და მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოს დასახმარებლად გამართულ დონორთა კონფერენციაზე პრეზიდენტი პროდი შეხვდა პრემიერ-მინისტრს **ზურაბ ჟვანიას.** მათ განიხილეს დონორთა კონფერენციის მნიშვნელობა და აჭარაში არსებული სიტუაცია. ამ შეხვედრამდე ერთი თვით ადრე აჭარაში აღდგა ცენტრალური ხელისუფლების კონტროლი. საუბრისას პროდიმ და ჟვანიამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი განიხილეს, კერძოდ, საქართველოში „ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიის" გამოგზავნა, რომლის ჩამოსვლა უკვე ივლისის თვეში იგეგმებოდა. ევროკავშირისათვის ეს იყო პირველი ასეთი ტიპის მისია.

ევროკავშირს და საქართველოს შორის მორიგი თანამშრომლობის საბჭო, რომელიც ექვს თვეში ერთხელ იმართება, შედგა 2004 წლის 14 სექტემბერს ბრიუსელში. მას ქართული მხრიდან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი თავმჯდომარეობდა, ხოლო ევროკავშირის მხრიდან - ნიდერლანდების (თავმჯდომარე ქვეყანა) საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარდ ბოტი. ევროკავშირის გაფართოების შემდეგ ეს პირველი ასეთი რანგის შეხვედრა იყო. განხილვის ძირითადი თემა იყო სამხრეთი კავკასიის „სამეზობლო პოლიტიკაში" ჩართვა და კონფლიქტების მოგვარება სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში. ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა უმასპინძლა სადილს, რომელსაც ესწრებოდნენ ევროკავშირის „ტროიკა" მინისტრების დონეზე, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ხავიერ სოლანა, საგარეო საქმეთა ევროკომისარი კრის პატენი და სამხრეთი კავკასიის სამივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები. ეს იყო ინფორმაციისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის ძალზე მნიშვნელოვანი შესაძლებლობა, რაც ყველა მხარის ინტერესში შედის და მნიშვნელოვანია რეგიონული საკითხების და ევროკავშირის როლის განსაზღვრისათვის ამ რეგიონში.

საგარეო საქმეთა მინისტრი **სალომე ზურაბიშვილი** ბრიუსელის ხშირი სტუმარი იყო. 2004 წლის დეკემბერსა და თებერვალში და 2005 წლის მარტში ის ევროკომისიის და ევროკავშირის საბჭოს მაღალი რანგის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრების დღის წესრიგში ყოველთვის პირველ საკითხად იყო ევროკავშირს და საქართველოს შორის ორმხრივი ურთიერთობების გააქტიურება, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები, სიტუაცია საქართველო-რუსეთის საზღვარზე, რომელიც განსაკუთრებით აქტიურად განიხილებოდა ეუთოს საზღვრის მონიტორინგის მისიის დახურვის შემდეგ 2004 წლის დეკემბერში.

სწორედ საზღვრის მონიტორინგის გამო ეწვია **პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე** ბრიუსელს და 2005 წლის აპრილში ხავიერ სოლანას შეხვდა. პარლამენტის თავმჯდომარის თხოვნა იყო საზღვრის მონიტორინგის მისიის ევროკავშირის ეგიდით წარმართვა.

2005 წლის 13-14 ივნისს შედგა საპარლამენტაშორისი თანამშრომლობის კომიტეტის მეშვიდე სხდომა, რომელსაც **საქართველოს** მხრიდან თავმჯდომარეობდა **დავით ბაქრაძე,** ხოლო ევროპარლამენტის მხრიდან - **მარი ენ ისლერ ბეგინი.** მხარეებმა ისაუბრეს ეკონომიკურ და სოციალურ სიტუაციაზე საქართველოში, დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებზე, გარემოს დაცვის საკითხებზე, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობაზე, რეგიონულ კონფლიქტებზე, „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" განხორციელებაზე და ევროკავშირში მიმდინარე უახლეს მოვლენებზე.

2005 წლის ნოემბერში **ზურაბ ნოღაიდელი პრემიერ-მინისტრის რანგში** პირელად ეწვია ბრიუსელს და შეხდა ევროკომისიის პრეზიდენტს ხოსე მანუელ ბაროზოს, საგარეო საქმეთა ევროკომისარს ბენიტა ფერერო-ვალდნერს და ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს ხავიერ სოლანას. მხარეებმა განიხილეს საქართველოს მიერ შეთავაზებული სამხრეთი ოსეთის კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო გეგმა და ევკროკავშირის მონაწილეობის პერსპექტივა ამ კონფლიქტის მოლაპარაკების გზით მოგვარების საქმეში.

2005 წლის დეკემბერში ბრიუსელში ევროკავშირის „ტროიკამ" მინისტრების დონეზე უმასპინძლა **აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს.** მინისტრებთან საქმიან საუზმეს, რომელსაც ესწრებოდნან სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში ჰაიკი ტალვიტი, დიდი ბრიტანეთის სპეციალური წარმომადგნელი სამხრეთ კავკასიაში სერ ბრაიან ფოლი, საგარეო საქმეთა დირექტორატის დირექტორის მოადგილე კარელ კოვანდა და ავსტრიის საგარო საქმეთა სახელმწიფო მდივანი ჰანს ვინკლერი, ხავიერ სოლანამ უმასპინძლა. საქართველოს მხარეს წარმოადგენდა საგარეო საქმეთა მინისტრი **გელა ბეჟუაშვილი,** სომხეთის მხარეს - საგარეო საქმეთა მინისტრი **ვართან ოსკანიანი,** აზერბაიჯანის მხარეს კი საგარეო საქმეთა მინისტრი **ელმარ მამადიაროვი**. ერთობლივ შეხვედრაზე განხილული იყო რეგიონული საკითხები, მომდევნო სამ ორმხრივ შეხვედრაზე კი სამხრეთი კავკასიის ყოველი ქვეყნის წარმომადგენლებს მიეცათ შესაძლებლობა ესაუბრათ თავიანთ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებზე და ეწარმოებიანათ ტექნიკური კონსულტაციები სამოქმედო გეგმებზე.

2006 წლის თებერვალში **საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ჩეჩელაშვილი** სათავეში ჩაუდგა დალეგაციას, რომელიც „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" სამოქმედო გეგმის შესახებ კონსულტაციების გასამართად ბრიუსელში გაემგზავრა. კონსულტაციებს ევროკომისიის მხრიდან ხელმძღვანელობდა აღმოსავლეთი ევროპის, ცენტრალური აზიის და კავკასიის დირექტორატის დირექტორი იუგ მინგარელი. კონსულტაციების შედეგად მოხდა შეთანხმება სამოქმედო გეგმის ძირითად საკითხებზე.

ევროკომისიის საგარეო საქმეთა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკომისარი ბენიტა ფერერო-ვალდნერი და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი შეხვედრაზე საგარეო საქმეთა სამინისტროში 2006 წლის 16 თებერვალს

ბენიტა ფერერო-ვალდნერი და გელა ბეჟუაშვილი

აღმოსავლეთი ევროპის, სამხრეთი კავკასიის და ცენტრალური აზიის გენერალური დირექტორატის ხელმძღვანელი იუგ მინგარელი და საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ჩეჩელაშვილი ,,ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" ფარგლებში გამართული მოლაპარაკებების შემდეგ 2006 წლის 16 მაისს

ევროკომისიის სამხრეთი კავკასიის და ცენტრალური აზიის განყოფილების ხელმძღვანელის კურტ იუულის პრესკონფერენცია საგარეო საქმეთა სამინისტროში 2005 წლის 30 ნოემბერს

ევკროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნები (ცენტრში) პრესასთან შეხვედრაზე ევროკომისიის წარმომადგენლობაში 2006 წლის 20 თებერვალს

ევროკავშირის ,,ტროიკა" 2005 წლის 25-27 ოქტომბრის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში ხვდება ქართულ პრესას

ევროკომისიის პრეზიდენტი რომანო პროდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას 2004 წლის 18 სექტემბერს

ევროკომისარი იანეშ პოტოჩნიკი 2004 წლის 6 ივლისს საქართველოს პარლამენტში ,,ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" წარმოდგენისას

ექიმებისათვის სერტიფიკატების გადაცემის ცერემონიალი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული კახეთის რეგიონის საოჯახო მედიცინის ცენტრებისათვის ექიმთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პრობაციის ოფიცერთა ტრენინგი, რომელიც ჩაატარა ორგანიზაციამ ,,ციხის საერთაშორისო რეფორმა“

სემინარი ,,ევროკავშირი-საქართველოს სავაჭრო საკითხებზე“ 2006 წლის 18 ივლისს

,,ევროკავშირი-საქართველოს სავაჭრო საკითხებზე“ სემინარის მონაწილეები

2006 წლის ივნისში დასავლეთ საქართველოს ჟურნალისტებისათვის გამართული სემინარის მონაწილეები

დასავლეთ საქართველოს ჟურნალისტებისათვის გამართული სემინარის მონაწილეები

ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ტორბენ ჰოლცე, სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირების საკითხებში გიორგი ბარამიძე და სახელმწიფო მინისტრის მოადგილე თამარ ბერუჩაშილი სახელმწიფო მოხელეთა ტრენინგში მონაწილეებისათვის დიპლომების გადაცემის ცერემონიალზე

ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ტორბენ ჰოლცე და გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროკურატურის რეფორმის პროექტის გახსნის ცერემონიალზე

ნაწილი II

ევროკავშირის მიდგომა საგარეო დახმარების მიმართ

1. ზოგადი მიმოხილვა

ევროკავშირი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მსოფლიოს განვითარებაში, რადგან მის მიერ განვითარებისათვის გაწეული დახმარების წილი 55%-ია. შესაბამისად, ის განვითარებადი ქვეყნების ყველაზე დიდი დონორია. ევროკავშირის დახმარება 160-ზე მეტ ქვეყანაში, ტერიტორიასა თუ ორგანიზაციაში ვრცელდება. 2005 წელს ევროკავშირის დახმარების ერთი მეხუთედის - დაახლოებით 7 მილიარდი ევროს – მართვას ევროკომისია ახორციელებდა. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ, ევროკომისია მესამე უდიდესი დონორად იყო აღიარებული. 2004 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ათი ევროპელი მოქალაქეთაგან ცხრას სჯერა, რომ ევროკავშირის მიზანი - ღარიბების დახმარება განვითარებად ქვეყნებში - ძალიან მნიშვნელოვანია.

განვითარების პოლიტიკა ევროკავშირის საგარეო ურთიერთობების ძირითადი ელემენტია. **ევროპული თანამეგობრობის შესახებ ხელშეკრულების** 177-ე მუხლი განსაზღვრავს ევროპის კავშირის განვითარების პოლიტიკის 3 მიზანს:

1) განვითარებადი ქვეყნების მდგრადი (უწყვეტი) ეკონომიკური და სოციალური განვითარება.
2) განვითარებადი ქვეყნების თანდათანობითი და უმტკივნეულო ინტეგრირება მსოფლიო ეკონომიკაში.
3) სიღარიბის წინააღმდეგ მიმართული კამპანია განვითარებად ქვეყნებში.

2000 წლის ნოემბერში ევროგაერთიანებამ შემოიღო განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის და მათთან თანამშრობლობის ერთიანი და ყოვლისმომცველი სისტემა, რამაც მას განვითარების პროცესის წარმართვის საშუალება მისცა. ევროკავშირის საბჭოს 2000 წლის 10 ნოემბრის დეკლარაციის მიხედვით, ევროკავშირის მიერ განვითარების მხარდაჭერის უპირველესი მიზანია **სიღარიბის შემცირება** და მისი თანდათანობითი **აღმოფხვრა**.

განვითარებად მსოფლიოში და, განსაკუთრებით ნაკლებგანვითარებულ ქვეყნებში სიღარიბის გავრცელების გამო, გაჩნდა ახალი ამოცანები. ამ საკითხში საქართველო არ არის გამონაკლისი, რადგან დღევანდელი მონაცემების საფუძველზე მოსახლეობის 54% ოფიციალური საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ იმყოფება.

2. ევროკავშირის დახმარების სტრუქტურა

განვითარების პოლიტიკის დახვეწაზე ზრუნვასთან ერთად, 2000 წელს ევროკომისიამ შეიმუშავა რეფორმების მართვის პაკეტი, რათა რადიკალურად გაეუმჯობესებინა საგარეო დახმარების პროგრამების მიწოდების სისწრაფე და ხარისხი. ფართომასშტაბიანი რეფორმის ერთ-ერთი შედეგი იყო ევროკომისიაში არსებული განვითარების სფეროში მოღვაწე სხვადასხვა სტრუქტურის ერთიან ორგანიზაციაში — **ევროპული დახმარების და თანამშრომლობის სააგენტოში -** გაერთიანება.

ვროპული დახმარების სააგენტო პასუხისმგებელია ევროკომისიის საგარეო დახმარების ყველა პროგრამაზე, რომელიც დაფინანსებულია ევროპის თანამეგობრობის ბიუჯეტიდან და ევროპული განვითარების ფონდიდან, გარდა იმ პროგრამებისა, რომლებიც ფინანსდება გაწევრიანების წინა პერიოდში მყოფ ქვეყნებში. ევროპული დახმარების სააგენტო არ არის პასუხისმგებელი ჰუმანიტარულ პროგრამებზე, მაკრო-ფინანსური დახმარების განხორციელებაზე, ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებულ პროგრამებზე და „სწრაფი რეაგირების მექანიზმის" ფარგლებში განხორციელებულ პროგრამებზე.

რეფორმების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია **დეცენტრალიზაცია** ანუ პასუხისმგებლობის ქვედა რგოლებში გადანაწილება. დეცენტრალიზაციის შედეგად დახმარების მართვა და მართვისათვის საჭირო კადრები ცენტრალური ინსტიტუტებიდან ევროკომისიის წარმომადგენლობებზე გადანაწილდა. საქართველოში დეცენტრალიზაცია 2002 წელს დაიწყო და 2004 წელს დასრულდა. შედეგად, საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის (დელეგაციის) შტატი 28-დან 45-მდე გაიზარდა.

პრიორიტეტული გახდა დახმარების გაწევა **პირდაპირი საბიუჯეტო დახმარების** სახით, იმ შემთხვევებში, როდესადაც პირობები ამის საშუალებას იძლევა. დახმარების ამ სახეს ბევრი უპირატესობა აქვს შედარებით დახმარების ტრადიციულ ფორმებთან, რომლებიც ითვალისწინებს პარალელური ადმინისტრაციული სტრუქტურების დაწესებას, უცხოელი მრჩევლების დანიშვნას და მონიტორინგის, შესყიდვების და ფინანსური კონტროლის საკუთარი წესების საფუძველზე წარმართვას. თუმცა, ასეთი სისტემა მოითხოვს დახმარების მიმღებ (ბენეფიციარ) ქვეყანაში არსებული საბიუჯეტო სისტემების და რეფორმატორული გეგმების ყურადღებით შეფასებასა და შესწავლას.

ევროპის კომისია მჭიდროდ თანამშრომლობს სხვა წამყვან დონორებთან, განსაკუთრებით, მსოფლიო ბანკთან, „სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშგების ინიციატივის„ (PEFA) ფარგლებში, რომლის მიზანია გააუმჯობესოს და უფრო გამ-

ჭვირვალე გახადოს დახმარების მიმღები ქვეყნების ფინანსური მენეჯმენტი.

ვერც-ერთი ცალკე აღებული დონორი ვერ შეძლებს ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრას. ამიტომ, ევროკავშირი დიდ უპირატესობას ანიჭებს სხვა დონორებთან ეფექტიან ურთიერთობას და კონსულტაციებს სხვა უწყებებთან, განსაკუთრებით, გაერთიანებული ერების (გაერო) სააგენტოებთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (სსფ) და მსოფლიო ბანკთან.

ევროკავშირი სათავეში უდგას იმ საერთაშორისო ძალისხმევას, რომელიც ითვალისწინებს დონორთა მონაწილეობის ჰარმონიზებას. 60-ზე მეტ განვითარებად ქვეყანაში, დონორები იწყებენ ჰარმონიული და გამარტივებული პროცედურების გამოყენებას, აწარმოებენ ერთიან ანალიტიკურ მუშაობას, ყურადღებას ამახვილებენ დახმარების მიწოდებისა და განვითარების შედეგებზე, იყენებენ დახმარების გაწევის ერთიან პროცედურებს და პარტნიორი ქვეყნის ბიუჯეტისათვის დახმარების გაწევის საერთო მექანიზმს. 2005 წელს პარიზში გამართულ მაღალი დონის ფორუმზე სახელწოდებით *„დახმარების ეფექტიანად გაწევაში არსებული პროგრესი"* მასში მონაწილე ქვეყნებმა და ორგანიზაციებმა მიიღეს გეგმა, რომელიც *„პარიზის დეკლარაციის"* სახელითაა ცნობილი და განსაზღვრავს სამუშაო მიზნებსა და ინდიკატორებს.

დეკლარაციაში ასახულ საქმიანობაში თავისი წვლილის შესატანად ევროკავშირმა სამუშაო გეგმა შეიმუშავა. 2000 წლიდან ევროკავშირი ძალისხმევას არ იშურებს უფრო ფართომასშტაბიანი კონსულტაციების გასამართად, რათა გაუმჯობესდეს დახმარების არსებული საშუალებები; აგრეთვე, გაუმჯობესდეს ევროკავშირის მონაწილეობის ხარისხი და მეტი ყურადღება დაეთმოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას. 2004 წელს გამოქვეყნდა სახელმძღვანელო, რომელიც ასახავს "არასახელმწიფო სუბიექტების" (NSA) მიერ განვითარების თემაზე დიალოგის წარმართვის და კონსულტაციებში მონაწილეობის პრინციპებს და წარმატებული პრაქტიკას.

3. ევროკავშირის დახმარების მთავარი სფეროები

ევროკავშირი მიზნად ისახავს დახმარების გაწევას 6 სფეროში. ყოველ ამ სფეროში ევროკავშირს დასახული აქვს პოლიტიკური მიზნები, ესენია:

1) ვაჭრობის ხელშეწყობა

ვაჭრობას, როგორც განვითარების მამოძრავებელ ძალას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლაში. ევროკავშირს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სავაჭრო საკითხებზე, რადგან მას წამყვანი პოზიცია უკავია ევროპის სავაჭრო პოლიტიკაში და ვაჭრობის ლიბერალიზაციის საკითხებზე მიმდინარე საერთაშორისო დებატებში. ევროკავშირის მთავარი მიზანია ახალი მიდგომების შემუშავება საკუთარ გამოცდილებაზე და შესაძლებლობებზე დაყრდნობით. ეს უკვე აისახა ინიციატივაში *„ყველაფერი, გარდა იარაღისა"* **(EBA)** ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის.

2) რეგიონული ინტეგრაცია და თანამშრომლობა

რეგიონალური ინტეგრაციისა და თანამშრომლობის საქმეში მიღწეული წინსვლა ეხმარება სატარიფო და სხვა შეღავათების ტრადიციული სისტემებიდან უფრო განვითარებულ ეტაპზე გადასვლას. ამ მიზნის მისაღწევად ევროკავშირი ცდილობს დაეხმაროს სამხრეთი კავკასიის რეგიონს და განვითარების პროცესში მყოფ სხვა რეგიონებს ეფექტიანად ჩაერთონ ვაჭრობისა და ინვესტიციების ძირითად ნაკადებში.

3) მაკროეკონომიკური დახმარება და უფრო მეტად ხელმისაწვდომი სოციალური სამსახურები

სიღარიბის დასაძლევად სოციალური სექტორი დაკავშირებული უნდა იყოს მაკროეკონომიკურ პოლიტიკასთან. საერთაშორისო სავალუტო ფონდსა (სსფ) და მსოფლიო ბანკთან ერთად, ევროკავშირი კვლავაც იღვაწებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსახლეობის თანაბარი უფლებები სოციალური მომსახურების მიღებაზე, ასევე იმისათვის, რომ შენარჩუნებული ოყოს სოციალური ფუნქცია განვითარების იმ პოლიტიკაში, რომლის მთავარი მიზანი სიღარიბის დაძლევაა.

4) ტრანსპორტის განვითარება

ტრანსპორტის განვითარება პრიორიტეტულია, ვინაიდან ეფექტიანი სატრანსპორტო სისტემები არსებითია ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და ელემენტარული სოციალური მომსამსახურების მისაღებად. ევროკავშირს უბადლო გამოცდილება აქვს სატრასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და მომსახურებაში.

5) სასურსათო უსაფრთხოება და რეგიონების მდგრადი განვითარება

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში ევროკავშირი განვითარებადი ქვეყნების ერთ-ერთი მთავარ დონორია და ბოლო წლების განმავლობაში მას უდიდესი გამოცდილება დაუგროვდა. ეს გამოცდილება ევროკავშირს უპირატესობას ანიჭებს სოფლის მეურნეობის პოლიტიკის სფეროში. სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარება სიღარიბის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი სტრატეგიის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

6) ინსტიტუციური პოტენციალი

დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობა აუცილებელი პირობაა მდგრადი განვითარებისათვის. ევროკავშირი აგრძელებს მოღვაწეობას უკეთესი მმართველობის შესაქმნელად იმ ქვეყნებთან ერთად, რომლებთანაც ის თანამშრომლობს, აგრეთვე, ეხმარება მათ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასა

და კანონის უზენაესობის დამკვიდრებაში. ეს ორივე სფერო სიღარიბის დაძლევის გზაზე გადამწყვეტია.

გარდა იმ 6 სფეროსა, რომელშიც ევროკავშირი პროგრამებს და მათ მონიტორინგს ახორციელებს, ხდება, აგრეთვე, მათთვის საერთო საკითხების განხილვა. ეს საკითხებია: გენდერული თანასწორობა, გარემოს დაცვა და ადამიანის უფლებათა პატივისცემა. ეს საკითხები კონკრეტულ გავლენას ახდენენ ქვეყნის განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე, თანამშრომლობის პროგრამების განხორციელებასა და ქვეყნის პოლიტიკური მხარდაჭერის ზოგად განსაზღვრაზე.

4. ევროკავშირის დახმარების სტრუქტურა საქართველოში

ევროკავშირის მიერ დასახული მიზანი სიღარიბის დაძლევისა სრულად შეესაბამება **გაეროს ათასწლეულის განვითარების მიზნებს** (DG). 2000 წელს მიღებული "ათასწლეულის განვითარების მიზნები" წარმოადგენს სახელმძღვანელო პრინციპებს ქვეყნებისათვის და განვითარების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისათვის მსოფლიოს მასშტაბით. ეს დოკუმენტი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა უკიდურესი სიღარიბის განახევრება, აივ/შიდსის და სხვა დაავადებების გავრცელების შეჩერება, აგრეთვე, ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება, დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება, გენდერული თანასწორობის მიღწევა და საყოველთაო პირველადი განათლების უზრუნველყოფა. ყველა ეს მიზანი 2015 წლისთვის უნდა იყოს მიღწეული.

სიღარიბის დაძლევაზე მიმართული ძალისხმევა გულისხმობს მდგრადი ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი საქმიანობის მხარდაჭერას, განვითარებადი ქვეყნების მსოფლიო ეკონომიკაში თანდათანობითი ინტეგრირების ხელშეწყობას და უთანასწორობასთან ბრძოლას. მშვიდობა, უსაფრთხოება, დემოკრატია, კანონის უზენაესობა, სწორი მმართველობა და ადამიანის უფლებათა პატივისცემა განვითარების ძირითადი ფაქტორებია.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის საგარეო დახმარება ვერ ჩაანაცვლებს მესამე ქვეყნების ჯანსაღ ნაციონალურ პოლიტიკას, მას შეუძლია დაეხმაროს და ეხმარება კიდეც ქვეყნებს იმის განსაზღვრაში, თუ როგორი უნდა იყოს პოლიტიკა და როგორ უნდა განხორციელდეს ის წარმატებულად. მართვის სისტემების დახვეწასა და მათ რეფორმირებაში ევროკომისის მონაწილეობა არის დასტური იმისა, რომ ის ერთგულია თავისი ორი ძირითადი მიზნისა, რასაც ვაჭრობა და დახმარების გაწევა შეადგენს.

2003 წლის ივნისში, სამოქალაქო საზოგადოებასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორ ქვეყნებთან ინტენსიური კონსულტაციების შემდეგ, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა **„ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა" (EDPRP).**

პროგრამაში დასახულია ორი, ზოგადი სტრატეგიული მიზანი:

- სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური განვითარება რეალური ეშპ-ის (ერთიანი შიდა პროდუქტი) საშუალო 5-8%-იანი წლიური ზრდით, რამაც უნდა უზრუნველყოს რეალური ეშპ-ის ორჯერ ან სამჯერ გაზრდა 2015 წლისთვის 2001 წელთან შედარებით.
- უკიდურესი სიღარიბის შემცირება 14%-დან 4-5%-მდე და ნაკლებად მწვავე სიღარიბის დაძლევა (განისაზღვრება, როგორც ოფიციალური საარსებო მინიმუმი) 52%-დან 20-25%-მდე 2015 წლისთვის.

ამ ორი მიზნის ფარგლებში, საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გასაუმჯობესებლად 9 სტრატეგიული პრიორიტეტი განისაზღვრა, ესენია:

1) მმართველობის გაუმჯობესება და მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
2) მაკრო-ეკონომიკური სტაბილურობა;
3) სტრუქტურული და ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესება;
4) ადამიანური რესურსების განვითარება (ჯანდაცვის და უსაფრთხოების სექტორები);
5) სოციალური რისკის მართვის გაუმჯობესება;
6) ნაციონალური ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორების განვითარება;
7) გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება;
8) სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება პოსტკონფლიქტური რეგიონებში;
9) ინტენსიური სამეცნიერო და საინფორმაციო ტექნოლოგიის განვითარება.

„ეკონომიკური განვითარების და სიღარიბის დაძლევის პროგრამა" წარმოადგენს ორიენტირს, რომელსაც ეყრდნობა დონორი ქვეყნების დახმარება. ამგვარად, ევროკავშირი/ევროკომისია მხარს უჭერს „ეკონომიკური განვითარების და სიღარიბის დაძლევის პროგრამას„ და ცდილობს თავისი დახმარება ამ პროგრამის შესაბამისად განახორციელოს.

დღეისათვის ევროკავშირს შემუშავებული აქვს დახმარების ძირითადი პრიორიტეტების ამსახველი სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოცემულია თითოეული **ქვეყნის და რეგიონის სტრატეგიის ამსახველ დოკუმენტებში.** ამ დოკუმენტებში მოცემულია მესამე ქვეყნებთან ურთიერთობის სტრუქტურა, დახმარებისა და სხვა ღონისძიებების ჩათვლით. დახმარების ხერხების და საშუალებების შემუშავება ხდება პარტნიორი ქვეყნების მთავრობებთან, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან, სხვა ორმხრივ და მრავალმხრივ დონორებთან, და, სადაც ეს შესაძლებელია, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან თანამშრომლობით. საქართველოს მიმართ ევროკავშირის სტრატეგიის ნაციონალური და რეგიონული დოკუმენტები მოიცავს 2002-2006 წლებს. ქვეყნის მიმართ ევროკავშირის სტრატეგიის ამსახველი დოკუმენტი 2004 წელს გადამუშავდა.

III ნაწილი
საქართველოსთვის ევროკომისიის მეშვეობით გაწეული დახმარება

1. ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს დამოუკიდებლობა ევროკავშირმა 1992 წელს ცნო. საქართველომ თითქმის მაშინვე გახსნა მისია ევროკავშირში, რომელმაც ბრიუსელში დაიდო ბინა. თავისი წარმომადგენლობა საქართველოსა და სომხეთში ევროკომისიამ 1995 წელს გახსნა ქალაქ თბილისში. წარმომადგენლობას აქვს სრული დიპლომატიური სტატუსი. მისი ფუნქციაა საქართველოსა და სომხეთის მთავრობებსა და ევროკავშირის ინსტიტუტებს შორის ურთიერთობების გაღრმავების ხელშეწყობა. გარდა ამისა, წარმომადგენლობა აწარმოებს მოლაპარაკებებს და კოორდინირებას უწევს ევროპული თანამეგობრობის ძირითად პროგრამებს თანამშრომლობის სფეროში აღნიშნულ ორ ქვეყანაში.

ევროკავშირის ცხრა წევრ სახელმწიფოს - გაერთიანებულ სამეფოს, გერმანიას, იტალიას, ლიტვას, ნიდერლანდებს, პოლონეთს, საბერძნეთს, საფრანგეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკას — აქვს საელჩო საქართველოში. საქართველო ღებულობს დახმარებას ამ და სხვა წევრი სახელმწიფოებისაგან. 2004 წლის მარტში თბილისში თავისი ოფისი გახსნა საერთაშორისო განვითარების სფეროში თანამშრომლობის შვედეთის სააგენტომ.

ევროკავშირი ერთ-ერთი პირველი იყო უცხოეთის იმ ორგანიზაციებიდან და ქვეყნებიდან, ვინც დაეხმარა საქართველოს გარდამავალი პერიოდის პირველ რთულ წლებში როგორც ეროვნული, ისე რეგიონული მასშტაბის ინიციატივების მეშვეობით. ევროკავშირის ინსტიტუტებმაც და მისმა წევრმა სახელმწიფოებმაც საქართველოსთვის დახმარების გაწევა ქვეყნის მიერ 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან სულ მალე დაიწყეს. თავიდან დახმარება ძირითადად ჰუმანიტარული სახის იყო, შემდგომ პერიოდში კი მაღალი დონის ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებაში გადაიზარდა.

1992-2006 წლებში ევროკავშირმა ევროკომისიის მეშვეობით საქართველოსთვის 502 მილიონი ევრო გამოყო. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია ევროკავშირის მიერ დახმარების გაწევის მიზნით გამოყენებული სხვადასხვა ინსტრუმენტების საფუძველზე გაცემული გრანტები.

ევროკავშირის მიერ საქართველოსათვის დახმარების გაწევა დაიწყო 1992 წელს. ეს იყო პროგრამა ECHO (ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების დეპარტამენტი), რასაც მოჰყვა რამდენიმე სხვადასხვა პროგრამა: TACIS (ტექნიკური დახმარება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისთვის), სასურსათო უსაფრთხოების პროგრამა (FSP), მაკროფინანსური დახმარება (MFA) და EIDHR (ევროპული ინიციატივა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში).

1999 წლის 1 ივლისს ძალაში შევიდა **პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (PCA).** ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობებისთვის. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება უზრუნველყოფს სამართლებრივ ბაზას ურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის სულ მცირე 2009 წლამდე, რის შემდეგაც შეთანხმება განახლდება, თუკი რომელიმე მხარე ექვსი თვით ადრე არ გაუგზავნის მეორე მხარეს შეტყობინებას შეთანხმების შეწყვეტის შესახებ. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება ხელს უწყობს ფართო მრავალსექტორულ მიდგომას, რომელიც აღრმავებს სამართლებრივ, ეკონომიკურ, სოციალურ და სამეცნიერო, სამოქალაქო და კულტურულ ურთიერთობასა და პარტნიორობებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის.

2004 წლის 14 ივნისს ევროკავშირმა საქართველო ჩართო **ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში** (ENP), რითაც აღინიშნა ახალი თავი საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობებში. ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ძირითადი ელემენტია ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ორმხრივი სამოქმედო გეგმა.

ევროკავშირის მიერ 1992-2006 წლებში ევროკომისიის მეშვეობით გაწეული დახმარება

	1992 1993	1994 1995	1996 1997	1998 1999	2000 2001	2002 2003	2004	2005	2006	1992 2006
TACIS	13	10	16	16	15	14	27	0	20	131
ECHO	12	45	16	13	4	4	4	1		99

FEOGA (სასურსათო დახმარება)	-	41	22	-	-	-	-	-		63
საგანგებო ჰუმანიტარული დახმარება	6	-	-	-	-	-	-	-	0	6
სასურსათო უსაფრთხოების პროგრამა	-	-	34	12	13		12	10	10	91
რეაბილიტაცია კონფლიქტის ზონებში	-	-	8	4	5	-	2	2	0	21
მაკროფინანსური დახმარება	-	-	-	19	6	-	7		33	65
CFSP* da RRM**	-	-	-	-	2	2	5			9
ევროპული ინიციატივა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში	-	-	-	-	-	2	2	2	2	8
სხვა ინსტრუმენტები	-	-	-	4	-	-	2	1	2	9
სულ	31	96	96	68	45	22	61	16	69	502

*) საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკა; **) სწრაფი რეაგირების მექანიზმი

მომავალში დახმარება ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში სახეს იცვლის, გეოგრაფიული ან თემატური ნიშნით შემუშავებული პროგრამები შეიცვლება ერთი პროგრამით — **ევროპის მეზობლობის და პარტნიორობის ინსტრუმენტით**. ეს ბევრად უფრო მოქნილი, პოლიტიკის საკითხებით ნაკარნახევი ინსტრუმენტი იქნება. იგი შემუშავდება ევროკავშირის სხვადასხვა სტრატეგიისა და სტანდარტების - რომლებიც ხელს უწყობს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაში შეთანხმებული პრიორიტეტების მიღწევას — სტაბილურად განვითარებისა და მათთან დაახლოების მიზნით.

ევროკომისიის მხრიდან უზრუნველყოფილი მთელი დახმარების კოორდინაცია ხდებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ეროვნული საკოორდინაციო უწყების მეშვეობით. ეს უწყება უშუალოდ ექვემდებარებოდა მინისტრის მაშინდელ მოადგილეს თამარ ბერუჩაშვილს, რომელიც წარმოადგენდა ეროვნულ კოორდინატორს საქართველოში. 2003 წელს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ თანამშრომლობა დონორებსა და ხელისუფლებას შორის გადასინჯული იქნა და შემოღებული იქნა ახალი მექანიზმი. 2004 წლის დასაწყისში თამარ ბერუჩაშვილი დაინიშნა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრად ევროკავშირთან და სხვა დონორებთან ურთიერთობათა კოორდინაციის მიზნით. 2004 წლის დეკემბერში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრად დაინიშნა გიორგი ბარამიძე, ხოლო თამარ ბერუჩაშვილი მისი მოადგილის თანამდებობაზე გადავიდა.

დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარე სასურსათო უსაფრთხოების პროგრამისათვის ევროკომისიამ ჩამოაყალიბა საკოორდინაციო უწყებები ფინანსთა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებში; ამ უწყებებში შედიან ექსპერტები, რომლებიც თავიანთ კოლეგებთან - ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მუშაობენ. კოორდინაცია დონორებს შორის წარმოებს ამა თუ იმ სექტორის დონორების შეხვედრების მეშვეობით. ამ შეხვედრებს ესწრებიან შესაბამისი უცხოური და ქვეყანაში განვითარების სფეროში მომუშავე სააგენტოები.

ორ თვეში ერთხელ ევროკომისიის წარმომადგენლობა მასპინძლობს შეხვედრებს მრგვალი მაგიდის გარშემო ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან, რათა განხილული იქნეს თანამშრომლობისა და კოორდინაციის საკითხები. ევროკომისიის წარმომადგენლობა მონაწილეობს, აგრეთვე, თანამშრომლობისკენ მიმართულ რეგულარულ შეხვედრებში სხვა დონორებთან, რათა თავიდან იქნეს აცილებული დახმარების პოტენციური დუბლირება, და უზრუნველყოფს საქართველოსთვის გარედან მოწოდებული დახმარების ეფექტიან განხორციელებას.

2. საქართველოში მიმდინარე პროგრამა „ტასისი"

TACIS - "Technical Assistance to the CIS"-ის (ტექნიკური დახმარება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისთვის) აკრონიმი — ძირითადი ინსტრუმენტია, რომელსაც ევროკავშირი იყენებს აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან თანამშრომლობაში. ის ასევე ძირითადი ინსტრუმენტია საქართველოს მთავრობისთვის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელებაში დახმარების გასაწევად. ამჟამად მიმდინარე პროგრამა „ტასი-

სი" ეფუძნება საბჭოს 2000 წლის დადგენილებას, რომელშიც ჩამოყალიბებულია პარტნიორ სახელმწიფოებში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის განმტკიცების ამოცანები. აღნიშნულ დადგენილებას 2006 წელს გასდის ვადა.

საქართველოში სამართლებრივი და მარეგულირებელი სისტემების რეფორმათა განხორციელების ხელშეწყობის გზით პროგრამა „ტასისმა" დიდი წვლილი შეიტანა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებაში და ქვეყნის გადასვლაში საბაზრო ეკონომიკაზე. მან დიდი დახმარება გაუწია ქვეყანას, აგრეთვე, პრივატიზაციის საწყისი პროცესისთვის საჭირო სტაბილური გარემოს შექმნაში – საფუძველი ჩაუყარა რეფორმებს საწარმოთა პრივატიზებისა და რესტრუქტურიზების, ფინანსური ბაზრების, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების სფეროებში. „ტასისი" ხელს უწყობდა საქართველოს გაწევრიანებას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში და 2000 წლის ივნისში საქართველო ამ ორგანიზაციის წევრი გახდა. გარდა ამისა, პროგრამა დაეხმარა საქართველოს ევროკავშირთან საზიარო ფასეულობების შეგრძნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, მას წვლილი მიუძღვის, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესში.

ქვეყნის ინდიკატიური პროგრამის მიზანია 2004-2006 წლებისთვის „ტასისის" ეროვნული სამოქმედო პროგრამების ფარგლებში საქართველოს პროგრამის ფორმატის ჩამოყალიბება. პროგრამას საფუძვლად უდევს ევროკომისიის მიერ მომზადებული შესწორებული დოკუმენტი – ევროკავშირის სტრატეგია საქართველოსათვის 2003-2006 წლებში, რომელშიც განსაზღვრულია ევროკომისიის მხრიდან რეფორმების პროცესის ხელშეწყობის, კერძოდ კი სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისკენ მიმართული დახმარების გარკვეული პირობები.

„ტასისის" საქმიანობა 2004-2006 წლებში ორ პრიორიტეტულ სფეროზეა მიმართული:

ა) „ტასისის" 1-ლი პრიორიტეტული სფერო

ინსტიტუციური, სამართლებრივი, ადმინისტრაციული რეფორმების, სასამართლო და სამართალდამცავი სისტემების რეფორმების, სამოქალაქო საზოგადოებისა და ადამიანის უფლებების განმტკიცების, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებისა და ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის დოკუმენტის განხორციელების ხელშეწყობა. „ტასისის" 2004-2006 წლების ინდიკატიური პროგრამის მიხედვით, ამ პრიორიტეტული სფეროსთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარება 11,5 მილიონი ევროა.

ბ) „ტასისის" მე-2 პრიორიტეტული სფერო

დახმარების გაწევა გარდამავალი პერიოდის შედეგების დაძლევაში, მათ შორის, ჯანდაცვის სექტორის რეფორმის, სოციალური დახმარებისთვის მიზნობრივი ჯგუფების დასახვის გაუმჯობესების, სიღარიბის დაძლევისათვის პილოტური სქემების შემუშავების გზით. ამ სფეროსთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარება 12,5 მილიონი ევროა.

გარდა ამისა, 4,0 მილიონი ევრო გამოიყო კონფლიქტის ზონებში, კერძოდ, აფხაზეთში განსახორციელებელი სარეაბილიტაციო პროგრამებისთვის.

2.1 ინსტიტუციური, სამართლებრივი, ადმინისტრაციული რეფორმების ხელშეწყობა

საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ განაცხადა თავისი მზადყოფნა ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის, კანონის უზენაესობისა და ეკონომიკური სტაბილიზაციის განმტკიცების მიზნით კორუფციის აღმოფხვრასა და მმართველობის რეფორმების განხორციელებასთან დაკავშირებით. სტრატეგიული ამოცანაა, შეიქმნას ქმედითი, პროფესიონალური, პატიოსანი და გამჭვირვალე საჯარო სამსახური, რომელიც მუშაობისას დაემყარება დემოკრატიულ პრინციპებს, განახორციელებს სოციალურ მიზნებს და უზრუნველყოფს კომპეტენტურ საჯარო მომსახურებას. ამ მიზნის მისაღწევად ხელისუფლების ყველა უწყებაში წამოწყებული იქნა მნიშვნელოვანი რეფორმები. ევროკომისია ხელს უწყობს რეფორმების პროცესს რამდენიმე ძირითად სფეროში:

1) იუსტიციის სამინისტროს რეფორმირება

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში იუსტიციის სამინისტროს ბევრი პასუხისმგებლობა დაეკისრა. 1999 წლის იანვარში სამინისტროს პენიტენციური სისტემა დაექვემდებარა, ხოლო 2003 წლიდან მას დამატებითი პასუხისმგებლობები დაეკისრა. ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანებს განეკუთვნება ე.წ. „ერთი ფანჯრის" პრინციპით მოქმედი სამოქალაქო რეესტრის შექმნა და სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის შემუშავება. გარდა ადმინისტრაციული და მმართველობითი რეფორმის დახმარებისა, ევროკომისიამ წამოიწყო „ტასისის" პროექტები პენიტენციური სისტემის რეფორმირებისა და პრობაციის სამსახურის დაარსების ხელშეწყობის მიზნით.

2) პროკურატურის რეფორმირება

2004 წლის თებერვალში კონსტიტუციის გადასინჯვის შემდეგ საქართველოს გენერალური პროკურატურა აღარ ექვემდებარება იუსტიციის სამინისტროს, იგი დამოუკიდებელი უწყება გახდა. ევროკომისია დახმარებას უწევს პროკურატურას საორგანიზაციო სტრუქტურის ჰარმონიზაციაში, ეფექტიანობის, ეფექტურობისა და გამჭვირვალობის, აგრეთვე, ადამიანის უფლებების მიმართ პატივისცემის გაზრდაში.

3) შინაგან საქმეთა სამინისტრო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური ადგილი უკავია ხელისუფლების ძალისხმევაში, გააუმ-

ჯობესოს მმართველობა. სამინისტრომ წარმოადგინა გეგმა, რომელშიც შედის სამინისტროს მართვა, პოლიციის საქმიანობის რეგულირება (ადამიანის უფლებების დაცვა, საპოლიციო საქმიანობის მეთოდები, დავალებების განსაზღვრა), სამინისტროს ქცევა სამოქალაქო უწყებად, საკადრო პოლიტიკა, დეცენტრალიზება და საზოგადოების მხრიდან კონტროლი. ევროკომისია დახმარებას უწევს სამინისტროს რეფორმების სტრატეგიის ზოგადი განსახორციელებელი გეგმის შემუშავებაში, ხელს უწყობს, აგრეთვე, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლას.

4) პარლამენტის რეფორმირება

საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებასა და განმტკიცებაში თავისი წვლილის შესატანად ევროკომისია ეხმარება საქართველოს პარლამენტს ქმედითუნარიანობის, პროფესიონალიზმისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებაში და სამოქალაქო საზოგადოებასთან, საერთო ინტერესების მქონე ჯგუფებთან, აგრეთვე, ევროპის პარლამენტთან და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პარლამენტებთან ურთიერთობის დამყარებაში.

5) საბაჟო და საგადასახადო ადმინისტრაციის რეფორმირება

ევროკომისიის დახმარება საბაჟო და საგადასახადო ადმინისტრაციისთვის მიზნად ისახავს საქართველოში შემოსავლების მოგროვების გაუმჯობესებას და, ამავე დროს, გამჭვირვალობის დამკვიდრების ხელშეწყობას 2005 წლის იანვარში ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების შემდეგ.

პროექტების მიმოხილვა

პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	**პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა**	**ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით**
დახმარება საქართველოში პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელების პროცესისათვის *Altair Accessories*	620 862 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> სახელმწიფო დაწესებულებებში პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელებისა და ეკონომიკის რეფორმირების პროცესის ეფექტიანად ხელშეწყობის შესაძლებლობის განვითარება. <u>კომპონენტები:</u> პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებული სამთავრობო კომისიისა და დაკავშირებული სამინისტროების შესაძლებლობათა განვითარება; საგანგებოდ ამ მიზნისთვის განკუთვნილი ტრენინგის მეშვეობით დაკავშირებულ სამინისტროებში, სახელმწიფო უწყებებსა და პარლამენტში იმ თანამშრომელთა შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების განვითარება, რომელთაც ავალიათ ქვეყნის პროგრამისა და ეკონომიკის რეფორმირების პროცესის განხორციელება და მონიტორინგი; ხელისუფლების შესაძლებლობის განვითარება, გაზარდოს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელების პროცესში მონაწილეობა, ამ პროცესის საჯაროობა და მასთან დაკავშირებული ანგარიშვალდებულება.

GEPLAC, IV ფაზა GTZ	1,5 მილიონი 2003-06	<u>ბენეფიციარი:</u> ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი. <u>ძირითადი ამოცანები</u>: საქართველოს მთავრობისთვის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების (43-ე მუხლი) და კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამის განხორციელებაში დახმარების გაწევა. <u>კომპონენტები:</u> პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიმღები მაღალი რანგის ინსტიტუტებისთვის დახმარების გაწევა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების სფეროში კანონმდებლობის დაახლოებაში, განხორციელებასა და გატარებაში, იმგვარი მკაფიო მაკონტროლებელი მიდგომის შემუშავებაში, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება საკანონმდებლო და მარეგულირებელი დებულებების როგორც მიღების, ისე რეალური განხორციელების მხრივ კონკრეტული შედეგების შეფასება; კანონმდებლობის გამოყენებისა და გატარების მონიტორინგში და პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების სამთავრობო კომიისთვის და საქართველოში წარმომადგენლობისთვის ანგარიშგებაში; ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობის კონკრეტულ ძირითად პოლიტიკურ სფეროებში დამოუკიდებელი და მაღალი ხარისხის ეკონომიკური კურსის და იურიდიული კონსულტაციის უზრუნველყოფაში.
ევროკომისიის მხრიდან საქართველოში კანონის უზენაესობის დამყარების საქმეში კომპლექსური დახმარებისათვის სტრატეგიისა და პროექტის შემუშავება *BS Europe*	144 990 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს გენერალური პროკურატურა. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ისეთი პროგრამის შემუშავება, რომელიც ევროკომისიას მისცემს შესაძლებლობას, დახმარება გაუწიოს იუსტიციის სამინისტროს მის ადმინისტრაციულ რეფორმებში 2005-2007 წლებში, მათ შორის, პენიტენციური სისტემის რეფორმირებისა და პრობაციის სამსახურის შექმნაში, აგრეთვე, პროკურატურის რეფორმირებაში. <u>კომპონენტები:</u> დახმარების კომპლექსური სტრატეგიის შემუშავება ევროკომისიის სამომავლო პროგრამებისათვის, როგორიც არის: იუსტიციის სამინისტროსთვის დახმარების გაწევა; საქართველოში პროკურატურის რეფორმის გაძლიერება, მე-2 ფაზა; საქართველოში პენიტენციური სისტემის რეფორმის გაძლიერება, მე-2 ფაზა; საქართველოში პრობაციის სამსახურის გაძლიერება.
საქართველოს პროკურატურის რეფორმირება *ბრიტანეთის საბჭო/* *European Dynamics/UGT*	1,0 მილიონი 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> გენერალური პროკურატურა. <u>ძირითადი ამოცანები:</u> პროკურატურის საორგანიზაციო სტრუქტურისა და მართვის გაუმჯობესება, რათა პროკურატურამ დააკმაყოფილოს ევროპის საბჭოს სტანდარტები. <u>კომპონენტები:</u> საქართველოს პროკურატურის საორგანიზაციო სტრუქტურისა და ფუნქციების ჰარმონიზება საერთაშორისო სტანდარტებთან. ქართველი და ევროპელი ექსპერტების გუნდი ითანამშრომლებს, რათა: გადასინჯოს პროკურატურის ადმინისტრაციული სტრუქტურა; შემოიღოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; ჩაატაროს ტრენინგი პროკურორებისათვის; გააუმჯობესოს სტატისტიკური მონაცემების სისტემა.

საქართველოს პენიტენციური სისტემის რეფორმირება *DMI/UGT*	1,0 მილიონი 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> იუსტიციის სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> დახმარების გაწევა ადმინისტრირებასა და მართვაში, მათ შორის, საინფორმაციო ტექნოლოგიათა საცდელ გამოყენებაში, რეფორმების გატარებაში, სამოქალაქო საზოგადოებასთან კავშირების დამყარებაში. <u>კომპონენტები:</u> საქართველოს პენიტენციურ სისტემაში კორუფციის შემცირება და ადამიანის უფლებათა დაცვის დამკვიდრება საქართველოს პენიტენციური კომისიის თავმჯდომარისთვის იმგვარი ქმედითი მეთოდების გადაცემით, რომლებიც მიზნად ისახავს გაძლიერებული, გამჭვირვალე და დეცენტრალიზებული მართვის სტრუქტურის დაარსებას, პენიტენციური რეჟიმების გაუმჯობესებას მაქსიმალური უსაფრთხოების, უშიშროებისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით, შესაბამის სამთავრობო დეპარტამენტებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან პარტნიორობის გაუმჯობესებას.
საქართველოს პენიტენციური სისტემისთვის ეროვნული ინფრასტრუქტურის სტრატეგიის შემუშავებაში დახმარების გაწევა *TEA Cegos*	2,0 მილიონი 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> იუსტიციის სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> დახმარების გაწევა პენიტენციური ინფრასტრუქტურის დაგეგმვასა და მოვლაში არსებული გამოცდილების მეშვეობით. <u>კომპონენტები:</u> იუსტიციის სამინისტროსთვის დახმარების გაწევა ეროვნული ინფრასტრუქტურის სტრატეგიის შემუშავებაში პენიტენციური სისტემის რეფორმაზე დაყრდნობით და ხელშეწყობა გადაუდებელი სამუშაოების ეფექტიანი და გამჭვირვალე შესრულების მეთვალყურეობაში.
დახმარების გაწევა პოლიციის აკადემიაში სასაზღვრო პოლიციის ფაკულტეტის დაარსებაში *Finnish Border Guards*	850 000 2005-07	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს სასაზღვრო პოლიცია. <u>ძირითადი ამოცანები:</u> დახმარების გაწევა საზღვრის დამცველების გადასვლაში თავდაცვის ძალებიდან სამართალდამცავ სტრუქტურაში. <u>კომპონენტები:</u> სასაზღვრო პოლიციის ფაკულტეტის დაარსების შესაძლებლობის შეფასება; შესაძლებლობის შემთხვევაში ინსტრუქტორთა ტრენინგის სამუშაოების მომზადება და დაწყება.
აუცილებელი მასალები პოლიციის აკადემიაში სასაზღვრო პოლიციის ფაკულტეტის დასაარსებლად *ESABI*	140 000 2006	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს სასაზღვრო პოლიცია. <u>ძირითადი ამოცანები:</u> დახმარების გაწევა საზღვრის დამცველების გადასვლაში თავდაცვის ძალებიდან სამართალდამცავ სტრუქტურაში. <u>კომპონენტები:</u> საინფორმაციო ტექნოლოგიის აპარატურის მოწოდება ადგილობრივი ქსელისათვის; ქსელის დამონტაჟება; სისტემის ადმინისტრატორის ტრენინგი; საოფისე აღჭურვილობის მოწოდება.
ქვეყნის სტანდარტიზაციის სისტემის რეფორმირება *Deutsches Institut für Normung (DIN)*	350 000 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> „საქსტანდარტი". <u>ძირითადი ამოცანები:</u> სტანდარტიზაციის სისტემის მოდერნიზება. <u>კომპონენტები:</u> ნებაყოფლობითი სტანდარტიზაციის ცნების დამკვიდრების ხელშეწყობა; სტანდარტების შესახებ კანონის გადასინჯვა; საერთაშორისო სტანდარტიზაციასთან, კერძოდ, ევროკავშირში დამკვიდრებულ სტანდარტიზაციასთან დაკავშირებით კონსულტაციების გაწევა; ტრენინგი სტანდარტიზაციაში საინფორმაციო ტექნოლოგიათა გამოყენებაში; „საქსტანდარტისთვის" ბიზნეს-გეგმის შემუშავებაში დახმარების გაწევა; ტრენინგი საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებში, მმართველობით უნარ-ჩვევებში, სერტიფიცირებასა და აკრედიტაციაში.

დახმარების გაწევა ფინანსთა სამინისტროში MTEF-ის განხორციელებაში, მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზირების შესაძლებლობის გაძლიერებაში *Ecorys*	199 630 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> ფინანსთა სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები</u>: ფინანსთა სამინისტროში მაკროეკონომიკური პროგნოზირების შესაძლებლობის განვითარება. <u>კომპონენტები:</u> განვითარების მაკროეკონომიკური მოდელის შემუშავება, ტრენინგი ფისკალურ პროგნოზირებაში, ფისკალური პროგნოზირებისთვის ბაზის შემუშავება და ტრენინგი ფისკალურ პოლიტიკაში.
ტექნიკური დახმარება სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოში ინსტიტუციური და მმართველობითი ცვლილებების დაგეგმვასა და განხორციელებაში *HTSPE*	199 860 2005	<u>ბენეფიციარი:</u> სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოსთვის დახმარების გაწევა სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ საწარმოთა უფრო ეფექტიან მართვაში. <u>კომპონენტები:</u> სააგენტოს სტრუქტურის, პროცესების და პროცედურის გადასინჯვა საერთაშორისო სტანდარტებთან მათი შესაბამისობის გაზრდის მიზნით; ინსტიტუციური და მმართველობითი მეთოდების რაციონალიზება სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოში მართვის ეფექტიანობისა და ეფექტურობის გასაუმჯობესებლად; სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოს მმართველობითი სტრატეგიის გაუმჯობესება საწარმოთა ფინანსური და ეკონომიკური შედეგების გასაუმჯობესებლად; ტრენინგის პროგრამის შემუშავება აუცილებელი ქმედითუნარიანობის განვითარების და სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოში ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.
სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში ფინანსური მართვის შესაძლებლობის გაზრდა *Agrisystem Limited*	952 840 2004-06	<u>ბენეფიციარი:</u> სოფლის მეურნეობის სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის შესაძლებლობის მიცემა, შეიმუშაოს, შემოიღოს და წარმართოს საკუთარი სტრატეგია ბიუჯეტის სათანადო და გამჭვირვალე შედგენის, განხორციელების, ანგარიშგების, მონიტორინგისა და შეფასების და შიდა კონტროლის გზით. <u>კომპონენტები:</u> საბიუჯეტო პროცესების გაუმჯობესება, მათ შორის, სტრატეგიისა და ეკონომიკური ანალიზის შესაძლებლობათა გაზრდა; ფინანსთა სამინისტროსთან კავშირის გაუმჯობესება; ფინანსებისა და ეკონომიკის დეპარტამენტის გაძლიერება მიზნობრივი ტრენინგის პროგრამის მეშვეობით; სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის ფინანსური ინფორმაციის სისტემის შემუშავება.

2.2 დახმარება გარდამავალი პერიოდის სოციალური შედეგების დაძლევაში

სიღარიბის დაძლევისკენ მიმართულ ძალისხმევაზე ყურადღების გამახვილებით „ტასისმა" წამოიწყო ისეთი პროექტები, რომლებიც უშუალოდ ამ საკითხს ეხება. საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმებით ევროკომისიამ გადაწყვიტა, თავისი ძალისხმევის კონცენტრირება მოეხდინა ქვეყნის ერთ რეგიონზე, სახელდობრ, კახეთზე. ამგვარი მიდგომა იძლევა რესურსების ერთ ადგილას მაქსიმალურად მოზიდვის შესაძლებლობას და, გარდა ამისა, უზრუნველყოფს ქვეყნის სხვა ნაწილებში სხვა დონორების მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან კოორდინირებას. უპირველეს ყოვლისა, შეგროვდა სტატისტიკური მონაცემები საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებით კახეთში სიღარიბის დონის შესაფასებლად. შემდგომი ნაბიჯი იყო რეგიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

პროექტების მიმოხილვა

პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	**პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა**	**ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით**
კახეთის რეგიონის სამედიცინო პერსონალის გადამზადება *HLSP*	925 000 2005-06	ბენეფიციარი: ჯანდაცვის სამინისტრო. ძირითადი ამოცანები: კახეთის რეგიონში ექიმებისა და მედდების 85 ჯგუფის გადამზადება. კომპონენტები: გადამზადების ორგანიზება; საოჯახო მედიცინის სასწავლო ცენტრებისთვის დახმარების გაწევა; გადამზადების შეფასებისთვის მექანიზმების შემუშავება.
პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებათა აღდგენა, ძირითადი სამედიცინო აღჭურვილობით აღჭურვა და ჯანდაცვის ხელშემწყობი საქმიანობა კახეთის მოსახლეობაში *MERLIN*	4,0 მილიონი 2005-07	ბენეფიციარი: ჯანდაცვის სამინისტრო. ძირითადი ამოცანები: კახეთის რეგიონში პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმირების ხელშეწყობა; ჯანდაცვის ხარისხიანი სამსახურების შექმნის ხელშეწყობა. კომპონენტები: ჯანდაცვის დაწესებულებათა აღდგენა, ძირითადი სამედიცინო აღჭურვილობით აღჭურვა და ჯანდაცვის ხელშემწყობი საქმიანობა მოსახლეობაში.
საქართველოში პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარების ხელშეწყობა: ჯანდაცვის დაფინანსების სისტემის რეფორმირება *GVG/EPOS*	2,2 მილიონი 2004-06	ბენეფიციარი: ჯანდაცვის სამინისტრო. ძირითადი ამოცანები: პირველადი ჯანდაცვისთვის დაფინანსების ეფექტიანი და ეფექტური სისტემის დაარსება. კომპონენტები: ჯანდაცვის დაფინანსების გეგმა კახეთის რეგიონისათვის; ჯანდაცვის სისტემის ხელმძღვანელ მუშაკთა და ადმინისტრატორთა ტრენინგი; რეფორმის შესახებ საინფორმაციო, საგანმანათლებლო და საკომუნიკაციო სამუშაოები დაინტერესებულ მხარეთათვის; ჯანდაცვის მართვის საინფორმაციო სისტემის (HMIS) შემუშავება.
აღჭურვილობა საქართველოში ჯანდაცვის დაფინანსების სისტემის რეფორმის განხორციელების ხელშესაწყობად *GT , ESABI*	196 000 2005-06	ბენეფიციარი: ჯანდაცვის სამინისტრო. ძირითადი ამოცანები: ჯანდაცვის მომსახურების მომწოდებლებთან ხელშეკრულებების გაფორმებაზე და მათთვის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ დაწესებულებათა აღჭურვა. კომპონენტები: საინფორმაციო ტექნოლოგიათა აპარატურა; საოფისე ავეჯი.
რეპროდუქციული ჯანდაცვის ინიციატივა კავკასიის ახალგაზრდებისათვის SANTE 2006 *გაერო-ს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)*	2,5 მილიონი 2006-09	ბენეფიციარი: კავკასიის ჯანდაცვის სამსახურები. ძირითადი ამოცანები: რეგიონის ახალგაზრდებისათვის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების გაუმჯობესება. კომპონენტები: საგანმანათლებლო სამუშაოები; ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანდაცვის სამსახურების მისაწვდომობის გაუმჯობესება; ამ სფეროში პოლიტიკური გარემოს გაუმჯობესება.

სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანდაცვის სისტემის რეფორმირებაში დახმარებისას კონსულტაციის გაწევა *AEDES*	149 650 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> ჯანდაცვის სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ევროკომისიის წარმომადგენლობისთვის სოციალური დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის და ჯანდაცვის სექტორის რეფორმების გატარებისას კონსულტაციის გაწევა. <u>კომპონენტები:</u> ტექნიკური დახმარება.

ევროპული საკითხების სასწავლო ცენტრი თბილისის უნივერსიტეტში

პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	**პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა**	**ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით**
ტექნიკური დავალების მომზადება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ევროპული საკითხების სასწავლო ცენტრის დასაარსებლად პროექტის შემუშავების მიზნით *Ars Progetti*	68 760 2005	<u>ბენეფიციარი:</u> თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სხვა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ევროპული საკითხების სასწავლო ცენტრის დასაარსებლად არსებული პირობების შეფასება. <u>კომპონენტები:</u> შეფასების ჩატარება და რეკომენდაციების გაწევა პროექტის შემუშავებაში; „ტასისის" პროექტისათვის დეტალური ტექნიკური დავალების მომზადება.

კერძო სექტორის მხარდაჭერა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა

პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	**პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა**	**ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით**
მცირე და საშუალო საწარმოებისთვის და რეგიონებში ეკონომიკის განვითარებისთვის დახმარების გაწევა *Enterprises TAM/BAS*	155 000 2003-04	<u>ბენეფიციარი:</u> მცირე და საშუალო საწარმოები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ხელშეწყობა. <u>კომპონენტები:</u> პროგრამის გეგმის თაობაზე თავდაპირველი წინადადებები ემყარებოდა ევროკავშირის სტანდარტულ დამტკიცებულ მეთოდოლოგიას. ეს გულისხმობს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის უშუალო დახმარებას: ამ სფეროს სპეციალისტების კონსულტაციებს და მცირე საწარმოთა ქმედითუნარიანობისა და უნარ-ჩვევების განვითარებას ადგილობრივი კონსულტანტების დახმარებით. ორივე პროგრამა ფუნქციონირებს უშუალოდ საწარმოებისთვის და მიზნად არ ისახავს ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას.

საქართველოს ექსპორტის ხელშემწყობი სააგენტო (GEPA) III *TDI Group*	550 000 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს ექსპორტის ხელშემწყობი სააგენტო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> საქართველოსა და მსოფლიოს სხვა ნაწილებს შორის ვაჭრობის განვითარებაში დახმარება ქართული საექსპორტო კომპანიების შესაძლებლობების გაზრდით და უცხოური კომპანიებისთვის ქართული ბაზრის მისაწვდომობის ხელშეწყობით. <u>კომპონენტები:</u> ტექნიკური დახმარება და ტრენინგი.
საქართველოს აგრობიზნეს-ბანკის ქმედითუნარიანობის გაზრდა *Sofreco*	1,0 მილიონი 2003-05	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს აგრობიზნესბანკი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> საბანკო სფეროში საქართველოს აგრობიზნესბანკის ქმედითუნარიანობის გაზრდა. <u>კომპონენტები:</u> საქართველოს აგრობიზნესბანკის ოპერაციებისა და კადრების განვითარების ხელშეწყობა პრივატიზებისთვის მისი მომზადების გათვალისწინებით; მთავრობისა და ევროკომისიისთვის დახმარების გაწევა აგრობიზნესბანკის პრივატიზებაში.

2.3 მცირე პროექტების მომცველი პროგრამები

მცირე პროექტების მომცველი პროგრამების ფარგლებში გამოიყოფა ფინანსური პაკეტები მსგავსი ტიპის მცირე ზომის პროექტებისთვის ერთი პროგრამის ფარგლებში. მცირე პროექტების მომცველი პროგრამები საშუალებას აძლევს „ტასისს", სწრაფად და ხშირად დასაწყისშივე დააფინანსოს ფართო სპექტრის საქმიანობა. პროგრამები ვრცელდება ისეთ სფეროებზე, როგორიც არის თანამშრომლობა პოლიტიკურ სფეროში, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ხელშეწყობა, კერძო სექტორის განვითარება და საგანმანათლებლო მოდელებისა და სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარება.

მცირე პროექტების მომცველი პროგრამები ხელს უწყობს და ავსებს „ტასისის" პროგრამების ჩვეულებრივ პროცესს ეროვნული სამოქმედო პროგრამის ფარგლებში, რომელიც დამტკიცებულია საქმიანობის ეროვნული ან რეგიონული პროგრამის ნაწილის სახით.

მცირე პროექტების მომცველი პროგრამები „ტასისს" მნიშვნელოვანი მოქნილობის შესაძლებლობას აძლევს, ვინაიდან ისინი იმგვარად არის შემუშავებული, რომ შეასრულოს არა კონკრეტული, არამედ ზოგადი ხასიათის ამოცანები. მცირე პროექტების მომცველი პროგრამების მექანიზმის მოქნილობა ნიშნავს, რომ თითოეული მათგანი განსხვავებულად იმართება, რათა თავის მიზნებს მაქსიმალურად ეფექტიანად მიაღწიოს.

მცირე პროექტების მომცველი პროგრამები საქართველოში ძირითადად ხორციელდებოდა პოლიტიკური კურსის სფეროში კონსულტაციებზე მიმართული პროგრამების სახით, რომლებიც მიზნად ისახავდა სათანადო ინსტიტუციური განვითარებისა და კანონმდებლობის შემუშავების გზით დახმარების გაწევას რეფორმებზე ორიენტირებული, მდგრადი სოციალური და ეკონომიკური სტრატეგიების ჩამოყალიბებაში.

მცირე პროექტების მომცველი პროგრამების ფარგლებში განხორციელებული პროექტები მოკლევადიანია, ისინი, ჩვეულებრივ, ოთხიდან ექვს თვემდე პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობს და მათში მონაწილეობს 2-4 ევროპელი ექსპერტი, რომელთა შერჩევა ხდება კონკრეტული სფეროს პოლიტიკური კურსის საკითხებში მათ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით.

პროექტების მიმოხილვა

პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	**პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა**	**ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით**
ტექნიკური დახმარება საბაჟო სისტემასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე აქტების შემუშავებაში და საბაჟოს მართვაში *Charles Kendall & Associate*	200 000 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> საბაჟო კანონმდებლობის პრიორიტეტებად დაყოფილი კატალოგისა და პრიორიტეტულ კანონქვემდებარე აქტებთან დაკავშირებული წინადადებების შემუშავება. <u>კომპონენტები:</u> პრიორიტეტებად დაყოფილი კატალოგის სამართლებრივი შეფასება და შემუშავება; ძირითად კანონქვემდებარე აქტებთან დაკავშირებული წინადადებების შემუშავება.
შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმების ჯგუფისათვის დახმარების გაწევა *Sema*	200 000 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> შინაგან საქმეთა სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირებისთვის სტრატეგიის შემუშავებაში დახმარების გაწევა. <u>კომპონენტები:</u> შინაგან საქმეთა სამინისტროს, მისი პასუხისმგებლობების, მართვის, კადრების მართვისა და იმ სხვა სამსახურებთან ურთიერთობის შეფასება, რომლებიც ხელს უწყობენ შინაგან საქმეთა სამინისტროს „2004-2006 წლებისთვის სტრატეგიული ხედვისა და განვითარების პრიორიტეტების" განხორციელებას.
ტექნიკური დახმარება შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიის შემუშავებაში *Atos Origin (საკონსულტაციო კომპანია, რომელსაც უწინ ეწოდებოდა Sema)*	200 000 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> შინაგან საქმეთა სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> დახმარების გაწევა საზღვრის დამცველთა ინსტიტუციურ გადასვლაში შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში. <u>კომპონენტები:</u> შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის სტრატეგიის შემუშავებაში დახმარების გაწევა; ევროკომისიისთვის კონსულტაციის გაწევა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელშესაწყობად გამიზნულ შემდგომ პროექტთან დაკავშირებით.
იურიდიული კონსულტაცია სოციალური დაცვისა და ჯანდაცვის სექტორების რეფორმირებაში დახმარების გასაწევად *AEDES*	199 520 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> ჯანდაცვის სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ჯანდაცვის სამინისტროსთვის დახმარების გაწევა მისი კანონმდებლობის ხელახლა დამუშავებაში სოციალური დაცვისა და ჯანდაცვის სექტორებში გატარებული რეფორმების ხელშესაწყობად. <u>კომპონენტები:</u> კონსულტაცია სამართლებრივ და პოლიტიკის საკითხებზე; დახმარება ახალი კანონმდებლობის შემუშავებაში; სამართლის სფეროში ადგილობრივი ექსპერტების ტრენინგი.

2.4 პროგრამა „ტემპუსი"

პროგრამა „ტემპუსი" საქართველოში 1995 წლიდან მიმდინარეობს. „ტემპუსის" ფარგლებში დახმარება ეწევა უმაღლესი განათლების სისტემას, რაც მიზნად ისახავს რეფორმის გატარებას და პარტნიორი ქვეყნებისა და ევროკავშირის უმაღლეს სასწავლებლებს შორის თანამშრომლობის დამყარებას. პროგრამის უკანასკნელი ფაზა, რომელიც „ტემპუს III"-ს სახელით არის ცნობილი და 2000-2006 წლების პერიოდზე ვრცელდება, მიზნად ისახავს, უზრუნველყოს, რომ ყველა პროექტი შეესაბამებოდეს ქვეყნის პრიორიტეტებს და მათში მონაწილეობდეს რაც შეიძლება ბევრი მხარე, მათ შორის, პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიმღები პირები, აკადემიური წრეები და ზოგადად სამოქალაქო საზოგადოება.

საქართველოში „ტემპუსი" ჩართულია უმაღლესი განათლების სისტემის მართვისა და სტრუქტურის რეფორმირების საქმიანობაში, იგი დახმარებას უწევს ადმინისტრაციული და ინსტიტუციური სტრუქტურების განვითარებას, სასწავლო პროგრამების შემუშავებასა და ტრენინგთან დაკავშირებულ სპეციფიკურ საკითხებს.

<u>პროგრამა „ტემპუსში" არსებობს სამი ტიპის პროექტები:</u>

1) **ერთობლივი ევროპული პროექტები (JEP)**, რომელთა მეშვეობით „ტემპუსი" თანადაფინანსების საფუძველზე გამოყოფს გრანტებს უმაღლეს სასწავლებელთა ჯგუფებისათვის, რომლებიც ორი ან სამი წლის პერიოდის განმავლობაში თანამშრომლობენ, რათა მიაღწიონ პროექტებში დასახულ მიზნებს.

2) **სტრუქტურული და დამატებითი ღონისძიებები (SCMs)** პროექტის კონცეფციაა, რომელიც 2003 წელს დაიწყო. სტრუქტურული და დამატებითი ღონისძიებები შედარებით ხანმოკლე, რამდენიმე კვირიდან ერთ წლამდე, სამუშაოებია, რომლებიც მიმართულია უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმირების სტრატეგიის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში პარტნიორი ქვეყნების მცდელობების ხელშესაწყობად.

3) **ინდივიდუალური მობილურობის გრანტები (IMG)** საშუალებას აძლევს პროფესორებს, ლექტორებს და თანამშრომლებს ან სამინისტროს წარმომადგენლებს, გაემგზავრონ სხვა ქვეყნებში რეფორმებთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლად.

პროექტების მიმოხილვა

პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	**პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა**	**ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით**
სამხრეთ კავკასიაში ბიომედიცინასა და ვეტერინარულ განათლებაში სამაგალითო ეროვნული ცენტრების დაარსება *ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯი*	247 000 2003-05	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის უმაღლესი განათლების სექტორი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> მედიცინაში, ვეტერინარიასა და ბიოლოგიაში უმაღლესი განათლების განვითარება და რესტრუქტურიზაცია. <u>კომპონენტები:</u> ბიომედიცინასა და ვეტერინარულ განათლებაში სამაგალითო ეროვნული ცენტრების დაარსება.
პროფესიული თერაპიის განვითარება სომხეთსა და საქართველოში (სომხეთსა და საქართველოში უნარშეზღუდულ ადამიანთა მონაწილეობის ხელშეწყობა) *Hogeschool Van Amsterdam*	49 570 2003-06	<u>ბენეფიციარი:</u> უნარშეზღუდული ადამიანები სომხეთსა და საქართველოში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> პროფესიული თერაპიის სფეროში განათლების დამკვიდრება. <u>კომპონენტები:</u> თანამშრომლობის პროცესში ჩაბმული უმაღლესი სასწავლებლებისა და პრაქტიკული ცენტრების ქსელის დაარსება პროფესიული თერაპიის სფეროში განათლების უზრუნველსაყოფად; პროფესიული თერაპიის მოდულების განხორციელება მოქნილ სტრუქტურაში.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში გარემოსდაცვითი სწავლების შემოღება *ჰოჰენხაიმის უნივერსიტეტი, გერმანია*	296 685 2003-05	<u>ბენეფიციარი:</u> სამხრეთ კავკასიის უმაღლესი სასწავლებლები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> სამხრეთ კავკასიის რეგიონში სოფლის მეურნეობის სფეროს სასწავლო პროგრამებში გარემოსდაცვითი სწავლების შემოღება. <u>კომპონენტები:</u> უმაღლეს სასწავლებელთა ქსელის დაარსება; გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ცოდნისა და ინტერესის გავრცელება.
საქართველოში საკვები პროდუქტების ტექნოლოგიასთან დაკავშირებული სასწავლო პროგრამების განახლება *Universidad de Lleida, ესპანეთი*	294 800 2003-05	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> საკვები პროდუქტების ტექნოლოგიის სწავლების შედეგების გაუმჯობესება. <u>კომპონენტები:</u> საკვები პროდუქტების ტექნოლოგიაში სასწავლო პროგრამებისა და სწავლების მეთოდოლოგიის განახლება ევროკავშირის სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით საკვები პროდუქტების შესახებ ევროკავშირის კანონის შემოღებით; საკვები პროდუქტების ტექნოლოგიაში სასწავლო საშუალებებისა და ლიტერატურის განახლება; საკვების ტექნოლოგიის კონკრეტულ სფეროებში პედაგოგებისა და სტუდენტებისათვის ტრენინგის ჩატარება.

3. სხვა ინსტრუმენტები

3.1 კონფლიქტის მოგვარება და რეაბილიტაცია

ევროკომისია დახმარებას უწევს შიდა კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას, ხელს უწყობს მოლაპარაკებების გამართვას და პოლიტიკური გადაწყვეტის მუდმივ ძიებას. თუმცა ევროკომისია არ არის უშუალოდ ჩართული აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის თავიდან აცილებისა და მოგვარების პოლიტიკურ მხარეში. ამის ნაცვლად ევროკომისია აქტიურ დახმარებას უწევს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ზონებში ეკონომიკური რეაბილიტაციისა და ნდობის აღდგენის საქმიანობას – ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაში ერთმანეთის მიმართ ნდობის დამკვიდრებისთვის. ამ პროექტების მიზანია კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებისთვის პირობების შექმნა, ეკონომიკური საქმიანობის განახლება და „ერთმანეთს დაპირისპირებულ საზოგადოებრივ ჯგუფებს" შორის კონსტრუქციული დიალოგის ხელშეწყობა.

აფხაზეთში მიმდინარე და დაგეგმილი პროგრამები, რომლებსაც ევროკომისია აფინანსებს, მოიცავს ჰუმანიტარულ დახმარებას, ეკონომიკურ რეაბილიტაციას, ნდობის აღდგენისკენ მიმართულ პროექტებს ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად და დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში პროექტებს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად. 1997 წლიდან ევროკომისიამ აფხაზეთისთვის დახმარების პროექტებზე დაახლოებით 25 მილიონი ევრო გამოყო.

სამხრეთ ოსეთში ეკონომიკური რეაბილიტაციისკენ მიმართულ პროგრამებს ევროკომისია 1998 წლიდან აფინანსებს. ამჟამად მიმდინარე პროგრამა კონფლიქტის ზონაში ეკონომიკური რეაბილიტაციის მესამე ფაზას წარმოადგენს. წინა ფაზებში შედიოდა წყლითა და ელექტროენერგიით მომარაგების სისტემების და გაზის სისტემის, სარკინიგზო კავშირებისა და ცხინვალის სადგურის, სკოლებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შენობათა რეაბილიტაცია. ევროკომისიის მიერ სამხრეთ ოსეთისათვის 8 მილიონ ევროზე მეტი დახმარება იქნა გამოყოფილი. 2004 წელს ევროკომისიამ დამატებით გამოყო 2,5 მილიონი ევრო ცხინვალში რეაბილიტაციის პროექტების განსახორციელებლად.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ევროკომისია უმსხვილესი დონორია როგორც სამხრეთ ოსეთისთვის, ისე აფხაზეთისთვის. კონფლიქტის ზონებში დახმარების მისაწოდებლად ევროკომისია იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტს, როგორიც არის „ევროპული ინიციატივა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში", „სწრაფი რეაგირების მექანიზმი" და „ტასისი"

პროექტების მიმოხილვა

აფხაზეთი		
პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	**პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა**	**ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით**
ევროკომისიის ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონისთვის, I ფაზა *საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისია (UNOMIG),* *გაერო-ს განვითარების პროგრამა (UNDP)*	2,0 მილიონი 2005-08	<u>ბენეფიციარი:</u> მოსახლეობა აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> კონფლიქტის ზონაში სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ხელშეწყობა ქართველი და აფხაზი მოსახლეობისათვის საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად და ეკონომიკის აღდგენისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად. <u>კომპონენტები:</u> ადგილობრივი ელექტროქსელისა და სახელმწიფო ჯანდაცვის სამსახურების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ადგილობრივი სოფლის მეურნეობის განვითარება.
დეცენტრალიზებული თანამშრომლობის პროგრამა *აფხაზეთის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით*	950 000 2005-08	<u>ბენეფიციარი:</u> მოსახლეობა აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ამ პროგრამაში შედის თერთმეტი პროექტი, რომელთა მიზანია რეაბილიტაციის პროგრამის გაფართოება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონის ფარგლებს გარეთ დასავლეთ აფხაზეთში. <u>კომპონენტები:</u> ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება, შემოსავლის მოპოვების საზოგადოების მონაწილეობაზე დამყარებული სამუშაოები; ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა, რომელიც მიმართულია ნდობისა და შესაძლებლობების განვითარებისკენ.
ფერმერული საქმიანობისთვის დახმარების გაწევა სოხუმში, აფხაზეთში სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით *Premiere Urgency*	340 000 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> ნატურალური მეურნეობების მქონე გლეხები აფხაზეთში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> დახმარების გაწევა 300 ოჯახისთვის (ნატურალური მეურნეობების მქონე გლეხებისთვის). <u>კომპონენტები:</u> ფერმერული საქმიანობის გაძლიერება აფხაზეთში სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, ყურადღების გამახვილება სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის, ტყვარჩელისა და გალის რაიონებზე.
აფხაზეთის ქალთა ასოციაცია *ფონდი "Civic Initiative of Human Beings for the Future"*	200 000 2005-07	<u>ბენეფიციარი:</u> აფხაზეთის ქალთა ასოციაცია. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ევროკომისია დახმარებას უწევს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ორ პროექტს აფხაზეთში, რაც მიზნად ისახავს დაუცველი მოსახლეობის უფლებების დაცვას და მათი განხორციელების ხელშეწყობას და აფხაზეთში სასამართლო საქმეებისა და სასამართლოს მოხელეთა იურიდიული განათლების მონიტორინგს. <u>კომპონენტები:</u> საკანონმდებლო ბაზის მონიტორინგი და შეფასება; გამოქვეყნება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით; ტრენინგის სემინარების ორგანიზება; გამოფენების მოწყობა; მოსახლეობისთვის უფასო იურიდიული დახმარების გაწევა; სასამართლო საქმეების განხილვის მონიტორინგი; საგანმანათლებლო სემინარები.

ნდობის დამკვიდრება პროექტი I საქართველო - დიალოგის შესაძლებლობის განვითარება *Conciliation Resources*	170 000 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> ნდობის დამკვიდრებაში დაინტერესებული მხარეები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> აფხაზეთში არსებული დაინტერესებული მხარეებისთვის დახმარების გაწევა მათი შესაძლებლობების განვითარებაში ზოგადად კონფლიქტის, კერძოდ კი აფხაზეთში არსებული სიტუაციის გადაწყვეტის მიმართ მიდგომების თვალსაზრისით. <u>კომპონენტები:</u> ჩრდილოეთ ირლანდიაში სასწავლო ვიზიტების და საქართველოში ექსპერტების ვიზიტების ორგანიზება; შეილინგის პროცესის ფარგლებში დიალოგისკენ მიმართული სემინარების მოწყობა.
ნდობის დამკვიდრება პროექტი II: საქართველოში ნდობის განმტკიცება *International Alert*	170 000 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> ნდობის დამკვიდრებაში დაინტერესებული მხარეები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ქართულ და აფხაზურ სამოქალაქო საზოგადოებებს შორის ნდობის დამკვიდრების პროცესის ხელშეწყობა "International Alert"-ისა და საქართველოში/ აფხაზეთში მისი პარტნიორი ორგანიზაციების რიგი ერთობლივი სამუშაოების მეშვეობით. <u>კომპონენტები:</u> სამოქალაქო საზოგადოების საჭიროებათა შეფასება; აფხაზეთში სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთგაგების ხელშეწყობა; მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების როლი; მოსახლეობისთვის უსაფრთხოების მნიშვნელობის გათვითცნობიერება.
სამხრეთ ოსეთი		
პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	**პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა**	**ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით**
ნდობის დამკვიდრება პროექტი III: დიალოგი და შესაძლებლობათა განვითარება - საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი *სტრატეგიულ მეცნიერებათა საერთაშორისო ინსტიტუტი (IISS)*	155 000 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> ნდობის დამკვიდრებაში დაინტერესებული მხარეები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის ნდობის აღდგენის ხელშეწყობა დიალოგის მეშვეობით და ამით საფუძვლის შექმნა იმისათვის, რომ ბოლო ხანებში განვითარებული კრიზისი პოლიტიკურ დიალოგში გადაიზარდოს. <u>კომპონენტები:</u> შეხვედრები და დიალოგი საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებს შორის.
რეაბილიტაცია ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, ფაზა III (ეუთო) *ეუთო (მართვა),* *გაერო-ს განვითარების პროგრამა (UNDP),* *გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი (UNHCR) (განმახორციელებელი ორგანიზაციები)*	2,5 მილიონი 2004-06	<u>ბენეფიციარი:</u> მოსახლეობა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ადგილობრივი და დაბრუნებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და რეგიონში ეკონომიკური საქმიანობის განახლება. <u>კომპონენტები:</u> დაბრუნებულ და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის თავშესაფრის პოვნაში დახმარებისა და დაბრუნებისას აუცილებელი ნივთების კომპლექტების უზრუნველყოფა; საბაზისო ინფრასტუქტურის რეაბილიტაცია - გაზისა და წყლის განაწილების ქსელების აღდგენა, სასმელი წყლით მომარაგებისა და ელექტრული ქსელის რეაბილიტაცია და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დაარსება.

დახმარების გაწევა სამხრეთ ოსეთში ერთობლივი საკონტროლო კომისიისთვის *ეუთო*	183 000 2003-06	<u>ბენეფიციარი:</u> ერთობლივი საკონტროლო კომისია. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ქართული და ოსური მხარეებისთვის დახმარების გაწევა ერთობლივი საკონტროლო კომისიის მოქმედების სფეროში, ევროკავშირის მიერ ეუთო-სათვის გამოყოფილი გრანტის მეშვეობით. <u>კომპონენტები:</u> მგზავრობა, ტრენინგი, შეხვედრები და ერთობლივი საკონტროლო კომისიის საქმიანობისთვის საჭირო სხვა ხარჯები.
სამხრეთ ოსეთის საჭიროებათა შეფასების გამოკვლევისათვის დახმარების გაწევა (თანადაფინანსება) *ეუთო*	50 000 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> ეუთო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> სამხრეთ ოსეთის საჭიროებათა შეფასების ეუთო-ს მიერ განხორციელებული გამოკვლევის ხელშეწყობა. <u>კომპონენტები:</u> ერთობლივი საკონტროლო კომისიისა და დონორებისთვის ინფრასტრუქტურის და ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებულ საჭიროებათა შეფასების წარდგენა.
დეცენტრალიზებული თანამშრომლობის პროგრამა *აფხაზეთის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით*	950 000 2005-08	<u>ბენეფიციარი:</u> სამოქალაქო საზოგადოება აფხაზეთში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> არასამთავრობო ორგანიზაციების იმ საქმიანობის ხელშეწყობა, რომელიც ეხება იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებებს. <u>კომპონენტები:</u> იძულებით გადაადგილებულ პირთა წარმომადგენელი ან იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობათა განვითარება; სამოქალაქო საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის სოციალური და პოლიტიკური დიალოგის, მათ შორის ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე დიალოგის ხელშეწყობა; იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებისა და საქართველოს საზოგადოებაში მათი ინტეგრირების ხელშეწყობა.

3.2 ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების დეპარტამენტი (ECHO)

ევროკავშირმა საქართველოსთვის დახმარების გაწევა დაიწყო 1992 წელს ECHO-ს - ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების დეპარტამენტის — მეშვეობით. ეს იყო გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარება ქვეყანაში ოთხმოცდაათიანი წლების მიწურულს სამოქალაქო ომისა და შემდგომი ეკონომიკური კოლაფსის შედეგად ულუკმაპუროდ დარჩენილი მოსახლეობისთვის. მას შემდეგ ECHO-მ საქართველოს გაუწია 98 მილიონი ევროს დახმარება. 1996 წელს დახმარებამ სახე იცვალა და გადაუდებელი დახმარების შემდგომ დახმარებად იქცა.

2004 წელს დამტკიცდა 4 მილიონი ევროს ოდენობის ჰუმანიტარული დახმარების პაკეტი აფხაზეთში კონფლიქტით დაზარალებული დაუცველი ადამიანების მხარდასაჭერად. დახმარების ბენეფიციარები არიან დაუცველი ადამიანები აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოში, საქართველოში იძულებით გადაადგილებული პირები, აგრეთვე, ბავშვები თბილისში. დახმარება ვრცელდება ისეთ სექტორებზე, როგორიც არის საკვები, სამედიცინო დახმარება და საცხოვრებელი.

პროექტების მიმოხილვა

პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	**პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა**	**ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით**
ეკონომიკური დახმარების პროგრამა *წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი* *(ICRC)*	1,5 მილიონი 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> იძულებით გადაადგილებული პირები და სხვა დაუცველი ადამიანები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> აფხაზეთში, სამეგრელოსა და დასავლეთ იმერეთში 53 700 ადამიანისთვის (იძულებით გადაადგილებული პირებისა და დაუცველი ადგილობრივი მოსახლეობისთვის) დახმარების გაწევა. <u>კომპონენტები:</u> იძულებით გადაადგილებული პირებისთვის დახმარების გაწევა შემოსავლის მოსაპოვებელი მცირე მასშტაბის სამუშაოებით.
პროგრამა „საკვები მუშაობის მიზნით” *Acion Contra el Hambre*	185 000 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> იძულებით გადაადგილებული პირები და სხვა დაუცველი ადამიანები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> სასურსათო უსაფრთხოების განმტკიცება აფხაზეთისა და სამეგრელოს-ზედა სვანეთის რეგიონის განსაკუთრებით დაუცველი ოჯახებისათვის. დახმარება ეწეოდა 14 000 ოჯახს. <u>კომპონენტები:</u> იძულებით გადაადგილებული პირებისთვის საკვებით დახმარება, რათა მათ მისცემოდათ მუშაობის შესაძლებლობა.
რეაბილიტაცია და ტრენინგი თბილისში უნარშეზღუდული ბავშვებისათვის და რუსთავში იძულებით გადაადგილებული ოჯახებისათვის. *Alisei*	500 000 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> იძულებით გადაადგილებული პირები და უნარშეზღუდული ბავშვები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> დახმარების გაწევა 530 იძულებით გადაადგილებული პირისთვის და 830 ბავშვისთვის რუსთავსა და თბილისში. <u>კომპონენტები:</u> წყალ-კანალიზაციის სისტემებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაცია რუსთავში, უნარშეზღუდული ბავშვებისთვის განკუთვნილი სკოლების რეაბილიტაცია.
იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი კოლექტიური ცენტრების სასწრაფო რეაბილიტაცია *დანიის ლტოლვილთა საბჭო*	210 000 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> იძულებით გადაადგილებული პირები დასავლეთ საქართველოში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> დახმარების გაწევა 5 600 იძულებით გადაადგილებული პირისთვის. <u>კომპონენტები:</u> იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაცია ქუთაისსა და ზუგდიდში.
დახმარება რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში სამეგრელოში *Medecins du Monde*	500 000 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> ქალები ზუგდიდში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> დახმარების გაწევა 51 000 ადამიანისთვის სამეგრელოში. <u>კომპონენტები:</u> ჯანდაცვის მისაწვდომობის გაუმჯობესება ქალებისათვის ზუგდიდში.

ECHO-ს ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა *წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC), Accion Contra El Hambre, Premier Urgence*	4,0 მილიონი 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> დაუცველი ადამიანები აფხაზეთში, ზედა სვანეთსა და დასავლეთ საქართველოში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ჰუმანიტარული დახმარების გაწევა და პროგრამა „საკვები მუშაობის მიზნით" ყველაზე დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით. <u>კომპონენტები:</u> წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა; Accion Contra el Hambre-ს პროგრამა „საკვები მუშაობის მიზნით" და შემოსავლის მოსაპოვებლად გამიზნული პროგრამა; Premier Urgence-ის პროექტები, რომელთა მიზანია ადგილობრივი სოფლის მეურნეობით შემოსავლის მოპოვება.

3.3 ევროპული ინიციატივა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში (EIDHR)

ევროკავშირის ფუძემდებლური პრინციპებია თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემისა და კანონის უზენაესობის პრინციპები. ამ პრინციპების დამკვიდრების ხელშესაწყობად 1994 წელს, ევროპარლამენტის წინადადების საფუძველზე, დაარსდა „ევროპული ინიციატივა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში" (EIDHR). პროგრამა მხარს უჭერს და ხელს უწყობს მსოფლიოს იმ ქვეყნებში, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრები, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის დამკვიდრებას. ყოველწლიურად პროგრამის ბიუჯეტით 100 მილიონ ევროზე მეტი თანხა გამოიყოფა. ვინაიდან დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში ევროპული ინიციატივის პროექტების თაობაზე არ ხდება მოლაპარაკება მთავრობებთან, ისინი სასარგებლო მექანიზმებია სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივების ხელშესაწყობად.

საქართველო ერთ-ერთია დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში ევროპული ინიციატივის 29 მიზნობრივი ქვეყნიდან. 2002-2004 წლებში საქართველოში წარმოებული საქმიანობა ყოველწლიურად დაახლოებით 2 მილიონი ევროთი ფინანსდებოდა. 2005-2006 წლებში საქართველოსთვის ყოველწლიურად დაახლოებით 1 მილიონი ევრო გამოიყოფა. საქართველოსთვის გაწეული დახმარება მიმართულია დემოკრატიზაციის, კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებათა კულტურისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრების ხელშეწყობაზე.

ევროპულმა ინიციატივამ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში. ინიციატივის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობაში მონაწილე ევროპულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიძინეს ციდნა გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნების (როგორიც საქართველოა) შესახებ და ამით გაიზარდა მათი შესაძლებლობები. ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წევრთათვის ეს იყო ნდობის განმტკიცებისა და როგორც საკუთარ მეზობლებთან, ისე ევროპელ პარტნიორებთან კავშირების დამყარებისა და ქსელების შექმნის შესაძლებლობა.

პროექტების მიმოხილვა

მიკროპროექტები - ადამიანის უფლებები/დემოკრატია		
პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	**პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა**	**ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით**
ინფორმაცია ყველა მოქალაქეს *დემოკრატიულ მესხთა კავშირი*	50 000 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> უმცირესობათა ჯგუფები ახალქალაქში, ახალციხეში და სოფლები სამცხე-ჯავახეთში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ინფორმაციის მისაწვდომობის დამკვიდრება, ეთნოსთა შორის ურთიერთობების ხელშეწყობა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელშეწყობა. <u>კომპონენტები:</u> უმცირესობების ინფორმირება მათ ძირითად უფლებებზე: საკანონმდებლო აქტების თარგმნა უმცირესობათა ენებზე; ქართული პრესის დაიჯესტის გამოქვეყნება სამ ენაზე; საინფორმაციო ცენტრებისა და საკანონმდებლო აქტების ბიბლიოთეკის დაარსება.

განათლება მშვიდობის სფეროში საქართველოსა და აფხაზეთის საშუალო სკოლებში *COR Georgia*	49 064 2004	<u>ბენეფიციარი:</u> ქართველი და აფხაზი ახალგაზრდები და მასწავლებლები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ტოლერანტობისა და ნდობის დამკვიდრება, ინსტრუქტორებისა და მასწავლებლების ტრენინგი. <u>კომპონენტები:</u> საქართველოდან და აფხაზეთიდან სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ინსტრუქტორ-მასწავლებელთა ჯგუფების შექმნა; ამ მასწავლებელთა ტრენინგი მოსწავლეებისთვის მშვიდობის სფეროში განათლების მისაცემად.
უნარშეზღუდულ ადამიანთა ომბუდსმენი *უნარშეზღუდული ქალებისა და უნარშეზღუდულ ბავშვთა დედების ასოციაცია*	44 266 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> სოციალური მუშაკები და უნარშეზღუდული ადამიანები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ადამიანის უფლებებისა და უნარშეზღუდულ ადამიანებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ცოდნის გავრცელება; სამეგრელოსა და სვანეთში სოციალური მუშაკებისა და უნარშეზღუდული ადამიანების ტრენინგი. <u>კომპონენტები:</u> საქართველოში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების ანალიზი; უნარშეზღუდული ადამიანების სახალხო დამცველთან დაკავშირებით ხუთი ევროპული ქვეყნის გამოცდილების შესწავლა; სოციალური მუშაკებისა და უნარშეზღუდული ადამიანების ტრენინგი.
პროპაგანდა კამპანიისა „არც ერთი ბავშვი ქუჩაში", რომელიც ყურადღებას ამახვილებს ბავშვების უგულებელყოფასა და მათი უფლებების დარღვევაზე *Regional Network for Children (RNC) National Coordinator CLARITAS XXI*	49 335 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> რთულ პირობებში მოხვედრილი ბავშვები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ბავშვის უფლებების სფეროში საჭიროებათა შეფასება, რთულ პირობებში მოხვედრილი ბავშვების მხარდაჭერა და ამ საკითხებზე ზოგადი ცოდნის გაღრმავება თბილისში, ქუთაისსა და ზუგდიდში. <u>კომპონენტები:</u> ბავშვის უფლებებისა და წინასწარი პატიმრობის დაწესებულებებში მოხვედრილი ბავშვების უფლებების სფეროში საჭიროებათა შეფასება; ცხოვრების ჯანსაღ წესთან დაკავშირებით საბაზისო განათლების მიწოდება; ბავშვებისათვის ანტიკრიზისული ცენტრებისა და ცხელი ხაზის დაარსება; პოლიციაში ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით ტრენინგის ჩატარება.
საქართველოს შავიზღვისპირეთის ზონაში ადგილობრივი მოსახლეობისა და ცალკეულ ადამიანთა სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსთან დაკავშირებული უფლებების დაცვა *შავი ზღვის ეკოაკადემია*	47 000 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> ადამიანები საქართველოს შავიზღვისპირეთის ზონაში - აჭარასა და გურიაში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ინფორმაციის მისაწვდომობის დამკვიდრება, სანაპირო ზოლებში მოქალაქეთა გარემოსთან დაკავშირებული უფლებების დაცვა. <u>კომპონენტები:</u> უფასო იურიდიული დახმარების გაწევა და ცხელი ხაზის დაარსება; საინფორმაციო კამპანიის და საჯარო შეკრებების ჩატარება და აქტივისტების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და თემთა ლიდერების ტრენინგი.

ადგილობრივი მმართველობა ადამიანებისთვის და ადამიანებთან ერთად *სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი*	48 950 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> ქალაქები თბილისი და რუსთავი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ორი ქალაქის ბიუჯეტების გამჭვირვალე მონიტორინგი, კარგი მმართველობა და ანგარიშვალდებულება. <u>კომპონენტები:</u> წინადადებების მომზადება მუნიციპალური საბიუჯეტო წესებისა და პროცედურების გასაუმჯობესებლად; ბიუჯეტის განმარტება გასაგები ენით და ინფორმაციის გავრცელება.
რეგიონული კონფლიქტები საქართველოში *კავშირი „რეგიონული კვლევის ცენტრი"*	17 400 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> კონფლიქტების მოგვარებით დაინტერესებული მხარეები. <u>ძირითადი ამოცანები</u>: კონფლიქტებთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების გამოქვეყნება, დახმარება კონფლიქტების მოგვარებაში. <u>კომპონენტები:</u> საქართველოს ფარგლებში 1918-1989 წლებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსის შესახებ ქართულ-რუსულ-ინგლისურენოვანი გამოცემა. „პოლიტიკური სამართლებრივი აქტების" კრებული; კონფლიქტთან დაკავშირებული ყველა იურიდიული და პოლიტიკური დოკუმენტის შეგროვება.
ჯანდაცვის გაუმჯობესებისთვის სასარგებლო ინსტრუმენტები *Transparency International Georgia*	29 100 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> თბილისის მოსახლეობა. <u>ძირითადი ამოცანები</u>: ჯანდაცვის უფასო მომსახურების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დამკვიდრება. <u>კომპონენტები:</u> ქალაქის 2004 წლის ჯანდაცვის ბიუჯეტის შესწავლა; 90 000 ბროშურის გამოქვეყნება და გავრცელება; თბილისში ჯანდაცვის მომსახურების განხორციელების მონიტორინგი.
ქართულ-ოსური კონფლიქტის მსხვერპლი უმცირესობების უფლებათა დაცვა *Helsinki Citizens Assembly Georgian National Committee*	42 900 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> ქართულ-ოსური კონფლიქტის მსხვერპლნი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> უმცირესობათა უფლებების დაცვაში დახმარების გაწევა, სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის ურთიერთობების და ქართველებსა და ოსებს შორის შერიგების ხელშეწყობა. <u>კომპონენტები:</u> ქართულ-ოსური კონფლიქტით გამოწვეული ადამიანის უფლებათა დარღვევების მონიტორინგი; უმცირესობების ჯგუფების ახლანდელი და ახალი ლიდერებისთვის ტრენინგი შესაძლებლობათა განვითარებაში; მშვიდობის აღმშენებლობის სფეროში სემინარების გამართვა; საზოგადოებაში ცოდნის დონის ამაღლება.
წამების სისხლისსამართლებრივი დევნა და საპატიმროთა სისტემაში და სამხედრო კონფლიქტის ზონებში წამების მსხვერპლთათვის დახმარების გაწევა *საერთაშორისო სარეაბილიტაციო ცენტრი წამების მსხვერპლთათვის Violence & Pronounced Stress Impact EMPATHY*	50 000 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> წამების მსხვერპლნი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციაში დახმარების გაწევა და წამების შესახებ ინფორმაციის გავრცელება. <u>კომპონენტები:</u> ქვეყნის მასშტაბით წამების სისხლისსამართლებრივი დევნის სისტემისთვის და წამების მსხვერპლთათვის მოდელის შემუშავება და განხორციელება; სამედიცინო ეთიკასთან დაკავშირებით მრავალმხრივი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და განხორციელება, წამების მსხვერპლთა მონიტორინგი და რეაბილიტაცია.

დიალოგი – პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზა *დემოკრატი მესხების კავშირი*	65 600 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> უმცირესობები ახალციხეში, ადიგენსა და ახალქალაქში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> გზების გამოძებნა ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად. <u>კომპონენტები:</u> ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების ჯგუფების შექმნა თითოეულ რაიონში; კონფერენციებისა და სემინარების მოწყობა პრობლემების განხილვისა და გაანალიზების მიზნით; მასალების სამ ენაზე გამოქვეყნება.
გამჭვირვალობა სკოლებში მომავალი თაობების საკეთილდღეოდ *საქართველოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ასოციაცია*	28 200 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> სკოლები კახეთში, თელავში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> განათლების სისტემაში კორუფციის დონის შემცირება. <u>კომპონენტები:</u> 10 სკოლაში სკოლის ადმინისტრაციასთან, საბჭოებთან და მასწავლებლებთან შეხვედრა სამუშაო ჯგუფების შესარჩევად; სამუშაო ჯგუფების ტრენინგი; სკოლებში საპრეზენტაციო შეხვედრების მოწყობა; მოქმედი სასკოლო საბჭოების შექმნა.
სკოლები სამოქალაქო განათლებისთვის *ტრენინგისა და კონსულტაციების ფონდი-ცენტრი*	84 500 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> ქართული ენის მასწავლებლები ქვემო ქართლში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ქვემო ქართლში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესება. <u>კომპონენტები:</u> ქვემო ქართლში ქართული ენის მასწავლებელთათვის სემინარებისა და სასწავლო შეხვედრების მოწყობა; მასწავლებლებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის შეხვედრების ორგანიზება, საკრებულოებისთვის კანონმდებლობის გამოყენების შესახებ სემინარების ჩატარება.
დაბრუნებული მესხების სოციალური ინტეგრაციის ცენტრი *სამცხე-ჯავახეთის ასოციაცია „ტოლერანტი"*	26 200 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> დაბრუნებული მესხები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> დაბრუნებული მესხების ინტეგრაცია საზოგადოებაში. <u>კომპონენტები:</u> დაბრუნებული მესხებისთვის ახალციხესა და იანეთში ინტეგრაციის ორი ცენტრის დაარსება და გაძღოლა; იურიდიული კონსულტაციისა და დახმარების უზრუნველყოფა, სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება.
კანონის უზენაესობისა და კორუფციასთან ბრძოლის ხელშწყობა *ასოციაცია „მართლმსაჯულება და თავისუფლება"*	58 200 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს სამხედრო ძალები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> სამხედრო სფეროში კანონის უზენაესობის დამკვიდრების ხელშეწყობა. <u>კომპონენტები:</u> თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოშვებული სამართლებრივი აქტების ანალიზი; თავდაცვის სამინისტროს ფინანსური საქმიანობის ანალიზი და მონიტორინგი; რეფორმებში არასამთავრობო სექტორის აქტიური მონაწილეობის შეთავაზება.
ადგილობრივ შესაძლებლობათა განვითარება საქართველოში ტყის უკანონო ჩეხვის თავიდან ასაცილებლად *ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"*	93 100 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> ტყის გარემო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> გარემოსთან დაკავშირებული უფლებების დაცვა და ტყის უკანონო ჩეხვასთან ბრძოლა. <u>კომპონენტები:</u> პოლიტიკისა და კანონმდებლობის ანალიზი; პროპაგანდა და საზოგადოებაში ინფორმაციის გავრცელება; გამჭვირვალობის დამკვიდრება; გადაწყვეტილებათა მიმღებ პირებთან ერთად სემინარების მოწყობა.

ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთგაგების დამკვიდრება და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა საქართველოში ეთნოსთაშორისი განათლებისა და დიალოგის კულტურის სწავლების ხელშეწყობის გზით *ასოციაცია „დებატების კულტურის სწავლება"*	92 600 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> ახალგაზრდები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ახალგაზრდებისთვის დებატების კულტურის სწავლება და ამით სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფსა და უმცირესობებს შორის ურთიერთგაგების ხელშეწყობა. <u>კომპონენტები:</u> 480 მასწავლებლის ტრენინგი ეთნოსთაშორისი განათლებისა და დიალოგის კულტურისადმი მიძღვნილ სემინარებზე; საშუალო სკოლების მასწავლებელთათვის სახელმძღვანელოს და ტრენინგის პროგრამის შემუშავება; 64 ახალგაზრდული სადისკუსიო კლუბის დაარსება საქართველოს მრავალეთნიკური შემადგენლობის სკოლებში.
„მოდი, ჩვენი საზოგადოება საცხოვრებლად უკეთეს ადგილად ვაქციოთ" *„გურიის რესურს-ცენტრი"*	42 800 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> ახალგაზრდები გურიაში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ახალგაზრდების ჩართვა ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში. <u>კომპონენტები:</u> ახალგაზრდებისთვის საზოგადოების გაუმჯობესების სფეროში ტრენინგისა და ადამიანის უფლებების სფეროში განათლების მიწოდება; სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების გეგმების შემუშავება; ახალგაზრდული საბჭოების დაარსება.
სამართალდამცავი სისტემის გაუმჯობესება და მოქალაქეთა უფლებების დაცვა *იურიდიული ინფორმაციისა და ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონული ცენტრი*	74 600 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> სამართალდამცავი ორგანოები აჭარაში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> აჭარაში სამართალდამცავი სისტემის გაუმჯობესება და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა. <u>კომპონენტები:</u> უფასო იურიდიული დახმარების გაწევა, სასამართლოებისა და პოლიციის საქმიანობის მონიტორინგი; მოსამართლეებისა და პოლიციელებისათვის ტრენინგის ჩატარება; საზოგადოების ინფორმირების კამპანიის ჩატარება.
აჭარაში ღია სკოლების ქსელის შექმნა და განვითარება *ასოციაცია „სკოლა-ოჯახი-საზოგადოება"*	44 200 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> სკოლები აჭარაში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> აჭარაში ღია სკოლების ქსელის შექმნა. <u>კომპონენტები:</u> სკოლის მართვასა და განვითარებაში ხუთი ტრენინგის ჩატარება; ფინანსური მართვა; სკოლა-ოჯახი-საზოგადოება.
სახელმწიფო უნივერსიტეტი კორუფციის გარეშე *თავისუფლების ინსტიტუტი*	80 000 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> თბილისის, ახალციხის, ქუთაისის უნივერსიტეტები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში კარგი მართვის ხელშეწყობა. <u>კომპონენტები:</u> უმაღლესი სასწავლებლების მუშაობისთვის ინდიკატორების შემუშავება; უმაღლესი სასწავლებლებისთვის სტრატეგიული გეგმებისა და ბიუჯეტების მომზადება; მომარაგების მარეგულირებელი წესების შემოღება; უმაღლესი სასწავლებლების მართვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება.

საქართველოში კორუფციის თავიდან აცილება და მასთან ბრძოლა სამოქალაქო საზოგადოების ზეწოლის გაძლიერების და მოქალაქეთა პოლიტიზირების პროცესის ხელშეწყობითq *ცვლილებისა და კონფლიქტების მართვის ცენტრი „პარტნიორები-საქართველო"*		ბენეფიციარი: არასამთავრობო ორგანიზაციები. ძირითადი ამოცანები: კორუფციასთან ბრძოლა საზოგადოების აქტიური მონაწილეობისა და სამოქალაქო საზოგადოების ზეწოლის გაძლიერების ხელშეწყობით. კომპონენტები: 20 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა ტრენინგი და კორუფციასთან ბრძოლის მათი შესაძლებლობების განვითარება; ინსტრუქტორთა ტრენინგი; 16 საზოგადოებრივი ფორუმის ორგანიზება; შედეგების გამოქვეყნება და მათი წარდგენა მთავრობისათვის.
რადიო ხიდი თბილისი-ბათუმი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ხელშესაწყობად *ასოციაცია „მწვანე ტალღა"*	87 000 2005-06	ბენეფიციარი: უმცირესობები. ძირითადი ამოცანები: უმცირესობებისთვის საინფორმაციო მხარდაჭერის გაწევა. კომპონენტები: უმცირესობათა ენებზე რადიოქსელისა და პროგრამების მხარდაჭერა, 40 პროგრამა და 40 რადიოხიდი.
სატელევიზიო ციკლი „ეს შენი უფლებაა" *„ინტერნიუს საქართველო"*	51 800 2005-06	ბენეფიციარი: ფართო საზოგადოება. ძირითადი ამოცანები: ფართო საზოგადოებისთვის სწავლება იმისა, თუ როგორ უნდა დაიცვას საკუთარი უფლებები. კომპონენტები: 40 სატელევიზიო ფირის გადაღება და რეგულარული გადაცემები ტელევიზიის ძირითად არხზე.
„ჯანმრთელი ბავშვი-გაძლიერებული საზოგადოებრივი ჯგუფი-ერთიანი საზოგადოება" *რაგბის გულშემატკივართა ლიგა*	78 800 2005-06	ბენეფიციარი: ბავშვები სამცხე-ჯავახეთში. ძირითადი ამოცანები: ბავშვების ჩაბმა სპორტში და ამით ეთნიკური კონფლიქტების თავიდან აცილებაში დახმარების გაწევა. კომპონენტები: სპორტული ცენტრების დაარსება ასპინძაში, ნინოწმინდაში, ახალქალაქში; პერსონალის ტრენინგი; გუნდებში სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანების ჩართვა; რაგბის შეხვედრების მოწყობა.

წამება, მიკროპროექტები

პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	**პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა**	**ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით**
საქართველოში წამების თავიდან აცილება – მთავრობა, საზოგადოება, მსხვერპლნი *„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" (GEO)*	380 000 (20% თანადაფინანსების ჩათვლით) 2003-05	ბენეფიციარი: სამოქალაქო საზოგადოება. ძირითადი ამოცანები: წამების თავიდან აცილება ადამიანის უფლებების დაცვაში სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობის გააქტიურებით. კომპონენტები: პოლიციის განყოფილებების მონიტორინგი; მრგვალი მაგიდის გარშემო სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შეხვედრების მოწყობა; არასამთავრობო ორგანიზაციების ტრენინგი; პოლიციის თანამშრომელთა ტრენინგი; წამების მსხვერპლთათვის დახმარების გაწევა; ინტერნეტგვერდის დაარსება, ბროშურების გამოცემა, სატელევიზიო ვიდეორგოლები და საგაზეთო მასალები; ადამიანის უფლებების შესახებ ალტერნატიული მოხსენების გამოქვეყნება.

წამება, მიკროპროექტები

პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა	ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით
საქართველოში წამების თავიდან აცილება – მთავრობა, საზოგადოება, მსხვერპლნი *„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" (GEO)*	380 000 (20% თანადაფინანსების ჩათვლით) 2003-05	<u>ბენეფიციარი:</u> სამოქალაქო საზოგადოება. <u>ძირითადი ამოცანები:</u> წამების თავიდან აცილება ადამიანის უფლებების დაცვაში სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობის გააქტიურებით. <u>კომპონენტები:</u> პოლიციის განყოფილებების მონიტორინგი; მრგვალი მაგიდის გარშემო სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შეხვედრების მოწყობა; არასამთავრობო ორგანიზაციების ტრენინგი; პოლიციის თანამშრომელთა ტრენინგი; წამების მსხვერპლთათვის დახმარების გაწევა; ინტერნეტგვერდის დაარსება, ბროშურების გამოცემა, სატელევიზიო ვიდეორგოლები და საგაზეთო მასალები; ადამიანის უფლებების შესახებ ალტერნატიული მოხსენების გამოქვეყნება.

კანონის უზენაესობა

პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა	ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით
საქართველოში საჯარო სექტორში და პოლიციის თანამშრომლებს შორის ქცევის ცვლილების ხელშეწყობა *იურიდიული და საჯარო განათლების ასოციაცია (ALPE)*	860 000 (20% თანადაფინანსება) 2003-05	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს პოლიციის ძალები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა ქცევის ცვლილება და ადამიანის უფლებების მიმართ მათი პატივისცემის გაზრდა. <u>კომპონენტები:</u> საზოგადოების წევრთათვის პოლიციისა და პროკურატურის წინაშე მათი უფლებების გაცნობა; პოლიციის თანამშრომელთა ტრენინგი; პოლიციის თანამშრომლებს შორის ადამიანის უფლებების გათვითცნობიერების ხელშეწყობა; ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით არასამთავრობო ორგანიზაციების, ომბუდსმენისა და მედიის შესაძლებლობის გაზრდა.
საქართველოში ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის, ადამიანის უფლებების დაცვის მეთოდებისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრების სფეროებში ევროკავშირსა და ევროპის საბჭოს შორის თანამშრომლობის ერთობლივი პროგრამა *ევროპის საბჭო*	750 000 2003-05	<u>ბენეფიციარი:</u> ქართველი ჟურნალისტები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> საქართველოში ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის, ადამიანის უფლებების დაცვის მეთოდებისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრების ხელშეწყობა. <u>კომპონენტები:</u> ეთნიკური უმცირესობებისთვის დახმარების გაწევა: მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ჟურნალისტების მიერ უმცირესობათა საკითხების გაშუქების უნარ-ჩვევების გაუმჯობესება; უმცირესობათა მედიის პროფესიონალიზაციის ხელშეწყობა; მედიის წარმომადგენელთა ტრენინგი მრავალფეროვნების საკითხებში.

ეთნიკური უმცირესობები, მედია და ახალგაზრდები		
პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	**პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა**	**ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით**
საქართველოს რეგიონული და საჯარო ანგარიშვალდებულების პროექტი *ომისა და მშვიდობის ინსტიტუტი (IWPR)*	780 000 2003-06	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> საქართველოში ბეჭდვითი მედიის გაძლიერება, ყურადღების გამახვილებით რეგიონებზე. ჟურნალისტიკის მიმართ დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ინტერესის გაზრდა. <u>კომპონენტები:</u> რეგიონებში მედიის პოზიციის გაგებისთვის საფუძვლის შექმნა; ხუთი რეგიონული გაზეთისთვის დახმარების გაწევა; რეგიონებში ინფორმაციის მიღწევის გაუმჯობესება; ტრენინგების ჩატარება.
თემთაშორისი ცენტრები ახალგაზრდებისთვის (ICY) - საქართველო *World Vision Deutschland*	672 000 2003-06	<u>ბენეფიციარი:</u> ახალგაზრდები სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ახალგაზრდებისთვის საზოგადოებრივი ცენტრების შექმნა, რაც მიზნად ისახავს ახალგაზრდებისთვის სამომავლო პერსპექტივების გაუმჯობესებას საგანმანათლებლო, სპორტული და გასართობი საქმიანობის მეშვეობით. <u>კომპონენტები:</u> ისეთი ცენტრების შექმნა, სადაც სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური წარმომავლობის ახალგაზრდები შეძლებენ ერთმანეთთან ურთიერთობას კონსტრუქციულ გარემოში.

3.4 მაკროფინანსური დახმარება

ევროკავშირი საქართველოს დახმარებას უწევს არა მხოლოდ პროგრამებისა და პროექტების, არამედ ე.წ. მაკროფინანსური დახმარების მეშვეობით, რომელიც თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო თანამეგობრობის შიდა ბიუჯეტის ხელშეწყობად, მაგრამ 1990 წელს მესამე ქვეყნებზეც გავრცელდა. მაკროფინანსური დახმარება ხელს უწყობს ეკონომიკური და სტრუქტურული რეფორმების განხორციელებას საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან კოორდინირებით. საქართველოში მაკროფინანსური დახმარება გამოიყენება ბიუჯეტის სტაბილურობის მისაღწევად და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დასმული პირობების შესრულებაში ქვეყნისთვის დახმარების გასაწევად.

1998 წლის ივლისში საქართველომ გაისტუმრა ევროკომისიის მიმართ დავალიანების დარჩენილი თანხა - 131 მილიონი ევრო და მას შემდეგ მიეცა შესაძლებლობა, ესარგებლა დახმარების ახალი პაკეტით 1998-2004 წლებისათვის. ეს პაკეტი შედგებოდა 110 მილიონი ევროს ოდენობის სესხისა და 65 მილიონი ევროს გრანტისაგან. 1998-2001 წლებში გადმორიცხული იქნა გრანტის სამი ტრანში, სულ 18 მილიონი ევროს თანხით. საქართველომ გაისტუმრა 25 მილიონი ევრო და ევროკომისიის მიმართ 92 მილიონი ევროს დავალიანება დარჩა.

2006 წლის იანვარში ევროკავშირის საბჭომ დაამტკიცა საქართველოსთვის 33,5 მილიონი ევროს გამოყოფის საკითხი. ეს თანხა გამოიყოფა მაკროფინანსური დახმარების ფარგლებში ორი წლის განმავლობაში - 92 მილიონი ევროს დავალიანების დაფარვის პერიოდში.

3.5 სასურსათო უსაფრთხოების პროგრამა

სასურსათო უსაფრთხოების პროგრამას წინ უძღოდა ევროკავშირის მიერ 1994-1996 წლებში დაფინანსებული სასურსათო დახმარება. ევროკავშირის სასურსათო უსაფრთხოების პროგრამის (საბიუჯეტო დახმარების) ძირითადი მიზანია ეროვნული მთავრობებისთვის დახმარების გაწევა რესტრუქტურიზაციის მცდელობებში სიღარიბის შემცირების სტრატეგიის განსახორციელებლად. ამავე დროს, პროგრამა მიზნად ისახავს სასურსათო უსაფრთხოებისთვის, სიღარიბის შემცირებისა და სახელმწიფო ხარჯების მართვისთვის მნიშვნელოვანი დატვირთვის მქონე სექტორებში ძირითადი რეფორმების სტიმულირებას.

საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების პროგრამა კონცენტრირებულია სასურსათო უსაფრთხოების ძირითად ასპექტებზე, ანუ სურსათით მომარაგებასა და მის მისაწვდომობაზე. ამიტომ დახმარების ძირითადი სექტორებია სოფლის მეურნეობა, საჯარო მომსახურება (ირიგაცია, ვეტერინარია, მცენარეთა დაცვა და ა.შ.) და სოციალური სექტორი (საოჯახო შემწეობები და ბავშვებზე ზრუნვისთვის განკუთვნილი დაწესებულებები). დახმარება ვრცელდება ისეთ მომიჯნავე სექტორებზეც, როგორიც არის მიწის რეფორმა და სახელმწიფო ფინანსების მართვა.

1996-2004 წლებში ევროკომისიამ სასურსათო უსაფრთხოების პროგრამის მეშვეობით 71 მილიონ ევროზე მეტი თანხა გამოყო საქართველოსთვის. ამჟამად ხორციელდება 2005-2006 წლებისათვის გამოყოფილი 20 მილიონი ევროს თანხის ათვისება სასურსათო უსაფრთხოების ორწლიანი პროგრამის ფარგლებში. პროგრამაში მონაწილე პარტნიორები არიან სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტრო, განათლების სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი.

პროექტების მიმოხილვა

პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	**პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა**	**ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით**
სასურსათო უსაფრთხოების პროგრამა 2005 - საქართველო *საქართველოს მთავრობა*	20,0 მილიონი 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> სოფლის მეურნეობის სამინისტრო, განათლების სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> სიღარიბის შემცირებისა და სასურსათო უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი სახელმწიფო სამსახურების, ანუ სოფლის მეურნეობისა და სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესება. <u>კომპონენტები:</u> სახელმწიფო ბიუჯეტისთვის დახმარების გაწევა.

3.6 არასამთავრობო ორგანიზაციების თანადაფინანსება

არასამთავრობო ორგანიზაციების თანადაფინანსება ნაწილია ევროკავშირის მიერ ნაკისრი ვალდებულებისა, ებრძოლოს სიღარიბეს, ხელი შეუწყოს კანონის უზენაესობის, ძირითადი თავისუფლებების, ადამიანის უფლებებისა და ყველა ადამიანისთვის თანასწორი შესაძლებლობების დამკვიდრებას. დახმარების ეს ინსტრუმენტი საშუალებას აძლევს ევროკომისიას, მხარი დაუჭიროს განვითარების სფეროში თანამშრომლობის საკითხებზე მომუშავე ევროპული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ საქმიანობას.

პროექტების მიმოხილვა

პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	**პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა**	**ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით**
„სწავლა სიცოცხლის ბოლომდე" ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები და დასაქმების სამსახურები დაუცველი ახალგაზრდებისათვის, საქართველო *World Vision*	452 000 2004-07	<u>ბენეფიციარი:</u> ახალგაზრდები აჭარაში, კახეთსა და იმერეთში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> 14-დან 20 წლამდე დაუცველი ახალგაზრდებისათვის ეკონომიკური პერსპექტივების გაუმჯობესება ტრენინგის წამოწყებით და ბათუმში, ქუთაისსა და თელავში დასაქმების სამსახურების დაარსებით. <u>კომპონენტები:</u> საზოგადოების მონაწილეობაზე დამყარებული სტაბილური პრევენციული სამსახურების დაარსება დაუცველი ახალგაზრდებისათვის, მათ შორის, ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებში ტრენინგი და დახმარება ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნაში; 550-დან 999 ახალგაზრდისათვის დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა; იმის დემონსტრირება, რომ მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ახალგაზრდებისათვის მცირე ზომის ჯგუფური სახლების მოწყობის ხარჯი ნაკლებია ინსტიტუციური ზრუნვის ხარჯზე; საზოგადოების მონაწილეობაზე დამყარებული პრევენციული ჯანდაცვითი პროგრამების წამოწყება დაუცველი ახალგაზრდებისათვის.

3.7 ახალგაზრდული პროგრამა

ევროკავშირის ახალგაზრდული პროგრამა მხარს უჭერს არაოფიციალურ საგანმანათლებლო საქმიანობას 15-დან 25 წლამდე ახალგაზრდებისათვის. 2000 წელს დაწყებული პროგრამა ახალგაზრდებს სთავაზობს შესაძლებლობებს ჯგუფური გაცვლების და ინდივიდუალური ნებაყოფლობითი მუშაობის ფორმით, სთავაზობს, აგრეთვე, დახმარებისკენ მიმართულ საქმიანობას.

პროექტების მიმოხილვა

პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	**პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა**	**ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით**
საქართველო - ლიცეუმი *Pro International e.V.* *Marburg (Germany)*	9 750 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> მრავალდარგოვანი სკოლა-ლიცეუმი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> თავისუფალი დროის საქმიანობის ორგანიზება მასპინძელი სკოლა-ინტერნატის – მრავალდარგოვანი სკოლა-ლიცეუმი მოსწავლეებისათვის. <u>კომპონენტები:</u> მოხალისეები დაეხმარებიან მოსწავლეებს საშინაო დავალების შესრულებაში, დაეხმარებიან, აგრეთვე, იმ ახალგაზრდებს, რომლებიც მონაწილეობენ პროფესიული მომზადების კურსში სკოლა-ინტერნატის სადურგლო სახელოსნოში.

არაოფიციალური განათ-ლება „ერთობაში" *Inter Echanges* *Pantin Cedex (France)*	12 900 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> საერთაშორისო კავშირი „ერთობა" <u>ძირითადი ამოცანები:</u> მოხალისეების შეგროვება პოლონეთიდან, საფრანგეთიდან და საქართველოდან საერთაშორისო კავშირი „ერთობის" მასპინძლობის სამუშაოების განსახორციელებლად. <u>კომპონენტები:</u> კულტურული და სოციალური ღონისძიებების ორგანიზება, მაგალითად, შემოქმედებითი სემინარების, ფესტივალების ჩატარება, საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ახალგაზრდებისთვის დისკუსიების გამართვა და სოციალურად არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდებისთვის კომპიუტერისა და ინგლისური ენის უნარ-ჩვევების სწავლების ხელშეწყობა.
„ახალგაზრდები და სოციალური ინტეგრაცია" ევროკავშირისა და დსთ-ს მრავალმხრივი პროექტი „ევროპის მოხალისეთა სამსახური" *ფედერაცია ICYE-ს საერთაშორისო ოფისი*	68 800 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> ახალგაზრდები საქართველოსა და სომხეთში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ახალგაზრდების მობილურობის გაზრდა და მათთვის პროექტში მონაწილე ერთ-ერთი მასპინძელი ორგანიზაციის პროექტების ხელშეწყობის შეთავაზება; ხელშეწყობა პროექტებისა, რომლებიც მიმართულია ნაკლები შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებზე. <u>კომპონენტები:</u> მოხალისეებს შეუძლიათ დახმარების გაწევა ისეთ პროექტებში, როგორიც არის პრობლემური ბავშვებისთვის განკუთვნილი სოფლები, ბავშვებზე ზრუნვის ცენტრები, კლუბები სასკოლო დღის დამთავრების შემდგომ პერიოდში, მოხალისეობა და უნარშეზღუდული თუ სხვა სირთულეების მქონე ადამიანების დახმარება და გასართობი ღონისძიებების მოწყობა ან საოჯახო დავალებების ორგანიზება.
კულტურათაშორისი ტრენინგის კურსი „გზა თანასწორობის ქვეყნისკენ" *Europejski dom Spotkan-Fundacja Nowy Staw Lublin*	18 900 2005	<u>ბენეფიციარი:</u> საერთაშორისო კავშირი „ერთობა„. <u>ძირითადი ამოცანები.</u> ახალგაზრდა ლიდერებისთვის და რასიზმთან, დისკრიმინაციასა და გენდერული ნიშნით ძალადობასთან ბრძოლის სტრატეგიასა და ღონისძიებებზე მომუშავე ახალგაზრდებისთვის დახმარების გაწევა. <u>კომპონენტები:</u> კულტურათაშორისი ტრენინგის კურსის შეთავაზება მასპინძელი ორგანიზაციის, საერთაშორისო კავშირი „ერთობის" მეშვეობით; ახალგაზრდების მომზადება ადამიანის უფლებების სფეროში ახალგაზრდული ღონისძიებების დაგეგმვასა და წარმართვაში.
ახალი განზომილებები *სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარების ფონდი, ვილნიუსი*	7 800 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> იძულებით გადაადგილებული პირები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> იძულებით გადაადგილებულ პირებთან მუშაობაში ახალი განზომილებების შეტანა. <u>კომპონენტები:</u> საერთაშორისო მოხალისე დახმარებას გაუწევს სოციალური პროგრამების ფონდის სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზებას.
„სტუდია ევროპა" *Rada Uczelniana Collegium Civitas ZSP (პოლონეთი)*	1 200 2005	<u>ბენეფიციარი:</u> საგანმანათლებლო სატელევიზიო ცენტრი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> მედიის ქცევა ახალგაზრდების აზრის გამოხატვის საშუალებად და ახალგაზრდებისთვის დახმარების გაწევა საკუთარი სატელევიზიო პროგრამების მომზადებაში. <u>კომპონენტები:</u> უცხოელი ექსპერტი დახმარებას გაუწევს მასპინძელი ორგანიზაციის — საგანმანათლებლო სატელევიზიო ცენტრის — მუშაობას ამ ცენტრში ახალგაზრდების საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოში ადგილობრივი საზოგადოებისთვის დახმარების გაწევა არაფორმალური განათლების მეშვეობით *Falkor I.C.Y*	7 500 2005	<u>ბენეფიციარი:</u> ადამიანის უფლებების შესახებ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ცენტრი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> მოხალისე დახმარებას გაუწევს მასპინძელ ორგანიზაციას - ადამიანის უფლებების შესახებ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ცენტრს. <u>კომპონენტები:</u> დახმარება გაეწევა ცენტრის ორ პროექტს: მათ ინტერნეტჟურნალს და მონაცემთა ბაზას და საქართველოში სოციალურად გარიყული ქალების მხარდაჭერას.
შესაძლებლობათა განვითარება დსთ-ში – VII ეტაპი *Service Civil International – „ევროპის მოხალისეთა სამსახური"*	30 600 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> ახალგაზრდები რუსეთში, საქართველოსა და უკრაინაში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> დსთ-ს რეგიონში „ევროპის მოხალისეთა სამსახურის„ პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობათა განვითარება. <u>კომპონენტები:</u> რეგიონში მოხალისეთა ინიციატივების ხელშეწყობა, ზოგადად ადგილობრივ ახალგაზრდებს შორის მოხალისეობის სულისკვეთების წაქეზება; პარტნიორობების გაფართოება და მონაწილე ორგანიზაციებს შორის კავშირების განმტკიცება.
ევროკავშირისა და დსთ-ს ქვეყნებში ახალგაზრდების მოხალისეობისა და სოციალური ინტეგრაციის მრავალმხრივი პროექტი *ფედერაცია ICYE-ს საერთაშორისო ოფისი გერმანია*	63 500 2005	<u>ბენეფიციარი:</u> არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩენილი ახალგაზრდები დსთ-ს რეგიონში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> დსთ-ს ქვეყნებში ახალგაზრდების მობილურობის გაზრდა. <u>კომპონენტები</u>: მუშაობის შეთავაზება პროექტებში, რომლებიც ეხება არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩენილ ახალგაზრდებს და ბავშვებს, დაწყებული ბავშვთა სახლებიდან და უნარშეზღუდულ ბავშვებზე ზრუნვისთვის განკუთვნილი დაწესებულებებიდან და დამთავრებული ახალგაზრდების ქსელებითა და სკოლებით.

4. რეგიონული პროგრამები (დაფინანსებული „ტასისის" მიერ)

ევროკავშირის საგარეო ურთიერთობები დსთ-ს ქვეყნებთან უპირველეს ყოვლისა ემყარება ორმხრივ მიდგომას. „ტასისის" დაფინანსების დაახლოებით ორი მესამედი ცალკეულ ქვეყნებში მიმდინარე საქმიანობისთვის არის გამოყოფილი.

მაგრამ ეროვნულ მიდგომასთან ერთად საჭიროა რეგიონული მიდგომის გამოყენებაც, რათა ქვეყნებს დახმარება გაეწიოთ გლობალური ან ტრანსსასაზღვრო ხასიათის პრობლემების დაძლევაში და მიეცეთ შესაძლებლობა, ისარგებლონ საერთო მიდგომებით, თანამშრომლობაზე დაფუძნებული მოქმედებითა და უფრო ფართე მასშტაბის ეკონომიკური ურთიერთობებით, რასაც რეგიონული მიდგომები გვთავაზობს.

რეგიონული პროგრამა 1992 წელს დაიწყო და მას შემდეგ 140-ზე მეტი პროექტი დაფინანსდა. პირველ ფაზაში, 1992-1995 წლებში, პროგრამა რამდენიმე სექტორზე გავრცელდა. ეს სექტორები იყო: ქსელები, გარემო, საწარმოთა განვითარება, ადამიანური რესურსები, ფინანსური სამსახურები, სოფლის მეურნეობა და „ტასისის" მიერ დაფინანსებული მცირე პროექტები. 1996 წლის შემდეგ პროგრამა სამ სფეროზეა კონცენტრირებული. ეს სფეროებია ქსელები, გარემო და მართლმსაჯულება და საშინაო საქმეები.

„ტასისის" რეგიონული თანამშრომლობის სტრატეგიული დოკუმენტი და ინდიკატიური პროგრამა 2004-2006 წლებისთვის უზრუნველყოფს სტრატეგიულ საფუძველს ევროკავშირის დახმარებისთვის რეგიონული თანამშრომლობისკენ მიმართული საქმიანობისთვის 2006 წლამდე. ეს დოკუმენტი კომისიამ 2003 წლის 11 აპრილს მიიღო. რეგიონული თანამშრომლობის სტრატეგია გამიზნულია კონკრეტული ქვეყნებისთვის განკუთვნილ სტრატეგიებთან ერთად გამოსაყენებლად.

„ტასისის" რეგიონული თანამშრომლობის სტრატეგიულ დოკუმენტსა და 2004-2006 წლებისთვის ინდიკატიურ პროგრამაში მოცემული ძირითადი დასკვნაა, რომ აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის

ქვეყნებს შორის რეგიონული თანამშრომლობის მხარდაჭერას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მთელი ევროპის მასშტაბით მშვიდობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის და სტაბილური ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობისთვის.

<u>პრიორიტეტების სახით დადგენილი იქნა სამი თემატური სფერო:</u>

1) *ბუნებრივი რესურსების სტაბილური მართვა;* აქცენტი არსებითად წყალზეა მიმართული, თუმცა ყურადღება ექცევა ასევე ბიომრავალფეროვნების, სატყეო რესურსებისა და კლიმატური ცვლილების საკითხებს;

2) *ვაჭრობისა და ინვესტიციების ნაკადების ხელშეწყობა,* ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გაზრდის მეშვეობით;

3) *მართლმსაჯულება და საშინაო საქმეები;* ეს პრიორიტეტი მიმართულია საზღვრების ერთიანი გაძლიერებული მართვის, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ხელშეწყობისკენ, აგრეთვე, მიგრაციისა და თავშესაფრის საკითხების მართვის გაუმჯობესებისკენ.

მაშინ, როდესაც 2004 წლის რეგიონული სამოქმედო პროგრამისთვის 45 მილიონი ევრო იყო გამოყოფილი, საქმიანობა 2005 წლის რეგიონული სამოქმედო პროგრამის ფარგლებში 54 მილიონი ევროთი დაფინანსდა.

4.1 პროგრამა INOGATE

INOGATE – "Interstate Oil and Gas Transport to Europe"-ის (ევროპაში ნავთობისა და გაზის სახელმწიფოთაშორისი ტრანსპორტირება) აბრევიატურა — წარმოადგენს პროგრამას, რომლის დანიშნულებაა ევროპის ენერგომომარაგების უსაფრთხოების გაუმჯობესება.

პროგრამა 1995 წელს დაიწყო და 2000 წელს, ოფიციალური დოკუმენტის, ე.წ. „მწვანე წიგნის", რომელსაც ეწოდება „ევროპული სტრატეგია ენერგომომარაგების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად", გამოქვეყნების შემდეგ დაიხვეწა. ევროკავშირის სტრატეგია ეხება, ერთის მხრივ, ენერგიაზე მოთხოვნილების ზრდის კონტროლს და, მეორეს მხრივ, მოთხოვნილებაზე დამოკიდებულების მართვას. პროგრამა INOGATE ხელს უწყობს ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებას რეგიონების გავლით ევროპის ბაზრებისაკენ და საზოგადოდ დასავლეთისაკენ. პროგრამა ასევე ხელს უწყობს ნავთობისა და გაზის მილსადენი სისტემების რეგიონულ ინტეგრაციას. პროგრამა INOGATE, რომელიც მიზნად ისახავს ევროპასა და აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიისა და კავკასიის რეგიონებს შორის ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესებას, დახმარებას უწევს შესაბამისი სახელმწიფოების ნავთობისა და გაზის კომპანიებს დაფინანსების მოპოვების მიზნით ენერგომატარებლების ტრანსპორტირების კონკრეტული სახელმწიფოთაშორისი პროექტების შემუშავებასა და ამ დაფინანსების მოპოვებაში.

INOGATE დამხმარე პროგრამაა და ამიტომ ძირითადად „ტასისის" რეგიონული თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში ფინანსდება. მაგრამ პროგრამას დიდი წვლილი შეაქვს, აგრეთვე, მილსადენის პროექტების დასაფინანსებლად კერძო ინვესტორებისა და საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების მოზიდვაში.

საქართველო პროგრამა INOGATE-ის ერთ-ერთი პირველი წევრი გახდა, როდესაც 1999 წლის 22 ივლისს ხელი მოაწერა INOGATE-ის ქოლგა-შეთანხმებას. ქოლგა-შეთანხმებაში განსაზღვრულია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად თანამშრომლობის ძირითადი წესები. ქოლგა-შეთანხმებას კავკასიის, ცენტრალური აზიის, აღმოსავლეთი ევროპისა და ევროპის ოცდაერთმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი. საქმიანობა პროგრამა INOGATE-ის ფარგლებში ორ ძირითად ელემენტს ეფუძნება. პირველი ელემენტია მოწოდების ფიზიკური უსაფრთხოება, ხოლო მეორე ეხება მოწოდების უსაფრთხოების სტრატეგიულ და კომერციულ ასპექტებს.

პროგრამა INOGATE-ში მონაწილე ქვეყნებს, ჩვეულებრივ, სჭირდებათ დახმარება მომგებიანი პროექტების დასაფინანსებლად აუცილებელი დოკუმენტაციის მომზადებაში. დაფინანსების მოზიდვისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს გამართული იურიდიული ბაზის არსებობას. პროგრამა INOGATE-ის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული საქმიანობაა თანამშრომლობისათვის ინსტიტუციური და იურიდიული ბაზის გაუმჯობესებაში დახმარების გაწევა.

INOGATE-ის ფარგლებში საქმიანობისთვის ევროკავშირის მიერ გამოყოფილი მთლიანი ინდიკატიური ბიუჯეტი 2004-2006 წლებში 18 მილიონი ევროა. 2004-2006 წლების ინდიკატიურ პროგრამაში ყურადღება გამახვილებულია სამ პრიორიტეტზე ენერგეტიკის სექტორში: ევროკავშირის სტანდარტებისა და წესების ჰარმონიზებაზე; უშიშროებისა და უსაფრთხოების ასპექტებზე; ზემოქმედებაზე გარემოსა და ჯანმრთელობაზე.

პროექტების მიმოხილვა

სასწრაფო რეაგირების მობილური ჯგუფების უზრუნველყოფა საქართველოსა და სომხეთში *ETC პროექტები*	480 000 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს გაზის საერთაშორისო კორ-პორაცია. <u>ძირითადი ამოცანები:</u> საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციისთვის სასწრაფო რეაგირების ჯგუფების უზრუნველყოფა. <u>კომპონენტები:</u> გადასატანი აღჭურვილობის მოწოდება მილსადენებზე გადაუდებელი სარემონტო სამუშაოებისათვის.
სასწრაფო რეაგირების მობილური ჯგუფების უზრუნველყოფა *Ravasini*	740 000 2004-06	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია. <u>ძირითადი ამოცანები:</u> საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციისთვის სასწრაფო რეაგირების ჯგუფების უზრუნველყოფა. <u>კომპონენტები:</u> მოძრავი ლაბორატორიების მოწოდება გაზის დაფარული ჟონვის აღმოსაჩენად და გაზის ხარისხის შერჩევით მეთოდზე დაყრდნობით შესამოწმებლად.
მცირე მასშტაბის ინვესტიცია კავკასიის ნავთობისა და გაზის რეგიონული ინფრასტრუქტურისათვის *Renco*	290 000 2003- 05	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია. <u>ძირითადი ამოცანები:</u> გველეთში გაზის აღმრიცხველ სადგურში აღჭურვილობის მოწოდებისა და სასწრაფო რეაგირების ჯგუფების უზრუნველყოფის მეთვალყურეობა. <u>კომპონენტები:</u> მოწოდების ხარისხისა და მომწოდებლის (Pietro Fiorentini) მიერ შესრულებული სამუშაოების კონტროლი; სასწრაფო რეაგირების ჯგუფების მუშაობის ხარისხის კონტროლი და მეთვალყურეობა მათ უზრუნველყოფაზე.
აღჭურვილობის მოწოდება საქართველოში, გველეთში გაზის აღმრიცხველ სადგურში *ietro Fiorentini*	2,4 მილიონი 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ტექნიკური აღჭურვილობის მოწოდება გველეთში გაზის აღმრიცხველი სადგურის ასაშენებლად. <u>კომპონენტები:</u> აღჭურვილობის მოწოდება გველეთში გაზის აღმრიცხველი სადგურისთვის; გაზის აღმრიცხველი სადგურის მშენებლობის ყოველდღიური მეთვალყურეობა; გაზის აღმრიცხველი სადგურისთვის პერსონალის დაქირავება და ტრენინგი.

INOGATE - დსთ-ს ქვეყნების გაზის კომპანიებში ტექნიკური უზრუნველყოფის მაქსიმალურად გაუმჯობესება *Fichtner GmbH*	1,5 მილიონი 2005-07	<u>ბენეფიციარი:</u> გაზის სექტორი სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, საქართველოში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, მოლდოვაში, თურქმენეთში, უკრაინასა და უზბეკეთში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> რეგიონსა და ევროპაში გაზის მოწოდების უსაფრთხოების გაძლიერებაში დახმარების გაწევა; დახმარება გაზის კომპანიებში ტექნიკური უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესებისა და პრაქტიკის მოდერნიზებაში. <u>კომპონენტები:</u> ტექნიკური უზრუნველყოფის არსებული პრაქტიკის ანალიზი; სტანდარტების შემუშავება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით; დახმარება ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს შემუშავებაში კონკრეტული ქვეყნების სპეციფიკის გათვალისწინებით; ტრენინგისა და სასწავლო ვიზიტის ორგანიზება.
საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებათა ტექნიკური დახმარების ხელშეწყობი ფონდი გაზისა და ნავთობის პროექტებში ინვესტიციათა ხელშესაწყობად *Kallimopoulos, Loukopoulos & Chiotellis Law Firm*	2,6 მილიონი 2005-07	<u>ბენეფიციარი:</u> გაზის სექტორი სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ტექნიკური, ფინანსური, იურიდიული და გარემოსდაცვითი გამოცდილების გაზიარება ნავთობისა და გაზის კომპანიებისთვის კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონებში, საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების მიერ დასაფინანსებლად სრულყოფილი პროექტების მომზადების მიზნით. <u>კომპონენტები:</u> დახმარება განაცხადების მომზადებაში საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების მიერ დასაფინანსებლად, მათ შორის: ფინანსური ანალიზისა და შეფასების მომსახურება; მენეჯმენტის სტრუქტურისა და შესაძლებლობის ანალიზი; საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების შესაბამისი საბუღალტრო და სხვა ფინანსური მომსახურება; ტექნიკური კონსულტაციის მომსახურება; მმართველობითი კონსულტაციის მომსახურება, მათ შორის ბიზნეს-გეგმები და კორპორაციული მართვა; გარემოსდაცვითი მომსახურება.
რეგიონული ტექნიკური სამდივნო *EIR Development Partners*	3,0 მილიონი 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> გაზის სექტორი სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, საქართველოში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, მოლდოვაში, უკრაინასა და უზბეკეთში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> კიევში არსებული INOGATE-ის სამდივნოს გაძლიერება თბილისსა და ტაშკენტში ორი რეგიონული ოფისის დაარსებით; ინსტიტუციური რეფორმებისკენ მოწოდება; შესაძლებლობათა განვითარების გზით უშიშროებისა და უსაფრთხოების გაუმჯობესება. <u>კომპონენტები:</u> თბილისსა და ტაშკენტში რეგიონული ოფისების დაარსება; INOGATE-ის მიმდინარე საქმიანობის ხელშეწყობა; INOGATE-თან დაკავშირებით ინფორმაციის გავრცელება; INOGATE-ის ეროვნულ კოორდინატორებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება; პროექტების იდენტიფიცირება საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებათა ან კერძო ინვესტორთა მიერ დასაფინანსებლად.

ევროკავშირის დაფინანსებით დასრულებული
რუსთავის მე-6 საპყრობილის სამზარეულო

საკნები ევროკავშირის დაფინანსებით
დასრულებული რუსთავის მე-6 საპყრობილეში

ენგურის ელექტროსადგურის მე-3
გენერატორი სარეაბილიტაციო
სამუშაოების ჩატარებამდე

ენგურის ელექტროსადგურის მე-3 გენერატორი
ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სარეაბილი-
ტაციო სამუშაოების ჩატარების შემდეგ

დამცავი ფარი ენგურის კაშხალზე, რომელიც,
ევროკავშირის დაფინანსებით, კომპანია
,სიმენსმა“ დაამზადა

ევროკავშირის დაფინანსებით აშენებული გაზის
აღრიცხვის სადგური გველეთში

ევროკავშირის დაფინანსებით აღდგენილი სკოლა
სამხრეთ ოსეთში

ევროკავშირის დაფინანსებით აღდგენილი
კაშხალი კეხვში

ევროკავშირის დაფინანსებით გაწვრთნილი სასაზღვრო პოლიცია



სასაზღვრო პოლიცია თბილისის აეროპორტში

ევროკავშირის მხარდაჭერით გახსნილი სამოქალაქო რეესტრის ბიურო ბათუმში

ევროკავშირის დაფინანსებით მომზადებული ქართული ღვინის გერმანიაში დისტრიბუციის კვლევის პრეზენტაცია

ხელოვნების გაკვეთილი ევროკავშირის დაფინანსებით დაფუძნებული თემთაშორის ახალგაზრდულ ცენტრში ბოლნისში

ევროკომისიის წარმომადგენლობის მიერ ორგანიზებული გამოფენა "ქართველი ბავშვების თვალით დანახული ევროპა" 2005 წლის მაისში

უნარშეზღუდული ბავშვები, რომლებთანაც, ევროკაშირის დაფინანსებით, მუშაობს ,,ინვალიდ ქალთა და ინვალიდი ბავშვების დედათა ასოციაცია"

ევროკავშირის დაფინანსებით დაფუძნებული თემთაშორის ახალგაზრდულ ცენტრში თელავში

4.2 TRACECA

TRACECA-ს – "Transport Corridor Europe – Caucasus – Asia" (ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი) — მიზანია, აშენდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც ევროკავშირს დააკავშირებს შავიზღვისპირა ქვეყნებთან კავკასიაში და ცენტრალურ აზიასთან ჩინეთის საზღვრამდე. ეს დერეფანი უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურას ძველი აბრეშუმის გზის აღსადგენად. პროგრამა წამოწყებული იქნა 1993 წლის მაისში ბრიუსელში გამართულ კონფერენციაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ვაჭრობისა და ტრანსპორტის მინისტრები ცენტრალური აზიის ხუთი რესპუბლიკიდან და კავკასიის სამი რესპუბლიკიდან.

TRACECA-s <u>მიზნებია:</u>

- რესპუბლიკების პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხელშეწყობა ალტერნატიული სატრანსპორტო გზების მეშვეობით ევროპული და მსოფლიო ბაზრების ხელმისაწვდომობის გაზრდით;
- პარტნიორ სახელმწიფოებს შორის შემდგომი რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- TRACECA-ს გამოყენება საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებისა და კერძო ინვესტორების დახმარების მოზიდვის მიზნით;
- TRACECA-ს მარშრუტის დაკავშირება ტრანს-ევროპულ ქსელებთან.

პროგრამა TRACECA-მ სათავე დაუდო ხელისუფლების ორგანოების მჭიდრო თანამშრომლობას და დიალოგს, რის შედეგადაც მიღწეული იქნა შეთანხმებები ტრანზიტის გადასახადის კონკურენტულ დონეზე შენარჩუნების შესახებ, საფუძველი ჩაუყარა, აგრეთვე, საზღვრის გადაკვეთისას საჭირო ფორმალობების გამარტივების მცდელობებს. გარდა ამისა, დაიდო შეთანხმებები TRACECA-ს დერეფნით უფრო დიდი მოცულობის ტვირთების გადაზიდვის შესახებ, ვინაიდან ეს უმოკლესი, პოტენციურად კი უსწრაფესი და უიაფესი გზაა ცენტრალური აზიიდან მსოფლიო ბაზრებთან დამაკავშირებელ ღრმა წყლების პორტებამდე.

„ტასისის" უწინდელ საქმიანობაში ტრანსპორტის სფეროსთან დაკავშირებული საქმიანობა კონცენტრირებული იყო საგზაო და სარკინიგზო პროექტებზე. 2004 წლის სამოქმედო პროგრამაში გათვალისწინებულია ავიაციის უსაფრთხოება და საზღვაო სატრანსპორტო კავშირები.

კავკასიის ცენტრში მისი სტრატეგიული მდებარეობის წყალობით საქართველოში TRACECA-ს ფარგლებში მრავალი ღონისძიება განხორციელდა. ეს იყო ტექნიკური დახმარების 38 ღონისძიება და 11 საინვესტიციო პროგრამა.

პროექტების მიმოხილვა

ტრანსპორტის სექტორში ზედა რგოლის თანამდებობის პირთა შესაძლებლობების განვითარება *EA Transport Research*	1,0 მილიონი 2003-05	<u>ბენეფიციარი:</u> თანამდებობის პირები სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ბულგარეთიდან, საქართველოდან, ყაზახეთიდან, ყირგიზეთიდან, მოლდოვიდან, რუმინეთიდან, ტაჯიკეთიდან, თურქეთიდან, თურქმენეთიდან, უკრაინიდან და უზბეკეთიდან. <u>ძირითადი ამოცანები:</u> სამინისტროების, სარკინიგზო კომპანიების, საზღვრებზე საბაჟო უწყებების, პორტებისა და თღAჩEჩA-ში ჩართული ქვეყნების ცენტრალური ორგანოების ხელმძღვანელობისთვის დოკუმენტაციისა და დეკლარაციის თანამედროვე ტექნიკის, ტვირთებთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემისა და განბაჟების თანამედროვე მეთოდების გაცნობა. <u>კომპონენტები:</u> საბაჟო კონტროლის პროცედურის შემუშავება; ტრენინგი დასავლეთ ევროპაში სატრანზიტო მოძრაობის სფეროში თანამედროვე პრაქტიკაში, რომელიც მინიმალურ საბაჟო პროცედურებს გულისხმობს.

კავკასიის მაგისტრალების რეაბილიტაცია *Louis Berger*	2,0 მილიონი 2002-05	<u>ბენეფიციარი:</u> ეროვნული საგზაო დეპარტამენტები სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ეროვნული საგზაო დეპარტამენტებისთვის დახმარების გაწევა კავკასიის მაგისტრალების რეაბილიტაციაში. <u>კომპონენტები:</u> განსახორციელებელ სარეაბილიტაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით ეკონომიკური და ტექნიკური შესწავლის ჩატარება; ნიადაგების, მასალებისა და გზის საფარების დეტალური საველე შესწავლა; ისეთი სტრუქტურების კვლევა, როგორიც არის ხიდები და წყალსარინი შტოლნები; მოძრაობის შესწავლა; დეტალური საინჟინრო პროექტები და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება; გარემოზე ზემოქმედების შეფასება.
გადამზიდავთა ტრენინგის კურსები *NEA Transport Research*	2,0 მილიონი 2005-07	<u>ბენეფიციარი:</u> გადამზიდავები სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდოვაში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, უკრაინაში, ტაჯიკეთში, უზბეკეთსა და თურქმენეთში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> TRACECA-ს დერეფნის გასწვრივ ვაჭრობის გაუმჯობესება TRACECA-ში მონაწილე ქვეყნებში გადამზიდავთა პროფესიის გაძლიერებით. <u>კომპონენტები:</u> მარეგულირებელ წესებში ევროპული წესების მიხედვით ცვლილებების შეტანის ხელშეწყობა; გადამზიდავთა ასოციაციების გაძლიერება შესაძლებლობათა განვითარების მეშვეობით; გადამზიდავებისთვის ტრენინგის შემუშავება და ჩატარება.
ვაჭრობის ინსტიტუციური ხელშეწყობა *Dornier Consulting*	2,0 მილიონი 2004-06	<u>ბენეფიციარი:</u> გადამზიდავები სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთსა და უზბეკეთში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> TRACECA-ს სატრანსპორტო გზების გასწვრივ ვაჭრობისთვის პირობების გაუმჯობესება. <u>კომპონენტები:</u> TRACECA-ს სავიზო და TRACECA-ს სამგზავრო დოკუმენტაციის შემუშავება და დანერგვა; კომუნიკაციის გაუმჯობესება იმ მხარეებს შორის, ვინც TRACECA-ს დერეფანს იყენებს; ტექნიკური დახმარება ბაქოში მდებარე TRACECA-ს სამდივნოს საქმიანობისათვის.
ფინანსური და ადმინისტრაციული ჩარჩო ხელშეკრულება გაერო-სა და ევროკავშირს შორის. UNECE-ს ქვეყნისშიდა სატრანსპორტო კომიტეტში მონაწილეობა.	121 000 2004-06	<u>ბენეფიციარი:</u> კავკასიის ქვეყნების საგზაო სექტორის ადმინისტრაციათა წარმომადგენლები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> საქართველოსთვის, სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის შესაძლებლობის მიცემა, მონაწილეობა მიიღოს UNECE-ს შეხვედრებში შვეიცარიაში. <u>კომპონენტები:</u> მგზავრობის ხარჯების დაფარვა.
ტრენინგი საზღვაო დაწესებულებებში *Hamburg Port Training Institute (HPTI)*	1,8 მილიონი 2005-07	<u>ბენეფიციარი:</u> საზღვაო ტრენინგის დაწესებულებები უკრაინაში, საქართველოში, აზერბაიჯანში, ყაზახეთსა და თურქმენეთში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> საზღვაო ტრენინგის გაუმჯობესება და აზერბაიჯანის, საქართველოს, ყაზახეთის, თურქმენეთისა და უკრაინის საზღვაო ტრენინგის დაწესებულებათა გაძლიერება. <u>კომპონენტები:</u> ტრენინგის საჭიროებათა ანალიზი; სასწავლო პროგრამების შემუშავება; ისეთი მასალების სრულად უზრუნველყოფა, როგორიც არის კონვენციები; ინსტრუქტორთა ტრენინგი; მიმღებ დაწესებულებებში შესაძლებლობათა განვითარებაში კონსულტაციის გაწევა.

4.3 გარემო

თანამშრომლობას გარემოს დაცვის სფეროში საფუძვლად უდევს *„პროცესი გარემო ევროპისათვის„. „პროცესი გარემო ევროპისათვის"* წამოწყებული იქნა ევროპული ქვეყნების მინისტრთა კონფერენციაზე ჩეხეთის რესპუბლიკაში, დობრისში, 1991 წელს.

ამ პროცესის შედეგად შეიქმნა სტრატეგია, რომელიც შედის გარემოსდაცვით სამოქმედო გეგმაში. გეგმაში ჩამოყალიბებულია საფუძველი ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბის მცდელობებს შორის საერთოევროპული კოორდინაციის გაუმჯობესებისათვის. გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის მეექვსე გამოცემაში, რომელშიც განსაზღვრულია ევროპის თანამეგობრობის გარემოსდაცვითი კურსი 2012 წლამდე, დადგენილია ოთხი პრიორიტეტული სფერო: კლიმატის ცვლილება; ბუნება და ბიომრავალფეროვნება; გარემო, ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხარისხი; ბუნებრივი რესურსები და ნარჩენები.

აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში სტრატეგიის რეფორმირებისა და ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობის მიზნით 1993 წელს შეიქმნა გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფის სამდივნოს ფუნქციას ასრულებენ *ეკონომიკური თანამშრომლობისა* და *განვითარების ორგანიზაცია (OECD)* და *რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC)* ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისათვის. ევროკომისიამ დააფინანსა რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი კავკასიისთვის, რომელიც 2000 წელს თბილისში გაიხსნა.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხებია მიწის გამოფიტვა და წყლის რესურსების მართვა. სასოფლო-სამეურნეო და სამთო სამუშაოების შედეგად დაბინძურებულია გრუნტის წყლები.

საქართველოს ეროვნულ გარემოსდაცვით სამოქმედო გეგმაში, რომელიც 2000 წელს იქნა მიღებული, განსაზღვრულია ცხრა პრიორიტეტი: წყალმომარაგება და დაბინძურება, ჰაერის დაბინძურება, რესურსების გამოყენება, ნარჩენებისა და ქიმიკატების მართვა, მიწის რესურსები, შავის ზღვის დაცვა, ტყეები და მეტყევეობა, გლობალური გარემოსდაცვითი პრობლემები და პრობლემები გარემოსა და ბუნების გამოყენების მართვის სახელმწიფო სისტემაში. 2003 წელს დამტკიცდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა.

თანამშრომლობა ევროკავშირთან გარემოს დაცვის სფეროში განვითარდა ძირითადად პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შესაბამისი შეთანხმებებისა და შესაბამისი ქვეკომიტეტების მეშვეობით. ეს საკითხი ევროპული სამეზობლო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტია.

„ტასისის" რეგიონულ ინდიკატიურ პროგრამაში 2004-2006 წლებისათვის ყურადღება გამახვილებულია სამ პრიორიტეტულ სფეროზე გარემოს დაცვის თვალსაზრისით. ეს არის წყლის რესურსების მართვა; ბიომრავალფეროვნება და სატყეო რესურსების სტაბილური მართვა; კლიმატის ცვლილება.

პროექტების მიმოხილვა

უფრო სუფთა წარმოება დსთ-ს შერჩეულ ქვეყნებში – მოლდოვაში, საქართველოსა და ყაზახეთში — კიშინიოვში, თბილისსა და ალმა-ატაში. *IMC ECONOMICS*	1,5 მილიონი 2003-05	<u>ბენეფიციარი</u>: საწარმოები ალმა-ატაში, კიშინიოვსა და თბილისში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> დაბინძურების შემცირება საწარმოებში რესურსების რაციონალური გამოყენების მეშვეობით. <u>კომპონენტები:</u> ინდუსტრიის ძირითად სექტორებში უფრო შესაფერისი პირობების დამკვიდრების პროცესის ხელშეწყობა; უფრო სუფთა წარმოების ცენტრების შესაძლებლობათა გაზრდა; დსთ-ს ქვეყნების მთავრობებსა და ინდუსტრიაში გადაწყვეტილებათა მიმღები პირებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდება უფრო სუფთა წარმოების ეკონომიკური პოტენციალის შესახებ.
კავკასიაში დსთ-ს რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრებისთვის დახმარების გაწევა	882 000 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი <u>ძირითადი ამოცანები:</u> კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრებისთვის დახმარების გაწევა. <u>კომპონენტები:</u> კავკასიაში და მის ფარგლებს გარეთ გარემოსდაცვითი პრობლემების გადაწყვეტაში დახმარების გაწევა ადგილობრივ, ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე არასამთავრობო ორგანიზაციებს, მთავრობებს, ბიზნესის სფეროსა და ადგილობრივ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობით.

ტექნიკური დახმარების გაწევა სომხეთისთვის, აზერბაიჯანისთვის, საქართველოსა და მოლდოვისთვის გლობალური მასშტაბით კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით მათ მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებაში *Fichtner & C*	1,2 მილიონი 2004-06	<u>ბენეფიციარი:</u> გარემოს დაცვაში დაინტერესებული მხარეები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> კიოტოს ოქმის შესახებ ინფორმაციის გავრცელება; კლიმატის ცვლილების ეროვნული სტრატეგიის შემუშავება და სათბურის ეფექტის პროგნოზირების მოდელირება; შესაძლებლობათა გაზრდა უფრო სუფთა განვითარების მექანიზმის გამოსაყენებლად. <u>კომპონენტები:</u> ბენეფიციარ ქვეყნებში უფრო სუფთა განვითარების მექანიზმის პროექტების განხორციელების შესაძლებლობათა გაზრდა; ძირითად პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიმღებ პირებში, ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებში და ფართო საზოგადოებაში კიოტოს ოქმთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის გავრცელება; ემისიების პროგნოზირების მოდელირებასა და შეფასებაში ადგილობრივ შესაძლებლობათა განვითარება; ბენეფიციარი ქვეყნებისთვის კლიმატის ცვლილების საკუთარი ეროვნული სტრატეგიების შემუშავებაში დახმარების გაწევა.
ევროკომისიის მიერ საერთაშორისო შეთანხმებაში შეტანილი წვლილი: გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის სამუშაო ჯგუფის მიერ დსთ-ს გარემოსდაცვითი სტრატეგიის ხელშეწყობა *ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD)*	1,5 მილიონი 2003-06	<u>ბენეფიციარი:</u> აღმოსავლეთი ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> წყლის სექტორში სამართლებრივი და ინსტიტუციური რეფორმების მონიტორინგი; ფინანსური რეფორმის ხელშეწყობა და სოციალური ზემოქმედებების მართვა. <u>კომპონენტები:</u> წყლის სექტორში ფინანსური, სამართლებრივი და ინსტიტუციური რეფორმები გარემოს დაცვის სფეროში დანახარჯების სისტემების გაუმჯობესებით; ჩამდინარე წყლების, კანალიზაციისა და წყლის რესურსების მუნიციპალური მართვისთვის გარემოს დაცვის დაფინანსების სტრატეგიათა რეალისტურობის გაძლიერება და შესაძლებლობათა განვითარება; სახელმწიფოს მხრიდან გარემოს დაცვის სფეროს დანახარჯების მართვის გაუმჯობესება; ადგილობრივი ფინანსური და კაპიტალის ბაზრების მობილიზება გარემოს დაცვის სფეროში სამუშაოდ.
საინვესტიციო დახმარება შავი ზღვის აუზის ქვეყნებისათვის: საქართველოსთვის, რუსეთისა და უკრაინისთვის *Thales Engereening Consult*	3,3 მილიონი 2004-06	<u>ბენეფიციარი:</u> შავი ზღვის აუზის ქვეყნების მოსახლეობა. <u>ძირითადი ამოცანები:</u> შავ ზღვაში წყლის დაბინძურების და გარემოს მდგომარეობის გაუარესების შემცირებაში მონაწილეობა. <u>კომპონენტები:</u> ისეთ პროექტებზე ყურადღების გამახვილება, რომლებიც მომზადების გვიანდელ ეტაპზეა და საჭიროებს საგანგებო დახმარებას საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების მიერ მოთხოვნილი სტადარტების დაკმაყოფილების თვალსაზრისით; მიზნობრივი წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური და რეგიონული სკრინინგის შესწავლის ჩატარება საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებისთვის შესაფერისი საინვესტიციო შესაძლებლობების დადგენის მიზნით.

4.4 ნარკოტიკების საწინააღმდეგო პროგრამა

სამხრეთი კავკასიის სამი ქვეყანა სტრატეგიულად აზიასა და ევროპას შორის არის განლაგებული და, შესაბამისად, ისინი მდებარეობენ ნარკოტიკების გადატანის დიდი მარშრუტის გზაჯვარედინზე. ეს მარშრუტი იწყება ავღანეთში და სამხრეთი კავკასიისა და ცენტრალური აზიის გავლით მიდის ევროპისკენ. სამივე ქვეყანას ხელი აქვს მოწერილი გაერო-ს სამ კონვენციაზე ნარკოტიკების კონტროლთან დაკავშირებით, მაგრამ მათ არა აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლებიც საშუალებას მისცემდა, თავიდან აეცილებინათ ნარკოტიკების ტრანზიტი. 2000 წელს ევროკომისიამ წამოიწყო სამხრეთ კავკასიისთვის სამოქმედო გეგმის (SCAD) განხორციელება და მას შემდეგ გამოყო 5,1 მილიონი ევრო სამხრეთ კავკასიაში ნარკომანიასთან და ნარკოტიკებით ვაჭრობასთან ბრძოლის შესაძლებლობის განვითარების ხელშესაწყობად.

პროექტების მიმოხილვა

პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	**პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა**	**ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით**
სამხრეთ კავკასიაში ნარკოტიკების საწინააღმდეგო პროგრამა, SCAD 4 *გაერო-ს განვითარების პროგრამა (UNDP)*	2,2 მილიონი (10% UNDP-ის თანადაფინანსების ჩათვლით) 2004-06	<u>ბენეფიციარი:</u> აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის შინაგან საქმეთა სამინისტროები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> სამხრეთ კავკასიის გავლით ნარკოტიკების ტრანზიტის შემცირება მოთხოვნისა და მოწოდების შემცირებისკენ მიმართული ღონისძიებების მეშვეობით. <u>კომპონენტები:</u> სამართლებრივი დახმარების გაწევა; აეროპორტებში, საზღვაო პორტებსა და სახმელეთო საზღვრებზე ნარკოტიკების კონტროლის ხელშეწყობა; პოლიციის დაზვერვის სამსახურისთვის დახმარება; ნარკომანიის მონიტორინგის სისტემის დაარსება; სკოლებში ნარკომანიის პრევენცია; არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელის შექმნა.

5. ერთობლივი ქმედებები საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის (CSFP) ფარგლებში

მსოფლიო და რეგიონული მასშტაბის კრიზისებსა და პრობლემებზე რეაგირების მიზნით ევროკავშირმა გადაწყვიტა, ჩამოეყალიბებინა საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკა (CSFP). საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკა 1993 წელს მაასტრიხტის ხელშეკრულების დადების შედეგად ამოქმედდა. ერთობლივი ქმედებები საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის ფარგლებში თანამეგობრობისა და/ან წევრი სახელმწიფოების მიერ ფინანსდება. ისინი ეხმარებიან ქვეყანას, რომელშიც არსებობს საფრთხე კანონისა და მართლწესრიგისათვის და ადამიანების უსაფრთხოებისათვის, რაც შეიარაღებულ კონფლიქტში ან დესტაბილიზაციაში შეიძლება გადაიზარდოს.

5.1 სწრაფი რეაგირების მექანიზმი

სწრაფი რეაგირების მექანიზმი ერთ-ერთი ინსტრუმენტია საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის ფარგლებში. ეს მნიშვნელოვანი მექანიზმია, რომელიც ევროკომისიას საშუალებას აძლევს, სწრაფად და ეფექტიანად მოახდინოს რეაგირება მესამე ქვეყნებში წარმოქმნილ კრიზისულ სიტუაციებზე. სწრაფი რეაგირების მექანიზმის საშუალებით შესაძლებელია მესამე ქვეყნებში პოლიტიკური კრიზისების სტაბილიზაციისკენ მიმართული ღონისძიებებისთვის თანხების ძალზე მოკლე დროში მობილიზება. თუმცა ამ ტიპის საქმიანობის ხანგრძლივობა ექვს თვემდეა შეზღუდული.

„ვარდების რევოლუციის" შემდეგ ევროკავშირმა გადაწყვიტა, გამოეყენებინა სწრაფი რეაგირების მექანიზმი, რათა დახმარება გაეწია ახალი ხელისუფლებისთვის 2004 წლის იანვარში საპრეზიდენტო არჩევნების და იმავე წლის მარტში განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაში. ევროკავშირმა გამოყო 2 მილიონი ევრო ახალი ხელისუფლებისთვის სამართლებრივი და ტექნიკური შესაძლებლობების განვითარებაში და არჩევნების სამართავად მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით დახმარების გასაწევად.

2004 წლის 2 ივლისს ევროკომისიამ გადაწყვიტა, დამატებით გამოეყო 4,65 მილიონი ევრო სწრაფი რეაგირების მექანიზმის ფარგლებში საქართველოში კანონის უზენაესობის განმატკიცებისა და დემოკრატიული პროცესების ხელშემწყობი ღონისძიებებისთვის. თანხები გამოყოფილი იქნა პოლიტიკური და ინსტიტუციური რეფორმების განსახორციელებლად ოთხ სფეროში. ეს სფეროებია: (i) პენიტენციური და პრობაციის სამსახურების რეფორმირება; (ii) იუსტიციის სამინისიტროსა და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების საორგანიზაციო რეფორმის გატარება; (iii) საპარლამენტო და საარჩევნო რეფორმის გატარება; (iv) კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ჯგუფებში ნდობის აღდგენა.

პროექტების მიმოხილვა

პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	**პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა**	**ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით**
საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის დახმარების გაწევა სტრატეგიის შემუშავებაში და შესაძლებლობათა სასწრაფო განვითარებაში *TL – Eric Minnegheer*	600 000 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> იუსტიციის სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> იუსტიციის სამინისტროს ინსტიტუციურ შესაძლებლობათა შეფასება; სამომავლო სტრატეგიასთან და ქმედებების დაგეგმვასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება. <u>კომპონენტები:</u> იუსტიციის სამინისტროს ინსტიტუციური სტრატეგიული და საორგანიზაციო შესაძლებლობების გაძლიერება ინსტიტუციურ რეფორმასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევით და განსაკუთრებით გადაუდებელ საკითხებში შესაძლებლობათა განვითარებით; ფინანსური მართვისა და ბიუჯეტის მართვის რეფორმირება; კადრების მართვა; იუსტიციის სამინისტროს ფარგლებში სამოქალაქო რეესტრის შექმნა.
საქართველოში პრობაციის სამსახურისთვის დახმარების გაწევა *Penal Reform International*	235 000 2004	<u>ბენეფიციარი:</u> იუსტიციის სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> დახმარება სტრატეგიის შემუშავებაში პრობაციის სამსახურის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით. <u>კომპონენტები:</u> სტრატეგიის შემუშავებისა და პრობაციის დეპარტამენტის თანამშრომელთა ტრენინგის გარდა, ეს პროექტი მიზნად ისახავს, გააცნოს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს პრობაციასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის პროექტები, რათა მიაწოდოს მათ ინფორმაცია და იდეები, რომლებიც საშუალებას მისცემს, შეიმუშაონ პროექტები პრობაციის სამსახურთან ერთობლივად განხორციელების მიზნით.
ტექნიკური დახმარების გაწევა საქართველოს პარლამენტისთვის — ევროკავშირის კანონმდებლობის სკრინინგი *Coviconsult*	196 200 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს პარლამენტი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> პარლამენტარებს შორის ევროკავშირში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის თაობაზე ცოდნის გაღრმავება და კანონმდებლობის ჰარმონიზება; საქართველოს პარლამენტის კონტროლისა და კანონშემოქმედების უნარის გაძლიერება. <u>კომპონენტები:</u> რეკომენდაციები პარლამენტში საორგანიზაციო ცვლილებებთან დაკავშირებით პარლამენტის თანამშრომლებისა და პარლამენტის წევრების შესაძლებლობათა გაზრდის მიზნით; ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზების მექანიზმებისა და კანონმდებლობის შემუშავებასა და სკრინინგში პარლამენტის როლის უკეთესი გაგება; კანონშემოქმედებაში გამოცდილების გაზრდა; საპარლამენტო კომიტეტების სტრუქტურის გაუმჯობესება; დამოუკიდებელი კვლევისა და ტრენინგის ჩატარების შესაძლებლობის გაზრდა; ევროკავშირის სტრუქტურებთან ინტეგრაციის სამთავრობო კომისიაში პარლამენტის წევრთა ჩართვისთვის სათანადო დახმარების გაწევა.

საპარლამენტო რეფორმა — საქართველოს პარლამენტის „ბიზნესისა და პარლამენტის საერთაშორისო ასოციაციის" მოდელი *საქართველოს პარლამენტის „ბიზნესისა და პარლამენტის საერთაშორისო ასოციაცია" (IABP)*	80 500 2004	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს პარლამენტი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ძლიერ და სტაბილურ ბიზნესის სტრატეგიასა და ფისკალურ პოლიტიკაზე პარლამენტის ზეგავლენის გაძლიერება. <u>კომპონენტები:</u> ეკონომიკის განვითარების საკითხებში პარლამენტის წარმომადგენლობითი და მაკონტროლებელი უნარის გაძლიერება; პარლამენტის წევრთა მიერ ბიზნესისა და ეკონომიკის საკითხებში უკეთესად გარკვევა; ეკონომიკურ პოლიტიკაში პარლამენტის საკანონმდებლო ცოდნის გაზრდა.
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაძლებლობათა განვითარება *გაერო-ს განვითარების პროგრამა (UNDP)*	2,1 მილიონი 2005	<u>ბენეფიციარი:</u> იუსტიციის სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> რუსთავის მე-6 საპყრობილის რეაბილიტაცია; რუსთავის მე-6 საპყრობილის შესაძლებლობათა განვითარება; საქართველოს რეგიონებში სამოქალაქო რეესტრის საცდელი ოფისების დაარსების ხელშეწყობა. <u>კომპონენტები:</u> აღჭურვილობა, სამშენებლო სამუშაოები, ტრენინგი და შესაძლებლობათა განვითარებისკენ მიმართული საქმიანობა.
გაერო-ს განვითარების პროგრამა: „საქართველოს პარლამენტის მუშაობის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაზრდა" *გაერო-ს განვითარების პროგრამა (UNDP)*	500 000 2005	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს პარლამენტი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> საქართველოს პარლამენტის მუშაობის ეფექტიანობისა და ეფექტურობის გაზრდა. <u>კომპონენტები:</u> შიდა და კანონშემოქმედების პროცესებისთვის ცენტრალური ადგილის მინიჭება და მათი გამარტივება; თანამედროვე მეთოდოლოგიებსა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში პარლამენტის წევრთა და თანამშრომელთა უნარ-ჩვევების გაუმჯობესება; პარლამენტის წევრთა და თანამშრომელთა ქმედითუნარიანობის და აქტიურობის გაზრდა პარლამენტის პასუხისმგებლობის ყველა სფეროში.
ლატვიისა და საქართველოს პარლამენტების თანამშრომლობა *LINKS*	149 200 2005	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს პარლამენტი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> საქართველოს პარლამენტისთვის დახმარების გაწევა მისი მიზნის – დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრების და ევროპულ სტანდარტებთან ქვეყნის დაახლოების – მიღწევაში. <u>კომპონენტები:</u> საქართველოს პარლამენტის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის კომიტეტსა და ლატვიაში ასეთივე კომიტეტს შორის გამოცდილების გაზიარება და ურთიერთობა სასწავლო ვიზიტებისა და კოლეგების სწავლების გზით.

5.2 სხვა საქმიანობა საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის ფარგლებში

ევროკავშირი დახმარებას უწევდა საქართველოს სახმრეთ ოსეთში განვითარებული კონფლიქტის დროს ქართულ-ოსური პოლიციის შექმნაში. იგი აგრძელებს ერთობლივი საკონტროლო კომისიისთვის დახმარების გაწევას. ეს კომისია წარმოადგენს უწყებას საქართველოს, რუსეთის, სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენელთა შორის მოლაპარაკებების საწარმოებლად. ამ საქმიანობაში ევროკავშირის განმახორციელებელი პარტნიორია ეუთო. საბჭოს მიერ განხორციელებული საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირი დახმარებას უწევს ქვემოთ მითითებულ სამ საქმიანობას:

სპეციალური წარმომადგენლები სამხრეთ კავკასიაში

სამხრეთ კავკასიასთან დაკავშირებით ყოვლისმომცველი პოლიტიკის შემუშავებაში საბჭოსთვის დახმარების გასაწევად და ამ რეგიონში კონ-

ფლიქტების მოგვარების ხელშესაწყობად 2003 წლის ივლისში ევროკავშირმა დანიშნა **სპეციალური წარმომადგენელი** სამხრეთ კავკასიაში. ამ თანამდებობაზე დაინიშნა ელჩი ჰაიკი ტალვიტი ფინეთიდან. სპეციალური წარმომადგენლის როლში ელჩი ტალვიტი ხელს უწყობდა უმაღლესი წარმომადგენლის, ხავიერ სოლანას, მუშაობას ამ რეგიონში.

2003 წლის ნოემბერში მომხდარი „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ტალვიტიმ საგანგებო ყურადღება დაუთმო საქართველოს და რეგულარულად ხვდებოდა როგორც საქართველოს ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისე სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, თურქეთისა და აშშ-ის წარმომადგენლებს. იგი დახმარებას უწევდა აჭარაში არსებული სიტუაციის მშვიდობიანი გადაწყვეტის პოვნის მცდელობებს და რეგულარულ საუბრებს ატარებდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტ ლიდერებთან. 2006 წლის თებერვალში ტალვიტი გადადგა თანამდებობიდან. იგი შეცვალა პეტერ სემნებიმ შვედეთიდან.

EUJUST THEMIS - კანონის უზენაესობის მისია

კანონის უზენაესობის სფეროში საქართველოს წინაშე სერიოზული და გადაუდებელი ამოცანები დგას, დაწყებული სასამართლოებით და პროკურატურით და დამთავრებული პენიტენციური სისტემით. საქართველოს ხელისუფლებამ სასამართლო სისტემის რეფორმირება თავის ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახა და ევროკავშირს მიმართა უფრო საფუძვლიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებაში დახმარებისათვის. ამის პასუხი იყო ევროკავშირის მისია კანონის უზენაესობის სფეროში **EUJUST THEMIS** - ევროკავშირის პირველი მისია ევროპის უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკის (ESDP) ფარგლებში. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ევროპის უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკის სამოქალაქო მიმართულების ჩამოსაყალიბებლად.

EUJUST THEMIS-ის გუნდი, რომელიც შედგებოდა 12 ექსპერტისაგან დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპიდან, 12 ქართველ კოლეგასთან ერთად, მუშაობას 2004 წლის ივლისში შეუდგა და ერთი წლის შემდეგ დაასრულა. მისია დახმარებას უწევდა საქართველოს მთავრობას რეფორმის პროცესისადმი კოორდინირებული ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებაში.

მომზადებული სტრატეგია – 28 გვერდიანი დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბებულია პროცედურები დაწყებული დანაშაულის გამოძიებით და დამთავრებული დამნაშავის საპატიმროში მოთავსებით, დაამტკიცა საქართველოს პრეზიდენტმა. შეიქმნა საორგანიზაციო ჯგუფი, რომელმაც მოამზადა სტრატეგიის განხორციელების გეგმა. სტრატეგია ასახულია ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაში და საქართველოს მთავრობამ მისი განხორციელება განსაკუთრებულ პრიორიტეტად გამოაცხადა.

სამხრეთი კავკასიის საზღვრის დაცვის ხელშემწყობი მისია

საქართველოსთვის მისი საზღვრების გრძელვადიანი პერსპექტივით უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დახმარების გასაწევად ევროკავშირმა შექმნა **საზღვრის დაცვის ხელშემწყობი ჯგუფი.** სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის დაქვემდებარებაში მყოფმა გუნდმა მუშაობა 2005 წლის სექტემბერში დაიწყო. გუნდი შედგება 14 ადამიანისგან, აქედან 9 საერთაშორისო და 5 ქართველი ექსპერტია. საქართველოს მთავრობასთან მჭიდრო თანამშრომლობით გუნდი მუშაობს საზღვრების უშიშროების სისტემის რეფორმირებაზე როგორც სტრატეგიულ, ისე საოპერაციო დონეებზე. სტრატეგიულ დონეზე საზღვრის დაცვის ხელშემწყობი ჯგუფის მიერ გაწეული დახმარება მიმართული იყო ყოვლისმომცველი ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიისა და განხორციელების გეგმის შემუშავებაზე საქართველოს საზღვრის დაცვის სისტემის რეფორმირებისათვის. საოპერაციო დონეზე საზღვრის დაცვის ხელშემწყობი ჯგუფი ყურადღებას ამახვილებს დახმარებაზე საქართველოს საზღვრის დამცველთათვის საოპერაციო პროცედურების შემუშავებაში.

ნაწილი IV

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების თანამშრომლობა განვითარების სფეროში

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საქმიანობა საქართველოში თანამშრომლობის სფეროში

ევროკავშირის დახმარება საქართველოსათვის, რომელიც ქვეყანას ევროკომისიის მეშვეობით მიეწოდება, ფინანსდება ევროკავშირის ბიუჯეტიდან. ბიუჯეტს ამტკიცებენ ევროკავშირის საბჭო და ევროპარლამენტი. ამ ბიუჯეტში თავისი წვლილი შეაქვს თითოეულ წევრ სახელმწიფოს. მაგრამ, გარდა ამისა, წევრი სახელმწიფოები აწარმოებენ საკუთარ ორმხრივ პროგრამებს განვითარების სფეროში, რომლებიც მათი ეროვნული ბიუჯეტებიდან ფინანსდება. საქართველოში ხორციელდება როგორც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ დაფინანსებული პროექტები, ისე პროექტები, რომელთაც აფინანსებს და ხელმძღვანელობს ევროკომისია.

არსებობს მექანიზმები საქართველოში ევროკომისიის მიერ წარმართული პროგრამებისა და უშუალოდ წევრი სახელმწიფოების მიერ განხორციელებული პროგრამების კოორდინაციისათვის. „ტასისის" კომიტეტში, რომლის თავმჯდომარე ევროკომისიაა და რომელიც რეგულარულად იკრიბება ბრიუსელში, წევრ სახელმწიფოებს რეგულარულად ეთათბირებიან განსახორციელებელ პროგრამებთან დაკავშირებით. თითოეულ წევრ სახელმწიფოს ჰყავს წარმომადგენელი ამ კომიტეტში. წარმომადგენლებმა უნდა განიხილონ და კენჭი უყარონ ევროკომისიის მიერ შემოთავაზებულ პროგრამებსა და პროექტებს. ამ გზით თითოეულ წევრ სახელმწიფოს შეუძლია შეადაროს ევროკომისიის მიერ წამოჭრილი წინადადებები საკუთარ წამოწყებებს განვითარების სფეროში. ამ პროცესის საშუალებით შესაძლებელია პოტენციური დუბლირების ან ზედმეტობის ადრეულ ეტაპზე გამოვლენა. მეორე საკონსულტაციო და საკოორდინაციო მექანიზმი თავად საქართველოში არსებობს. რეგულარულად იმართება საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობისა და წევრ სახელმწიფოთა საელჩოების შეხვედრები, რომლებიც იძლევა მიმდინარე პროექტებთან დაკავშირებით ინფორმაციისა და მოსაზრებების გაზიარებისა და განხილვის საშუალებას. წინამდებარე მოხსენებაც აღნიშნული საკოორდინაციო პროცესის კონკრეტული პროდუქტია.

ქვემოთ მოცემულია უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია იმ პროექტებთან დაკავშირებით, რომელთაც უშუალოდ აფინანსებენ საქართველოში დიპლომატიური წარმომადგენლობების მქონე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები. ევროკავშირის ბევრი წევრი სახელმწიფო ახორციელებს და თავად წარმართავს საქართველოს დასახმარებლად მიმართულ პროექტებს.

ავსტრია

ზოგადი ინფორმაცია

„ნოუ-ჰაუს" გადაცემის ცენტრი:

ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADC), ქალაქების ავსტრიული ასოციაციის, ანუ მისი „ნოუ-ჰაუს„ გადაცემის ცენტრის (KHTC), მეშვეობით შეუძლია დააფინანსოს სასწავლო ვიზიტები და ანალოგიური საქმიანობა, ხელი შეუწყოს კონტაქტების დამყარებას და „ნოუ-ჰაუს„ გაცვლას სახელმწიფო მართვის სხვადასხვა სფეროებში. პროგრამა კონცენტრირებულია მუნიციპალურ დონეზე თანამშრომლობაზე და ავსტრიის სახელწმიფო დაწესებულებათა მოთხოვნის საფუძველზე ახორციელებს პროგრამებს.

არასამთავრობო ორგანიზაციების თანადაფინანსება:

ავსტრიის განვითარების სააგენტო ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობას და პარტნიორობას ავსტრიულ და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანადაფინანსების სპეციალური სქემის მეშვეობით. ავსტრიულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადები განაცხადების წარმოდგენის თაობაზე მოწვევის ფარგლებში, რომელიც წელიწადში ორჯერ ქვეყნდება. ამჟამად პროგრამის თემებია კონფლიქტების თავიდან აცილება და მოგვარება, განათლება ადამიანის უფლებათა სფეროში, ადამიანებით ტრეფიკინგთან ბრძოლა და აივ/შიდს-ი.

განვითარება და პარტნიორობები ბიზნესის სფეროში:

ათვითცნობიერებს რა კერძო სექტორში მიმდინარე საქმიანობის მნიშვნელობას ეკონომიკის ზოგადი განვითარებისთვის, კერძოდ კი მის პოტენციურ

სოციალურ მნიშვნელობას, ავსტრიის განვითარების სააგენტო დახმარებას უწევს კერძო კომპანიებს, რომლებიც საქმიანობას ეწევიან გარდამავალ პერიოდში მყოფ ქვეყნებში განვითარების სფეროში.

იმისათვის, რომ პროექტს შეეძლოს პროგრამაში მონაწილეობა, მან უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი კრიტერიუმები: ადგილობრივ მოსახლეობას უნდა მოუტანოს სარგებელი, რომელიც აღემატება და სცილდება თავად ბიზნესის ინტერესებს; უნდა შეესაბამებოდეს განვითარების პოლიტიკის მიზნებს და ხარისხის კრიტერიუმებს; უნდა აკმაყოფილებდეს ეროვნულ კანონებს და საერთაშორისო გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს; არ უნდა წარმოქმნიდეს უსამართლო კონკურენციის შესაძლებლობას; მნიშვნელოვნად უნდა ფინანსდებოდეს დაინტერესებული პარტნიორების მიერ.

„განვითარების სფეროში პარტნიორობის პროგრამის" ფარგლებში ავსტრიის განვითარების სააგენტო დახმარებას უწევს ერთობლივ პროექტებს კომპანიებთან სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის მეშვეობით. ძალების გაერთიანება ხელს შეუწყობს პარტნიორებს მიზნების უფრო სწრაფად და ეფექტიანად და უფრო ნაკლებ ფასად მიღწევაში. ამ გზით კომპანიებს შეუძლიათ წარმატების მიღწევა რთულ გარემოებებში და მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

„ბიზნესის სფეროში პარტნიორობის პროგრამის" ფარგლებში ავსტრიის განვითარების სააგენტო დახმარებას უწევს თანამშრომლობას ევროპის ქვეყნებისა და განვითარებადი და გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნების კომპანიებს შორის, ანუ ხელს უწყობს საქმიანი კავშირების დამყარებას. მაგალითად, იგი მხარს უჭერს ერთობლივ საწარმოებს, ქვეკონტრაქტების დადებას სხვა ქვეყნების კომპანიებთან, მოწოდების თაობაზე ხელშეკრულებებს, „ნოუ-ჰაუს" გადაცემას, ერთობლივ მარკეტინგს, მართვის ხელშეკრულებებს და ფრენჩაიზინგის კონტრაქტებს, რომელთა განხორციელების შედეგადაც ადგილობრივი საწარმოები და საზოგადოება მიიღებენ სარგებელს. ორივე ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში ავსტრიის განვითარების სააგენტო მხარს უჭერს საწარმოებს განვითარებასთან დაკავშირებული პროექტების ფინანსური დახმარების, კონსულტაციებისა და ექსპერტების, აგრეთვე, პროექტების მონიტორინგის მეშვეობით.

პროექტების მიმოხილვა

პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	**პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა**	**ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით**
ალტერნატიული სამოქალაქო სამსახური *ავსტრიის განვითარების სააგენტო/ფედერალური გარემოსდაცვითი სააგენტო* *საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო*	200 000 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> გარემოს დაცვის სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურის შექმნაში და საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაში დახმარების გაწევა. <u>კომპონენტები:</u> საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით ლობირება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურის ინსტიტუციური დაარსება; საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსთვის კონსულტაციების გაწევა.
ტერორიზმის პრევენციის სტრუქტურა *გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისი*	150 000 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> იუსტიციის სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით საკანონმდებლო სტრუქტურებისა და საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული ინსტრუმენტების დანერგვა. <u>კომპონენტები:</u> საქართველოსთვის დახმარების გაწევა ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით საკანონმდებლო სტრუქტურის ჩამოყალიბებაში.
ბავშვები, ჩვენი მომავალი *ავსტრიის განვითარების სააგენტო/ფედერალური გარემოსდაცვითი სააგენტო*	45 000 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> დუშეთის მოსახლეობა. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ძირითადი ჯანდაცვითი მომსახურების უზრუნველყოფა. <u>კომპონენტები:</u> ჯანდაცვის ცენტრის მშენებლობა.

გაზმომარაგების უსაფრთხოება *Wiener Stadtwerke/ „თბილგაზი”*	27 000 2005	<u>ბენეფიციარი:</u> „თბილგაზი”. <u>ძირითადი ამოცანები:</u> „თბილგაზისთვის” დახმარების გაწევა თბილისის გაზის გამანაწილებელ სისტემაში გაზმომარაგების უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით. <u>კომპონენტები:</u> „ნოუ-ჰაუს” გადაცემა ექსპერტების გაცვლის, ვენაში ქართული დელეგაციების ვიზიტებისა და სემინარების გზით.
კომუნალური მომსახურება *City of Wels*	14 500 2005	<u>ბენეფიციარი:</u> ქალაქი თბილისი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> დახმარების გაწევა მარკეტინგის, ტურიზმის, პარკინგის ადგილებზე კომერციული კონტროლის, სახელმწიფო ადმინისტრირებაში ეკონომიის სფეროებში. <u>კომპონენტები:</u> რიგი სემინარების მოწყობა ზემოხსენებულ სფეროებში „ნოუ-ჰაუს” გადაცემის მიზნით.

ჩეხეთის რესპუბლიკა

ზოგადი ინფორმაცია

ჩეხეთის რესპუბლიკის სისტემაში, რომელიც მიმართულია განვითარებაში უცხოეთის ქვეყნების დახმარებისაკენ, საქართველოს არაპრიორიტეტული ქვეყნების კატეგორია აქვს მინიჭებული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რამდენიმე წელია, რაც ჩეხეთის რესპუბლიკა დახმარებას უწევს საქართველოს განვითარების სფეროში.

დღემდე ჩეხეთის დახმარების პროგრამა საქართველოსთვის კონცენტრირებული იყო უკანონო მიგრაციის აღმოფხვრაზე – 2003 წელს წამოწყებული პირველი პროექტის განხორციელებაზე. პროექტები უმთავრესად ეხებოდა ქართველი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების სტაბილიზებას, რათა შემცირებულიყო ჩეხეთის რესპუბლიკაში უკანონო მიგრანტთა რაოდენობა. ამ პროექტების ფარგლებში გამოყოფილია 928 155 ევრო.

2005 წელს ჩეხეთის რესპუბლიკამ გამოყო 69 000 ევრო აპრილში დასავლეთ საქართველოში მომხდარი წყალდიდობისა და მეწყერის შემდეგ აუცილებელი სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის. მან ასევე გამოყო 20 000 ევრო სვანეთის რეგიონში მესტიის სკოლა-ინტერნატისათვის.

სამომავლო საქმიანობა

ამჟამად ჩეხეთის რესპუბლიკაში განხილვის პროცესშია ქართველი პარტნიორების მიერ 2007 წლისთვის წარმოდგენილი რამდენიმე წინადადება განვითარების სფეროში პროექტებთან დაკავშირებით. პროექტების თაობაზე წინადადებები მიზნად ისახავს საქართველოს სხვადასხვა ნაწილებში, კერძოდ, სოფლის მეურნეობის სექტორში, სიღარიბის შემცირებას.

პროექტების მიმოხილვა

პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	**პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა**	**ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით**
ქართველი მოსახლეობისთვის სიტუაციის სტაბილიზება *Czech Catholic Charity*	371 155 2005-07	<u>ბენეფიციარი:</u> თბილისის და ჯავახეთის მოსახლეობა. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ახალგაზრდებისა და ოჯახების საცხოვრებელი პირობების სტაბილიზება. <u>კომპონენტები:</u> გადამზადება და უნარ-ჩვევების შესაძენი კურსები, მცირე საწარმოების მხარდაჭერა; მცირე საწარმოების შექმნაში დახმარების გაწევა და ამით სასოფლო თემის განვითარების ხელშეწყობა.
საქართველოდან ჩეხეთის რესპუბლიკაში უკანონო მიგრაციის თავიდან აცილება, საქართველოს შერჩეულ რეგიონში, რომელშიც შეინიშნება ჩამორჩენა ეთნიკური, პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოებების გამო, ინფრასტრუქტურისა და განვითარების სფეროებში დახმარების გაწევა *People in Need*	419 000 2005-07	<u>ძირითადი ამოცანა:</u> ჩეხეთის რესპუბლიკაში/ევროკავშირში უკანონო მიგრაციის შემცირება საცხოვრებელი პირობების სტაბილიზებისა და განვითარების გზით. <u>კომპონენტები:</u> ჯანდაცვისა და განათლების ინფრასტრუქტურის განვითარების, დასაქმების, გადამზადების კურსების, ახალი მცირე ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობა.

თავშესაფრის იმ წარუმატებელ მაძიებელთა და უკანონო მიგრანტთა ხელახალი ინტეგრაცია, რომლებიც საქართველოში ნებაყოფლობით ბრუნდებიან – განმეორებითი უკანონო მიგრაციის თავიდან აცილება და პოტენციურ მიგრანტთა სტაბილიზება *მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია*	138 000 2003-05	<u>ბენეფიციარი:</u> შინაგან საქმეთა სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანა:</u> საქართველოში მიგრაციისა და თავშესაფრის ინფრასტრუქტურის ბაზის შექმნაში დახმარების გაწევა. <u>კომპონენტები:</u> მიზნობრივი ჯგუფებისთვის დახმარების გაწევა სამსახურის შოვნაში, გადამზადების კურსების მოწყობა, მცირე მეწარმეთა მხარდაჭერა, საინფორმაციო კამპანიის ჩატარება, პროექტის პროპაგანდირება საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებს, დამსაქმებლებსა და სააგენტოებს შორის და ა.შ.

დანია

ზოგადი ინფორმაცია და დანიის მიერ საქართველოსთვის/კავკასიისთვის წინა წლებში გაწეული დახმარება

დანიის სამეზობლო პროგრამა კავკასიაში 2005-2007 წლებში კონცენტრირებულია კავკასიის მოსახლეობის ორ ჯგუფზე: გადაადგილებულ პირებზე (ლტოლვილებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებზე) და ეროვნულ უმცირესობებზე, ვინაიდან მოსახლეობის ეს ორი სეგმენტი არსებით როლს ასრულებს რეგიონის უფრო სტაბილური და დემოკრატიული განვითარებისათვის. ამიტომ ამჟამად მიმდინარე პროგრამის საპროგრამო დოკუმენტი მომზადდა დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში, სამეზობლო პროგრამის დეპარტამენტის მიერ, დანიის ლტოლვილთა საბჭოსა და უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის მიერ. უკანასკნელ ორ ორგანიზაციას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში აღნიშნულ მიზნობრივ ჯგუფებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს.

დანიის ლტოლვილთა საბჭო, რომელიც მიმდინარე პროგრამის წამყვანი ორგანიზაციაა, კავკასიის რეგიონში 1996 წლიდან იმყოფება. იგი მუშაობდა იძულებით გადაადგილების პრობლემებზე, რომლებიც წამოიჭრებოდა კონფლიქტებისა და სამოქალაქო უთანხმოებების შედეგად ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის, საქართველოში სამოქალაქო ომის (აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი), მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის, ჩრდილოეთ ოსეთსა და ინგუშეთს შორის კონფლიქტისა და რუსეთსა და ჩეჩნეთს შორის კონფლიქტის შემდეგ.

DAIDA-ს დაფინანსებით დანიის ლტოლვილთა საბჭომ 1996 წელს წამოიწყო სოციალური და ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამა აზერბაიჯანში, ხოლო ერთი წლის შემდეგ მსგავსი პროგრამა დაიწყო ჩრდილო კავკასიაშიც. ეს პროგრამა ძირითადად ჩეჩნეთის პირველი ომის შედეგად გაჩენილ ლტოლვილებს ეხებოდა. 1999 წელს სოციალური და ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამა წამოწყებული იქნა საქართველოში. ამ პროგრამის ფარგლებში დანიის ლტოლვილთა საბჭომ იკისრა კავკასიის რეგიონულ არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელის შექმნის ინიციატივის ხელშეწყობა, რაც მიზნად ისახავდა ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის სფეროში ამ ორგანიზაციების შესაძლებლობათა გაზრდას. 2004 წლის დასაწყისში სამეზობლო პროგრამის დეპარტამენტის დაფინანსებით დანიის ლტოლვილთა საბჭომ წამოიწყო (რე)ინტეგრაციის პროგრამა სომხეთში, რომლის მიზნობრივ ჯგუფში შედიოდნენ რეგიონიდან და მესამე ქვეყნებიდან დაბრუნებული პირები. ამჟამად საქართველოსა და აზერბაიჯანში მიმდინარე პროგრამები გაერთიანებულია ერთ პროგრამად, ხოლო საქმიანობა ჩრდილო კავკასიაში გადაიზარდა ჰუმანიტარული დახმარების პროგრამაში, რომელიც დახმარებას უწევს ჩეჩნეთის კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ 250 000-დან 400 000-მდე ადამიანს.

უმცირესობათა საკითხების ევროპულმა ცენტრმა თავისი პროგრამა კავკასიაში 2003 წელს დაიწყო; იგი აყალიბებდა სტრატეგიას 2005-2007 წლებისათვის. ცენტრმა შეიმუშავა ერთიანი სტრატეგია, რომელიც სრულად ითვალისწინებს ინტეგრაციისა და უმცირესობათა უფლებების საკითხებს. სტრატეგია ეხება ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ სფეროებს. უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის საქმიანობას კავკასიაში აფინანსებენ დანიის, ნორვეგიისა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროები.

2004 წლის სექტემბერ/ოქტომბერში დანიის სამეზობლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მისია კავკასიაში, რომლის მიზანი იყო ამჟამად მიმდინარე პროგრამის პრიორიტეტებისა და სტრატეგიული მიმართულებების თაობაზე გადაწყვეტილებისთვის საფუძვლის მომზადება.

სამეზობლო პროგრამის დეპარტამენტის მისიის რეკომენდაცია იყო, რომ სტაბილიზაციისა და რეინტეგრაციის სფეროებში კონცენტრირებული, თანმიმდევრული და კომპლექსური პროგრამის შემუშავებისთვის საფუძვლად აღებულიყო როგორც სამუშაოები არსებული პროექტების ფარგლებში, ისე პროგრამების განხორციელების გამოცდილება.

ინფორმაცია განხორციელების შესახებ

პროგრამა მიზნად ისახავს, მიაღწიოს დასახულ ამოცანებს სამთავრობო სტრუქტურებისა და სამოქალაქო საზოგადოებიდან პარტნიორების შესაძლებლობათა განვითარებით შემდეგ საკითხებში: (i) მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებებზე რეაგირება ანგარიშვალდებულებისა და კარგი მმართველობის მეშვეობით; და (ii) რეგიონში სადემარკაციო ხაზების (*de facto* და *de jure* საზღვრების) გადაღმა ურთიერთქმედება.

პროგრამას საფუძვლად უდევს დანიის ლტოლვილთა საბჭოსა და უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის დიდი ხნის ადგილობრივი პარტნიორობები. ქვემოთ აღწერილი, რეგიონული და ადგილობრივი მასშტაბით წარმოებული სამუშაოები ემყარება ადგილობრივ ორგანიზაციებს, კოალიციებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის თანამშრომლობას დასახული ამოცანების გათვალისწინებით.

რეგიონულ დონეზე პროგრამა დახმარებას გაუწევს CRING-ს (კავკასიის ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი). CRING შედგება ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის დახ-

მარების გამწევი 60-ზე მეტი ორგანიზაციისგან და მიზნად ისახავს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებისა და შესაძლებლობების დაცვას ერთობლივი პროპაგანდითა და ლობისტური საქმიანობით, დიალოგითა და კონკრეტული ქმედებებით.

სომხეთში, საქართველოსა და აზერბაიჯანში პროგრამები დაიწყება ლტოლვილებთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში არსებული ნაკლოვანებების ანალიზით, რაც მიზნად ისახავს, მოპოვებული იქნეს ზუსტი ცოდნა იმის თაობაზე, თუ რამდენად შეესაბამება ამ ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა ლტოლვილთა სფეროში საერთაშორისო კონვენციებსა და ოქმებს. ანალიზი განხორციელდება გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლეს კომისართან და ქვეყნების მთავრობებთან თანამშრომლობით, რათა იდენტიფიცირებული იქნეს საკითხები, ბარიერები და სამომავლო გადაწყვეტილებები ლტოლვილების, იძულებით გადაადგილებული პირებისა და მიგრანტების ინტეგრაციის სფეროში და დაისახოს პრიორიტეტები.

ზემოხსენებული საქმიანობის საპასუხოდ დაარსდება გრანტების გაცემის მექანიზმი მიზნობრივი სფეროებისათვის, რომელიც მიზნად დაისახავს ლტოლვილების, იძულებით გადაადგილებული პირებისა და მიგრანტების ინტეგრაციის/რეინტეგრაციისთვის უფრო კონკრეტული შესაძლებლობების შექმნის ხელშეწყობას. პროექტები გრანტების თანხებით შეიძლება განახორციელონ არასამთავრობო ორგანიზაციებმა ან სამთავრობო დაწესებულებებმა, რომელთაც ძალუძთ ერთობლივად მოიძიონ გადაწყვეტილებები, მიუხედავად სადემარკაციო (გეოგრაფიული და პოლიტიკური) ხაზებისა.

გარდა ამისა, დანიის პროგრამა დახმარებას გაუწევს სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში ისეთი პროცესების ხელშეწყობას, რომლებიც საფუძვლად დაედება ერთიან მიდგომებს მდგრადი (რე)ინტეგრაციისადმი, რაც ორ პრიორიტეტულ სფეროს მოიცავს: (i) ლტოლვილების რეინტეგრაციას და (ii) მიგრაციის თავიდან აცილებას. საქართველოში უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი შეეცდება, საქართველოს ხელისუფლების ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებთან პოლიტიკურ დიალოგში ჩართოს სომეხი და აზერბაიჯანელი უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული ორი რეგიონი.

2005 წლის ბიუჯეტი

1) დანიის სამეზობლო პროგრამა კავკასიაში 2005-2007 წლებში: 2005 წელს პროგრამისთვის გამოყოფილი იყო სულ 3,5 მილიონი დანიური კრონა (470 000 ევრო). 2006 წელს არ გაცემულა რაიმე დამატებითი თანხები, მაგრამ 2006 წლის მარტში დამტკიცდება სამთვიანი გარდამავალი ფაზა უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრისათვის.
2) 2005 წელს სამოქალაქო საზოგადოების სფეროში სხვა სამუშაოებისთვის გამოყოფილი იყო 1,0 მილიონი დანიური კრონა (130 000 ევრო). 2006 წელს თანხები არ გაცემულა.

სამომავლო საქმიანობა

სამეზობლო პროგრამის დეპარტამენტმა 2006 წლის აპრილ/მაისში განახორციელა მისია სამხრეთ კავკასიაში ფაქტების მოსაპოვებლად. მისიის მიზანი იყო რეგიონისთვის 2008 წლიდან უფრო ფართო სამომავლო პროგრამისთვის მომზადება. დახმარება შეიძლება გავრცელდეს შემდეგ სფეროებზე: 1) საჯარო სექტორის რეფორმირება და დეცენტრალიზება; 2) სამოქალაქო საზოგადოება; 3) კერძო სექტორის განვითარება.

ესტონეთი

ზოგადი ინფორმაცია

ქვემოთ ჩამოთვლილი პროექტები საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტში განვითარების სფეროში დახმარებისათვის გამოყოფილი თანხების მეშვეობით განხორციელდა. 2005 წელს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაახლოებით 83 000 ევრო გამოყო, რაც სამინისტროში განვითარების სფეროში დახმარებისთვის განკუთვნილი რესურსების 34%-ს შეადგენდა, ხოლო 2004 წელს გამოყოფილი თანხა 67 000 ევრო იყო - განვითარების სფეროში დახმარებისთვის განკუთვნილი რესურსების 26%.

პროექტები მიმართულია ტრენინგზე და საქართველოსთვის ესტონეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განვითარების სფეროში მიღებული გამოცდილების გაცნობაზე, განსაკუთრებით საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული მმართველობის სფეროებში.

ქართველ თანამდებობის პირებს წარმოუდგინეს ესტონური პროგრამა "Tiger Leap", გააცნეს მისი გამოყენება ინტერნეტის სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაში, რაც მიზნად ისახავდა საქართველოში საგანმანათლებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიათა დამკვიდრებას. გარდა ამისა, ქართველ მოხელეებს გააცნეს ესტონეთში კომპიუტერიზაციის საკითხები.

საქართველოს განათლების, საგარეო საქმეთა, ფინანსთა, გარემოს დაცვისა და შინაგან საქმეთა, ასევე სხვა სამინისტროების წარმომადგენლებისთვის ესტონეთში ჩატარდა ტრენინგის სხვადასხვა კურსი.

პროექტების მიმოხილვა

პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	**პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა**	**ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით**
საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების ოფიცრების ტრენინგი, I ფაზა *ესტონეთის საჯარო სამსახურის აკადემია ფინეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიასთან თანამშრომლობით* *თანადაფინანსება: ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო*	61 320 2005-06 .	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები, პოლიციის აკადემია, შინაგან საქმეთა სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> პოლიციის დემოკრატიული ორგანიზაციის, მათ შორიდ პოლიციის ოფიცრებისათვის ტრენინგის სისტემის, ჩამოყალიბების ხელშეწყობა. საზოგადოებრივი წესრიგის და ზოგადი უსაფრთხოების პირობების გაუმჯობესება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში. <u>კომპონენტები</u>: ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა შესაძლებლობების განვითარება. ესტონეთის საჯარო სამსახურის აკადემიაში საქართველოს პოლიციის აკადემიის ინსტრუქტორებისა და ქართულ-აფხაზურის კონფლიქტის ზონიდან სამოქალაქო პოლიციის ოფიცრებისათვის საგანგებო ტრენინგის კურსის ჩატარება.
სასწავლო ტური რიიგიკოგუში საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელთათვის *ესტონეთის პარლამენტის (Riigikogu) კანცელარია*	15 290 2005	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს პარლამენტი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> საქართველოში კანონშემოქმედებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაში დახმარების გაწევა. <u>კომპონენტები:</u> რიიგიკოგუს პრაქტიკული მუშაობის გაცნობა საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელთათვის. ერთკვირიანი სასწავლო პროგრამების მოწყობა ესტონეთსა და შვედეთში.
სტიპენდიების გამოყოფა ახალგაზრდა ქართველი დიპლომატებისათვის *ესტონეთის დიპლომატიის სკოლა*	12 970 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ესტონეთში ახალგაზრდა ქართველი დიპლომატების მიერ საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპასთან ინტეგრაციის სფეროებში სწავლის ხელშეწყობა. <u>კომპონენტები:</u> სტიპენდიების გამოყოფა ესტონეთის დიპლომატიის სკოლაში ერთი წლით სწავლის მიზნით.

ქართველი საჯარო მოხელეების ტრენინგი ევროკავშირთან დაკავშირებულ საკითხებში *ესტონეთის დიპლომატიის სკოლა, „ტასისის" მიერ დაფინანსებული პროექტის: „საქართველოში პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელების ხელშეწყობა" გუნდთან თანამშრომლობით*	22 180 2005	<u>ბენეფიციარი:</u> ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, შესაბამისი სამინისტროები, ეროვნული ბანკი, პარლამენტი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ევროკავშირთან საქართველოს ინტეგრაციის ხელშეწყობა. <u>კომპონენტები:</u> ესტონეთში ქართველი საჯარო მოხელეებისთვის ევროკავშირთან დაკავშირებულ საკით-ხებზე ერთკვირიანი ტრენინგის კურსის მოწყობა. კურსი ჩაატარეს ესტონეთის დიპლომატიის სკოლამ, ტარტუს უნივერსიტეტმა, ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და სახელმწიფო კანცელარიამ.
"Dear Leap" (ირმის ნახტომი) *ელექტრონული მმართველობის აკადემიის ფონდი ესტონეთის "Tiger Leap" ფონდთან, ესტონეთის განათლებისა და კვლევის სამინისტროსთან, ტალინის უნივერსიტეტთან, საგანმანათლებლო ტექნოლოგიურ ცენტრთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და საქართველოს მეცნიერებისა და რეგიონული განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით.*	68 000 2005	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> საქართველოს საზოგადოებაში საგანმანათლებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიათა დამკვიდრების ხელშეწყობა. <u>კომპონენტები:</u> ანალოგიური წარმატებული პროექტის "Tiger Leap" გამოცდილებაზე დაყრდნობით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის სკოლების კომპიუტერიზაციის პროგრამის შემუშავება; კონფერენციის გამართვა, რომელზეც ესტონელმა მასწავლებლებმა ტრენინგი ჩაუტარეს ქართველ კოლეგებს.
პროფესიულ განათლებაში ტრენინგი პროფესიული მომზადების ქართული სკოლების ხელმძღვანელებისა და სპეციალისტებისათვის *საერთაშორისო საკოორდინაციო ცენტრი SOS- Kinderdorf ესტონეთის განათლებისა და კვლევის სამინისტროსთან და პროფესიულ მომზადებაში ტრენინგის ოთხ ესტონურ დაწესებულებასთან თანამშრომლობით*	22 570 2005	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> მონაწილეთათვის პროფესიული განათლების ორგანიზებასა და განვითარებაში ესტონეთის გამოცდილების გაცნობა საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზებაში მათთვის დახმარების გასაწევად. <u>კომპონენტები:</u> პროფესიული მომზადების ქართული სკოლებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების სასწავლო ვიზიტის მოწყობა ესტონეთში.
საქართველოს საჯარო სექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის რეფორმების სფეროში ესტონეთის გამოცდილების გაცნობა *ესტონეთის ქალთა ტრენინგის ცენტრი*	7 980 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ზოგად სამეწარმეო საკითხებზე ცოდნის გაღრმავება, სამოქალაქო ინიციატივისა და დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობის ხელშეწყობა ამ სფეროების რეფორმირებაში ესტონეთის გამოცდილების გაზიარების გზით. <u>კომპონენტები:</u> ტრენინგის მოკლე პროგრამისა და მრგვალი მაგიდის გარშემო შეხვედრის ჩატარება ქართული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საჯარო სექტორის წარმომადგენელთათვის.

ფინეთი

ზოგადი ინფორმაცია

დამოუკიდებელ საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობა ფინეთმა 1992 წელს დაამყარა. 2001 წლის შემდეგ ფინეთს ჰყავდა არარეზიდენტი ელჩი სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის, საქართველოში. დახმარებას რეგიონს ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო და აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის მისი განყოფილება უნაწილებენ. საქართველოში ფინეთის ელჩს დიდი როლი მიუძღვის ე.წ. „ადგილობრივი თანამშრომლობის ფონდის" გამოყოფაში. უკანასკნელ წლებში ეს თანხები იზრდებოდა. ფინეთს მიაჩნია, რომ დახმარება ხანგრძლივი და წარმატებული უნდა იყოს და იგი მზად არის, საქართველოს სულ მცირე 2010 წლამდე გაუწიოს დახმარება. დახმარების ყველაზე დიდი ნაწილი უზრუნველყოფილია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა მრავალმხრივი დონორების მეშვეობით, როგორიც არის გაერო და ეუთო. ფინეთს განზრახული აქვს გაზარდოს რეგიონული პროექტებისთვის გამოყოფილი თანხა.

ამჟამად ფინეთი განსაკუთრებულ პრიორიტეტს ანიჭებს პროექტებს შემდეგ სფეროებში:

- კონფლიქტების თავიდან აცილება და კონფლიქტების მოგვარება;
- კანონის უზენაესობის დამკვიდრება;
- გენდერული საკითხები;
- მედიის თავისუფლება;
- გარემოს დაცვა.

სამომავლო საქმიანობა

მომავალში ფინეთის დახმარება უფრო მეტად ევროკავშირისა და ეუთო-ს მიერ განხორციელებული, სამოქალაქო კრიზისების მართვისკენ მიმართული პროგრამების ფარგლებში იქნება გაწეული. ფინეთი მიზნად ისახავს რეგიონში სტაბილურობის გაუმჯობესებას და რეგიონის ქვეყნების შემდგომ ინტეგრაციას საერთაშორისო საზოგადოებაში. მომავალ წლებში ფინეთი აქტიურ როლს შეასრულებს, ვინაიდან ევროკავშირისა და ეუთო-ს თავმჯდომარეობა მას უწევს. განვითარების სფეროში თანამშრომლობა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკა სამომავლო ამოცანებია.

პროექტების მიმოხილვა

პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	**პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა**	**ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით**
საქართველოს ყოფილ სამხედრო ბაზებზე იარაღისა და ბომბების მარაგების გადამუშავება და განადგურება – მე-3 ეტაპი *ეუთო*	400 000 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> გარემოს დაცვის სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ბომბებისა და იარაღის განადგურება. უწინ განხორციელებული პროექტების 1-ლი და მე-2 ეტაპების გაგრძელება. <u>კომპონენტები:</u> ტროტილის დამდნობი მოწყობილობის შეძენა და დაყენება, სხვადასხვა საბრძოლო თავაკებისა და იარაღის გადამუშავება, აპარატურის შექმნა და გამოცდა უტილიზაციის პროცესის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.
მონაწილეობა პროექტში „ქალები სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების თავიდან აცილებასა და მშვიდობის დამყარებაში" *UNIFEM*	600 000 2003-05	<u>ბენეფიციარი:</u> ქალები საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> სამხრეთ კავკასიისთვის მშვიდობის მოქნილი პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების შესაძლებლობის ხელშეწყობა. <u>კომპონენტები:</u> მონაწილეობენ დიდი რაოდენობით ჯგუფები; ამიტომ სამუშაოები ჩამოყალიბებულია ნაწილებად, რომლებითაც ხდება ხელმძღვანელობა თითოეულ ჯგუფში.

საქართველოს რეგიონული მედიის განვითარება და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების პროექტი *ომისა და მშვიდობის ინსტიტუტი (IWPR)*	420 000 2003-05	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს მედია. <u>ძირითადი ამოცანები:</u> საქართველოში ბეჭდვითი მედიის გაძლიერება, ყურადღების გამახვილება რეგიონებზე; ჟურნალისტიკის მიმართ დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ინტერესის გაძლიერება. <u>კომპონენტები:</u> კვლევისა და მოხსენებების წარდგენის, ტრენინგისა და სემინარების, მედიის მონიტორინგისა და შეფასების, ბეჭდვითი და ელექტრონული პუბლიკაციების მეშვეობით რეგიონული მედიის პოზიციის შესახებ ცოდნის დანერგვა, მათ შორის, ადგილობრივ მედიაში.
საქართველოს პოლიციის ტრენინგი ესტონეთში *ესტონეთის საჯარო სამსახურის აკადემია და ფინეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო*	43 000 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> შინაგან საქმეთა სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> რომ თითოეულმა ქართველმა მონაწილემ შეიძინოს კრიზისულ ტერიტორიებზე პატრულის მეთვალყურეობის ყოველდღიური საქმიანობის კომპეტენცია, პოლიციის დემოკრატიული მუშაობის არსის ინტერპრეტირების შესაძლებლობა და ტაქტიკური მიდგომები; ტრენინგის მეცადინეობათა ორგანიზება. <u>კომპონენტები:</u> ქართული პოლიციის ხელმძღვანელთათვის პოლიციის ტაქტიკაში კურსების მოწყობა და ყურადღების გამახვილება თანამედროვე პოლიციის მუშაობის პრინციპებზე, პატრულირების ტაქტიკაზე, სისხლის სამართლის საფუძვლებზე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის საფუძვლებზე და ა.შ.
რეგიონული სემინარი Åland Peace Model სამხრეთ კავკასიაში *მშვიდობის ინსტიტუტი Mariehamn Åland, ფინეთი*	25 000 2005	<u>ბენეფიციარი:</u> კონფლიქტების მოგვარებით დაინტერესებული მხარეები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> მშვიდობის განხორციელებადი მოდელის შექმნა რეგიონში არსებულ სიტუაციასა და საჭიროებებთან მისადაგებით. <u>კომპონენტები:</u> სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და საქართველოდან ძირითადი დაინტერესებული მხარეების თავშეყრა; სამუშაო ჯგუფების შექმნა მშვიდობის მოდელის გასაანალიზებლად და შესაცვლელად ადგილობრივ საჭიროებებთან მისადაგების მიზნით და ლანდ ეაცე ოდელ-ის პრინციპების გასაცნობად პუბლიკაციების, დოკუმენტური მასალის, მრგვალი მაგიდებისა და სხვა საქმიანობის მეშვეობით.
რეგიონული თანამშრომლობა EECCA/სემინარი საქართველოში „წყლის რესურსების მართვის სფეროში თანამშრომლობა" *UNECE და ფინეთის გარემოს დაცვის ინსტიტუტი*	24 230 2005	<u>ბენეფიციარი:</u> EECCA. <u>ძირითადი ამოცანები:</u> EECCA-ში წყლის ტრანსსასაზღვრო მართვის შესაძლებლობის განვითარება. <u>კომპონენტები:</u> სემინარის ჩატარება, მნიშვნელოვანი პრინციპებისა და წარმატებული მიდგომების გაცნობა და EECCA-ში კონკრეტული მაგალითების განხილვა, სემინარის დასკვნების და შერჩეული მასალების გამოქვეყნების ხელშეწყობა.
სკოლების რეაბილიტაციის პროექტები *გაერო-ს დამკვირვებელთა მისია საქართველოში (UNOMIG)*	60 000 2005	<u>ბენეფიციარი:</u> გალის მოსახლეობა. <u>ძირითადი ამოცანები:</u> პირველი გალისა და მედანის რაიონებში სკოლების განახლების დასრულება. <u>კომპონენტები:</u> სამშენებლო სამუშაოები.

საქართველოს რეგიონებში ახალგაზრდებს შორის პოლიტიკური საკითხების ცოდნის გაღრმავება *სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ქართული ფონდი (GFSIS)*	29 527 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> სამოქალაქო საზოგადოება. <u>ძირითადი ამოცანები:</u> საქართველოს რეგიონებში ახალგაზრდებს შორის სამოქალაქო განათლებისა და პოლიტიკური საკითხების ცოდნის დონის ამაღლება. <u>კომპონენტები:</u> ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმძღვანელო ცნობარის გამოქვეყნება და დარიგება; ფორუმის დაარსება ინტერნეტგვერდზე დისკუსიის წარმოების მიზნით.
აზერბაიჯანში, საქართველოსა და ყირგიზეთში დემოკრატიულ პროცესებში ქალთა მონაწილეობის გაზრდა *ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR)*	90 000 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები აზერბაიჯანში, საქართველოსა და ყირგიზეთში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> დემოკრატიულ პროცესებში ქალთა მონაწილეობის გაზრდა და გადაწყვეტილებათა მიღების ყველა დონეზე ქალების როლის წინ წამოწევა. <u>კომპონენტები:</u> ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციისთვის დახმარების გაწევა გენდერული თანასწორობის შესახებ ცოდნის გავრცელებაში.
გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემა *ფინეთის გარემოს დაცვის ინსტიტუტი*	30 800 2005	<u>ბენეფიციარი:</u> გარემოს დაცვის სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ფაქტების დასადგენი მისიის მოწყობა საქართველოში გარემოსდაცვითი მონიტორინგის მხრივ არსებული სიტუაციის გასაანალიზებლად.
EBRD/ETC -fund	500 000 2005-06	ფინეთის მონაწილეობა ადრეულ გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნებისთვის განკუთვნილი მრავალდონორიანი ფონდის მუშაობაში. ამ ფონდის მუშაობით გარკვეულ სარგებელს საქართველოც მიიღებს.

საფრანგეთი

ზოგადი ინფორმაცია

I. ორმხრივი თანამშრომლობა ოთხი პრიორიტეტისა და პარტნიორობის საფუძველზე

საფრანგეთის საქმიანობისთვის თანამშრომლობის სფეროში და მრავალფეროვანი კულტურული მოღვაწეობისთვის სასარგებლო საფუძველი გახდა საქართველოში დამკვიდრებული კარგი სახელი და დიუმას კულტურული ცენტრის მიერ შექმნილი კულტურული პლატფორმა, აგრეთვე, ის მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა, რომელსაც წარმოადგენს ფრანგული ენა და კულტურა. საფრანგეთისა და საქართველოს თანამშრომლობა ითვალისწინებს ოთხ პრიორიტეტულ სფეროს:

1. საზოგადოების ინტელექტუალური ელიტისთვის ფრანგული ენის სწავლების შედეგია ფრანგულ ენასა და კულტურაში (ფრანკოფონია) განათლების გაღრმავება. ამის საშუალებებია:

ა) ახლო მომავალში ფრანგული სკოლის (ლიცეუმის) დაარსება. ეს ლიცეუმი სამაგალითო საგანმანათლებლო დაწესებულება იქნება, დამატებით არსებულ ფრანგულენოვან სასწავლო დაწესებულებებზე;

ბ) საგანგებო პარტნიორობის დამყარება რეგიონულ უმაღლეს სასწავლებლებში (ნანტი, კაენი, ლიონი) პრივილეგირებულ მიღებასთან და საფრანგეთში სულ უფრო მეტი კარგი ქართველი სტუდენტისთვის სტიპენდიების რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით;

გ) ფრანგული ენის სამი ფაკულტეტის/კურსების განვითარება საფრანგეთში პარტნიორი უნივერსიტეტების აქტიური დახმარებით და სისტემატური მიმართვით თანამეგობრობის პროგრამებისათვის.

2. საქართველოში იმ საქმიანობის მხარდაჭერა, რომელსაც ევროკავშირი ახორციელებდა სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში დახმარების გაწევის გზით.

დაქირავებული იქნა საგანგებო ფრანგი კონსულტანტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფისში სამუშაოდ 2006 წლის იანვრიდან.

3. ექვს შერჩეულ სფეროში საქართველოს სახელმწიფოს მოდერნიზების ხელშეწყობა. ეს სფეროებია:

ა) განათლება: დახმარება ფრანგულის სწავლებაში (ახალი პროგრამები, ახალი სახელმძღვანელოები, მასწავლებელთა საწყისი და რეგულარული ტრენინგი) განათლების სამინისტროსთან ერთად და ნანტის უნივერსიტეტთან პარტნიორობით. გარდა ამისა, იდენტიფიცირებული იქნა ორი სფერო კვლევისთვის: მედიცინა, მარსელის ექსის უნივერსიტეტთან პარტნიორობით, და არქეოლოგია, ბუნებისმეტყველების მუზეუმთან პარტნიორობით.

ბ) თანამშრომლობა ადმინისტრაციულ საკითხებში: ქართველი დიპლომატებისთვის ეროვნული ადმინისტრაციის სკოლაში (ENA) ტრენინგი.

გ) ქართული ადმინისტრაციული უწყებებისთვის (კონფლიქტების მოგვარების სფეროში სახელმწიფო მინისტრისთვის, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროსთვის) აპარატურის მოწოდება.

დ) ჟურნალისტების ტრენინგი საჯარო საქმეთა ქართულ ინსტიტუტთან (GIPA) და ჩანალ France International-თან (CFI) პარტნიორობით.

ე) ფრანგული გადაცემები ქართული ტელევიზიით: Canal France International (CFI) და ARTE ორ საზოგადოებრივ არხზე (44 საათი თვეში). 2005 წლის ნოემბრიდან CFI-ის გადაცემებს კერძო არხი „მზეც" აჩვენებს.

დ) პოლიციის საქმიანობა.

4. საფრანგეთისა და საქართველოს კულტურული თანამშრომლობის გამრავალფეროვნება შემდეგი საშუალებებით:

ა) მუსიკისა და სახვითი ხელოვნების სფეროებში კულტურული თანამშრომლობის განვითარება კონსერვატორიასთან, ოპერასა და თბილისსა და რეგიონებში არსებულ მუზეუმებთან პარტნიორობით;

ბ) 2006 წელს ახალი სფეროს შემოღება: სიმღერების წერა და შესრულება;

გ) კინემატოგრაფიის სფეროში თანამშრომლობის განვითარება თბილისსა და რეგიონებში ფრანგული ფილმების ჩვენებით და კლასების დაარსებით ("Atelier Varan" სამხრეთ კავკასიაში დოკუმენტური კინოსათვის).

დ) დიუმას კულტურულ ცენტრს, ეროვნულ მუზეუმსა და ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის პარტნიორობის გაღრმავება სამეცნიერო თემების განვითარებითა და ფრანგული წიგნების გავრცელების ხელშეწყობით, საფრანგეთის კულტურის სამინისტროსთან ერთად.

II. ძირითადი საქმიანობის/და ნანსების შემავსებელი დინამიკური დეცენტრალიზებული თანამშრომლობა

1. იონის დეპარტამენტის და კახეთის რეგიონის მრავალფეროვანი თანამშრომლობა:

იონის რეგიონული საბჭო დახმარებას უწევს განვითარებისკენ მიმართულ სხვადასხვა პროექტებს როგორც კახეთის რეგიონში, ისე თბილისში. ეს დახმარება მოიცავს სიღნაღის მევენახეობის

სისტემის აღდგენას, ფრანგული საგანმანათლებლო პროექტების (ინტერნები, ფრანგული ენის სწავლება, სახელმძღვანელოები, თეატრალური ფესტივალები და ა.შ.), თელავის საავადმყოფოს რეკონსტრუქციისა და ტექნიკურ უნივერსიტეტში ინფორმატიკაში ფრანგულენოვანი კურსის დაფინანსებას წლიური 50 000 ევროს ბიუჯეტით.

2006 წელს ძირითადი პროექტებია გურჯაანში დიაგნოსტიკური ცენტრის დაარსება და მსხვილფეხა რქოსანი საქონლის გენეტიკური გაუმჯობესება (შარლუაზის ჯიშის ძროხების იმპორტირებისა და გამრავლების და ვეტერინართა ტრენინგის გზით).

2. ნანტი და თბილისი - განათლებიდან ტექნიკურ დახმარებამდე:

უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ნანტი თბილისთან დაძმობილებული ქალაქია. საქართველოს ხელისუფლებისა და მერიაში აღმასრულებელი ხელისუფლების შეცვლის შემდეგ თანამშრომლობა ორ ქალაქს შორის ახალ ფაზაში გადავიდა. 2005-2007 წლების განმავლობაში თანამშრომლობის ძირითადი სფეროებია ტრენინგი სასმელი წყლის მართვაში, ტრენინგი ჯანდაცვის სფეროში ცოდნის გავრცელებაში და თბილისში ადგილობრივი დემოკრატიის ოფისის დაარსება. პასუხისმგებლობას განათლების სფეროში პროექტებზე (დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა ტრენინგი ნანტის უნივერსიტეტში, განმცხადებელთა დაშვება, Freinet-ის ჯგუფის მისიები) მუნიციპალიტეტიც კისრულობს.

3. ლიონისა და ქუთაისის მოსახლეობა - დახმარება მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებაში:

ლიონის „ურბანულმა საზოგადოებამ" შეიმუშავა წყლისა და გზების ინფრასტრუქტურების განვითარებაში ქალაქ ქუთაისთან თანამშრომლობის პროექტი. „ურბანული საზოგადოება" დახმარებას გაუწევს ქუთაისში განხორციელებულ პროექტებს, რათა ისინი აკმაყოფილებდნენ საერთაშორისო დაფინანსების მოსაპოვებლად განაცხადის შეტანის კრიტერიუმებს; ინჟინრები ლიონიდან ჩავლენ ქუთაისში, ხოლო ქუთაისელი სტუდენტები გაემგზავრებიან ლიონში ინტერნატურის გასავლელად. პრიორიტეტი ამ თანამშრომლობის ფარგლებში წყლისა და გზების ინფრასტრუქტურების განვითარებაა. 2005 წლის დეკემბერში საქართველოში იმყოფებოდა GDF-ის მისია გაზის ინფრასტრუქტურასთან და პერსონალის ტრენინგთან დაკავშირებული საჭიროებების შესაფასებლად.

4. ერის სასოფლო-სამეურნეო პალატა და ქვემო ქართლი - სოფლის მეურნეობა:

ერის სასოფლო-სამეურნეო პალატა იკვლევს შესაძლებლობებს თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარებისთვის, რომლის მიზანია დმანისის რაიონში რძის პროდუქტების წარმოების ქსელის შექმნა. ამისათვის შეიქმნება საცდელი ფერმა, რომელსაც მოხმარდება პარტნიორების მთელი ცოდნა და გამოცდილება (გენეტიკა, საქონლის კვება, მეცხოველეების ტრენინგი).

გერმანია

ზოგადი ინფორმაცია

გერმანია პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც დამოუკიდებელ საქართველოსთან 1992 წელს დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა, რის შემდეგაც სულ მალე გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ წამოიწყო საქართველოსთან ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამა. ამჟამად გერმანიის მხრიდან დახმარების პროგრამა შემდეგ სფეროებს მოიცავს:

- დეცენტრალიზაცია, დემოკრატიზაცია და მუნიციპალური განვითარება;
- ეკონომიკური რეფორმები/საბაზრო ეკონომიკის განვითარება;
- ენერგეტიკის სექტორი.

დამატებით 2001 წელს წარმოებულ ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამებზე გერმანიამ წამოიწყო, აგრეთვე, (სამხრეთ) კავკასიის ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს კავკასიის სამ რესპუბლიკას შორის რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობას. ამ მიზნის მიღწევის საშუალებად გამოყენებული იქნა ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა მიმდინარე პროექტებს შორის და ახალი ინიციატივების რეგიონული ფორმატი.

გარდა ზემოხსენებული დახმარებისა განვითარების სფეროში, გერმანიის საელჩოს აქვს ფონდი მცირე სპეციალური ღონისძიებებისათვის ჰუმანიტარულ და სასოფლო ინფრასტრუქტურის სფეროებში.

ინფორმაცია განხორციელების შესახებ

საქართველო განვითარების სფეროში თანამშრომლობისკენ მიმართული გერმანიის პროგრამის ერთადერთი მნიშვნელოვანი პარტნიორი ქვეყანაა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. 1992 წელს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გერმანიამ 240 მილიონ ევროზე მეტი თანხა გაიღო განვითარების სფეროში თანამშრომლობისთვის და იგი საქართველოს უმთავრესი ორმხრივი დონორია. გარდა ამისა, გერმანია მონაწილეობს სხვა მრავალმხრივი დონორების, როგორიც არის მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროკავშირი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, მიერ წარმოებულ საქმიანობაში.

ტექნიკური დახმარება

გერმანია საქართველოს ტექნიკურ დახმარებას ძირითადად პროგრამის Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH საშუალებით უწევს. ტექნიკური დახმარება გულისხმობს საკონსულტაციო მომსახურებას, ტრენინგს და ამ კონტექსტში შეზღუდული რაოდენობის აპარატურის მოწოდებას. თუმცა პროექტებს საფუძვლად უდევს ფულადი კალკულაცია, ფედერალური მთავრობის დახმარება არაფულადი სახისაა.

გარდა ამისა, Centrum für Internationale Migration und Entwicklung (CIM) აგზავნის ექსპერტებს საქართველოსთვის განვითარებაში დახმარების გასაწევად. 2005 წელს CIM-მა საქართველოში 5 ექსპერტი მოავლინა.

ორმხრივი ტექნიკური დახმარების პროექტის სამართლებრივი საფუძვლები ჩამოყალიბებულია 1998 წელს დადებულ ჩარჩო-ხელშეკრულებაში ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ და ყოველწლიურ ან ორწლიან შეთანხმებებში ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

ქვემოთ ჩამოთვლილია 2005 წელს თანამშრომლობის ზემოხსენებულ ძირითად სექტორებში განხორციელებული ზოგიერთი საქმიანობა:

დემოკრატიზაცია:

- სამართლებრივი და მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების ხელშეწყობა სამოქალაქო და ეკონომიკურ სამართალზე ყურადღების გამახვილებით;
- მიწის მართვა: მიწის რეგისტრაციის სისტემის შექმნა – უძრავი ქონების ბაზრისა და იურიდიული საკუთრების წინაპირობა;
- კონტროლის პალატისთვის დახმარების გაწევა;
- მუნიციპალური განვითარების ხელშეწყობა.

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა:

- კერძო სექტორის განვითარება – იმ სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების ხელშეწყობა, რომლებიც მომსახურებას უწევენ მეწარმეებს;
- საქართველოში ღვინის ხარისხის სისტემის შექმნა;
- სოფლის მეურნეობის სექტორის მიერ მოტანილი სარგებლობის გაზრდა – საკვების ხარისხისა და უსაფრთხოების გაუმჯობესება;
- სოფლის მეურნეობაში განათლების ხელშეწყობა.

საგანგებო მიზნები:

- ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის საკონსულტაციო მომსახურება;
- სეისმოლოგიის ინსტიტუტის საქმიანობის ხელშეწყობა;
- სასურსათო უსაფრთხოების, რეგიონული თანამშრომლობისა და სტაბილურობის ხელშეწყობა.

ფინანსური თანამშრომლობა:

ფინანსური დახმარების გაწევა გერმანიამ 1993 წელს დაიწყო ბანკის KfW Entwicklungsbank მეშვეობით. KfW უზრუნველყოფს გრძელვადიან სესხებს ძალზე შეღავათიანი (საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA)) განაკვეთებით, გამოყოფს, აგრეთვე, გრანტებს. KfW-ს ინვესტიციებს, ჩვეულებრივ, თან ახლავს განსახორციელებელი პროექტების სფეროებში ტრენინგი და კონსულტაციები. დღეისათვის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში 200 მილიონ ევროზე მეტი თანხაა გამოყოფილი.

მიმდინარე ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში შემდეგი პროექტები ხორციელდება:

- კადასტრი და მიწის მართვა;
- საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი, რომელსაც ამჟამად „პროკრედიტბანკი" ეწოდება;
- საგარანტიო ფონდი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის სესხების გასაცემად ადგილობრივი კომერციული ბანკების სასარგებლოდ.

დეცენტრალიზაცია:

- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი;
- ინვესტიციები მუნიციპალურ ინფრასტრუქტურაში ბორჯომ-ხარაგაულის რეგიონში მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით (სკოლები, გზები და ა.შ.);
- ბათუმში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელების შესაძლებლობის შესწავლა;
- აჭარაში წყალმომარაგების სექტორის რეფორმირებაში ტექნიკური დახმარების გაწევა.

ენერგეტიკა:

- მცირე ჰიდროელექტროსადგურებისთვის დახმარების გაწევა;
- ელექტროენერგიის გადაცემის ქსელში ყველაზე პრობლემური მონაკვეთების (მაგალითად, ქვესადგური „ალავერდის") რეაბილიტაცია, სახელმწიფო ელექტროგადაცემის კომპანიის მართვის საერთაშორისო ხელშეკრულების თანადაფინანსება;
- გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მომსახურების ზონაში ელექტროენერგიის მრიცხველების დაყენება;
- ექსპერტთა გუნდის მიერ ელექტროენერგეტიკის სექტორში არსებული დავალიანების რესტრუქტურიზაციაში დახმარების გაწევა.

GTZ-sa da KfW-ს პროექტებს ემატება კვლევებისა და ექსპერტებისთვის გამოყოფილი თანხები, რომლებიც ხმარდება გამოცდილების გაზიარების მოკლევადიანი პროექტების ხელშეწყობას.

სამომავლო ღონისძიებები

ფინანსური თანამშრომლობის სფეროში 2006 წელს დაიწყება ბათუმის წყალკანალიზაციის სისტემის რეაბილიტაციის დიდი საინვესტიციო პროექტის განხორციელება. მოსალოდნელია, აგრეთვე, რომ 2006 წლისთვის დაგეგმილ სამთავრობათაშორისო მოლაპარაკებებზე ახალი ფინანსური მხარდაჭერის მოსაპოვებლად ძირითადი თემა იქნება მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება.

მოლაპარაკებები 2006/2007 წლების ბიუჯეტიდან დაფინანსების გამოყოფაზე თანამშრომლობის რიგი სფეროებისთვის სავარაუდოდ 2006 წლის მაისში ან ზაფხულის ბოლოს გაიმართება.

პროექტების მიმოხილვა

პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	**პროექტის ღირებულება € / დაფინანსების პირობები** **ხანგრძლივობა**	**ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით**
კადასტრისა და მიწის რეესტრის შემოღება I *KfW*	15,3 მილიონი ევროს სესხი + 1,4 მილიონი ევროს გრანტი 1998-06	<u>ბენეფიციარი:</u> საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> კერძო სექტორისთვის და სტაბილური საბაზრო ეკონომიკისთვის დახმარების გაწევა მიწის მოქმედი რეესტრის მეშვეობით.
კადასტრი და მიწის რეესტრი II + ნიადაგების ატლასის შემოღება *KfW*	4,0 მილიონი ევროს სესხი + 4,0 მილიონი ევროს გრანტი 2003-06	<u>ბენეფიციარი:</u> საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> კერძო სექტორისთვის და სტაბილური საბაზრო ეკონომიკისთვის დახმარების გაწევა მიწის მოქმედი რეესტრის მეშვეობით.
კრედიტის საგარანტიო ფონდი *KfW*	6,1 მილიონი ევროს სესხი + 500 000 ევროს გრანტი 2004-06	<u>ბენეფიციარი:</u> მთავრობის ადგილობრივი კომერციული ბანკები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ადგილობრივი ბანკებისთვის კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის შესაძლებლობის მიცემა; მცირე სესხების გაცემა.
საქართველოში (და აზერბაიჯანში) მცირე კლიენტების მომსახურე ბანკების საქმიანობის ხელშეწყობა *KfW*	2,0 მილიონი ევროს გრანტი 2002-06	<u>ბენეფიციარი:</u> ადგილობრივი კომერციული ბანკები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> საორგანიზაციო საკითხებში კონსულტირება, დახმარების გაწევა პროდუქტის განვითარებაში და სასზღვრისმიღმა თანამშრომლობის გაუმჯობესებაში.
კერძო სექტორის განვითარება *Gesellschaft für technische Zusammenarbeit (GTZ)*	1,8 მილიონი ევროს უშუალო მომსახურება 2005-07	<u>ბენეფიციარი:</u> ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებისთვის დახმარების გაწევა მეწარმეთათვის მომსახურების მიწოდებაში.
ღვინის ხარისხის სისტემის ჩამოყალიბება *GTZ/AFC-IAK*	2,9 მილიონი ევროს უშუალო მომსახურება 2002-06	<u>ბენეფიციარი:</u> სოფლის მეურნეობის სამინისტრო და კერძო მეღვინეები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისი ღვინის ხარისხის გარანტირების სისტემისა და ღვინის ხარისხის შესამოწმებელი ლაბორატორიის შექმნა.
მიწის მართვა *GTZ*	1,4 მილიონი ევროს უშუალო მომსახურება 2000-06	<u>ბენეფიციარი:</u> იუსტიციის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> უძრავი ქონების რეგულირებული ბაზრის დამკვიდრება და მიწის მართვის გაუმჯობესება.
საკვების ხარისხისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა *GTZ*	1,2 მილიონი ევროს უშუალო მომსახურება 2004-06	<u>ბენეფიციარი:</u> სოფლის მეურნეობის სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> კომერციული ორიენტაციის გლეხებისათვის მომსახურების სტაბილურად მიწოდების სათანადო სტრატეგიის შემუშავებაში დახმარების გაწევა, საკვების ხარისხისა და უსაფრთხოების გაუმჯობესება.

ენერგეტიკა		
ელექტროგადაცემის კომპანიის რეაბილიტაციის II პროგრამა / ენერგობაზრის ხელშეწყობის პროგრამა *KfW*	12,8 მილიონი ევროს სესხი 2001-06	ბენეფიციარი: მთავრობა/ ელექტროგადაცემის კომპანია „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა". ძირითადი ამოცანები: ელექტროგადაცემის კომპანია „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მართვის ხელშეკრულების (თანადაფინანსება მსოფლიო ბანკთან) ხელშეწყობა, ზესტაფონის ქვესადგურის რეაბილიტაცია.
გადამცემი ხაზი „ალავერდი" *KfW*	10,0 მილიონი ევროს სესხი 2005-08	ბენეფიციარი: ელექტროგადაცემის კომპანია „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა". ძირითადი ამოცანები: სომხეთიდან მომავალი 220 კვ ელექტროგადამცემი ხაზის რეაბილიტაცია.
ელექტროგადაცემის პროგრამა III (სექტორული პროგრამა) *KfW*	8,3 მილიონი ევროს სესხი 2005-08	ბენეფიციარი: მთავრობა/ ელექტროგადაცემის კომპანია „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა". ძირითადი ამოცანები: „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მართვის ხელშეკრულების გაგრძელება, ტექნიკური მომსახურების აუცილებელი სამუშაოების შესრულება და ქვესადგურის რეაბილიტაციის განხორციელება.
განახლებადი ენერგიის გამომუშავების ხელშეწყობა *KfW*	5,1 მილიონი ევროს გრანტი 2005-08	ბენეფიციარი: ადგილობრივი კომერციული ბანკები. ძირითადი ამოცანები: თანხების ბრუნვა კერძო მცირე ჰიდროელექტროსადგურებისთვის განკუთვნილი საკრედიტო ხაზებისთვის.
ელექტროენერგიის განაწილება I *KfW*	25,0 მილიონი ევროს სესხი 2005-07	ბენეფიციარი: „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია". ძირითადი ამოცანები: ელექტრომრიცხველების დაყენება თბილისის გარეთ მდებარე რეგიონებში და ამით თანხების სტაბილური ამოღების მიღწევა.
ვალის მომსახურების საგენტო *KfW*	3,3 მილიონი ევროს გრანტი 2004-06	ბენეფიციარი: მთავრობა. ძირითადი ამოცანები: კერძო და სახელმწიფო ენერგოკომპანიებისთვის დახმარების გაწევა მემკვიდრეობით მიღებული ვალის რესტრუქტურიზებაში.
დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფოს მართვა		
სამართლებრივი და მართლმსაჯულების სისტემისთვის დახმარების გაწევა *GTZ*	2 მილიონი ევროს უშუალო მომსახურება 2004-06	ბენეფიციარი: იუსტიციის სამინისტრო. ძირითადი ამოცანები: კერძო, კომერციული და ადმინისტრაციული სამართლის გამოყენებისა და განხორციელების ხელშეწყობა საქართველოში კომერციული საქმიანობის განმახორციელებელ მხარეთათვის საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად.
ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის გარშემო მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა *GTZ*	2,2 მილიონი ევროს უშუალო მომსახურება 2001-06	ბენეფიციარი: მოსახლეობა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის გარშემო მდებარე ტერიტორიებზე. ძირითადი ამოცანები: რეგიონულ დონეზე მუნიციპალურ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ინსტიტუციური სტრუქტურისა და სამართლებრივი ბაზის დაარსების ხელშეწყობა.

საქართველოს კონტროლის პალატისთვის დახმარების გაწევა	1,8 მილიონი ევროს უშუალო მომსახურება 2003-06	ბენეფიციარი: საქართველოს კონტროლის პალატა. ძირითადი ამოცანები: საქართველოს კონტროლის პალატის სამართლებრივი ბაზის, საორგანიზაციო სტრუქტურისა და სააუდიტო მეთოდოლოგიის გაუმჯობესება.
მუნიციპალური ინფრასტრუქტურის პროგრამა (ბორჯომ-ხარაგაული) *KfW*	3,8 მილიონი ევროს სესხი + 562 000 ევროს გრანტი 2001-06	ბენეფიციარი: მოსახლეობა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის გარშემო მდებარე ტერიტორიებზე. ძირითადი ამოცანები: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის გარშემო მდებარე ექვს ქალაქში სასმელი წყლის მიწოდებაში არსებული პრობლემების მოგვარება.
საქართველოს სოციალური ინვესტირების ფონდი (GSIF II) *KfW*	7,5 მილიონი ევროს სესხი + 600 000 ევროს გრანტი 2004-07	ბენეფიციარი: საქართველოს სოციალური ინვესტირების ფონდი. ძირითადი ამოცანები: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის გარშემო მდებარე ექვს რაიონში სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.
საგანგებო მიზნები		
ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი *KfW/WWF*	2,6 მილიონი ევროს გრანტი + 870 000 ევროს გრანტი + 400 000 ევრო 1998-06	ბენეფიციარი: მთავრობა ძირითადი ამოცანები: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დაარსებისა და მოვლის ხელშეწყობა; ამჟამად პარკის საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსებას გერმანიის მთავრობა აწარმოებს.
ტუბერკულოზთან ბრძოლა *KfW*	482 000 ევროს გრანტი 2005-06	ბენეფიციარი: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ძირითადი ამოცანები: ტუბერკულოზთან ბრძოლის ეროვნული პროგრამისთვის ტექნიკური დახმარების გაწევა.
ტუბერკულოზთან ბრძოლა კავკასიაში *KfW*	2,6 მილიონი ევროს გრანტი 2002-07	ბენეფიციარი: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ძირითადი ამოცანები: ტუბერკულოზის დიაგნოსტირებისა და მკურნალობის შესაძლებლობათა გაუმჯობესება უშუალო დაკვირვების მოკლე კურსების (DOTS) მეშვეობით; ბავშვებში ლეიკემიის მკურნალობისთვის საჭირო აპარატურის მოწოდება.
ტუბერკულოზთან ბრძოლა კავკასიაში II *KfW*	1,0 მილიონი ევროს გრანტი 2003-07	ბენეფიციარი: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ძირითადი ამოცანები: ტუბერკულოზის დიაგნოსტირებისა და მკურნალობის შესაძლებლობათა გაუმჯობესება უშუალო დაკვირვების მოკლე კურსების (DOTS) მეშვეობით; ბავშვებში ლეიკემიის მკურნალობისთვის საჭირო აპარატურის მოწოდება.
საგანგებო დახმარება მიწისძვრების დროს	2,5 მილიონი ევროს გრანტი 2002-05	ბენეფიციარი: ჯანდაცვის, ლტოლვილთა, განათლებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროები. ძირითადი ამოცანები: სარეაბილიტაციო სამუშაოები საავადმყოფოებში, სკოლებსა და ლტოლვილთა თავშესაფრებში.

კვლევებისა და ექსპერტებისთვის გამოყოფილი თანხები		
კვლევებისა და ექსპერტებისთვის გამოყოფილი თანხები IV *KfW*	1,5 მილიონი ევროს გრანტი 2003-06	ბენეფიციარი: სხვადასხვა. ძირითადი ამოცანები: პროექტის მომზადება (სხვადასხვა ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა და ა.შ.).
კვლევებისა და ექსპერტებისთვის გამოყოფილი თანხები V *KfW*	2,6 მილიონი ევროს გრანტი 2004-07	ბენეფიციარი: სხვადასხვა. ძირითადი ამოცანები: პროექტის მომზადება (სხვადასხვა ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა და ა.შ.).
კვლევებისა და ექსპერტებისთვის გამოყოფილი თანხები (ტექნიკური თანამშრომლობა) *GTZ*	1,4 მილიონი ევროს უშუალო მომსახურება 2000-06	ბენეფიციარი: სხვადასხვა. ძირითადი ამოცანები: ხელშეწყობა ტექნიკური დახმარების პროექტებისა და პროგრამების შემუშავებაში, მომზადებაში, აგრეთვე, მონიტორინგსა და შეფასებაში; ტექნიკური დახმარების მცირემასშტაბიანი პროექტების განხორციელება.

საბერძნეთი

ზოგადი ინფორმაცია

საბერძნეთს დიდი ხნის ისტორიული კავშირი აქვს საქართველოსთან. ბერძნული წარმოშობის დაახლოებით 50 000 ადამიანი ცხოვრობს საქართველოში და თითქმის 100 000 ქართველი – საბერძნეთში. საბერძნეთი ჰუმანიტარულ და განვითარების სფეროში დახმარებას უწევს საქართველოს ორმხრივი ურთიერთობის და საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით.

საბერძნეთის ეროვნული ეკონომიკის სამინისტრომ ქართველებისთვის გამოყო სტიპენდიები ბერძნულ უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლად. გარდა ამისა, საბერძნეთის თავდაცვის სამინისტრომ გამოყო სტიპენდიები საქართველოს სახმელეთო და საზღვაო ოფიცრებისთვის.

საბერძნეთის სოფლის მეურნეობის უნივერსიტეტმა ჩაატარა წალკის რაიონის განვითარებასთან დაკავშირებული კვლევა. 1997 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა კლასიკური, ბიზანტიური და თანამედროვე ბერძნული ენების ინსტიტუტი, რომელიც კოორდინირებას უწევს თანამედროვე ბერძნული ენის შესწავლის პროგრამას საქართველოში. ინსტიტუტში ითარგმნა ბერძნული ლიტერატურა და მოეწყო არაერთი კონფერენცია. 1996 წლის შემდეგ 500 000 ევროა ინვესტირებული ბერძნული ენისა და კულტურის სფეროში განათლებაში.

საქართველოსა და საბერძნეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების სამართლებრივ მხარეს არეგულირებს შემდეგი სამი ორმხრივი ხელშეკრულება:

1) ხელშეკრულება ეკონომიკური და ტექნოლოგიური თანამშრომლობის შესახებ, ძალაშია 1994 წლიდან;

2) ხელშეკრულება ინვესტიციების ორმხრივი დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ, ძალაშია 1995 წლიდან;

3) ხელშეკრულება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ, ძალაშია 1999 წლიდან.

აღნიშნულმა ხელშეკრულებებმა მთელ რიგ ბერძნულ კომპანიებს მისცა საქართველოში ინვესტიციების განხორციელების საშუალება. გარდა ამისა, საბერძნეთი ასევე მნიშვნელოვანი პარტნიორია თავდაცვის სფეროში, რომელთანაც ურთიერთობას არეგულირებს ხელშეკრულება სამხედრო თანამშრომლობის შესახებ. თანამშრომლობის მაღალი დონე ამ სფეროში მიგვითითებს საბერძნეთ-საქართველოს პოლიტიკური და სტრატეგიული ურთიერთობის განმტკიცებაზე. 2003 წელს საბერძნეთმა საქართველოში ჩამოიტანა 300 ტონიანი რაკეტმზიდი გემი და პროგრამა ქართული საზღვაო ფლოტის ფორმირებისთვის.

ინფორმაცია განხორციელების შესახებ

საბერძნეთის მხრიდან საქართველოსთვის გაწეულ ორმხრივ დახმარებას განვითარების სფეროში, ტრადიციულად, უმთავრესად საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო უწევდა კოორდინირებას. თუმცა 2002 წლის 1 ოქტომბერს საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩამოყალიბდა საერთაშორისო განვითარებაში თანამშრომლობის გენერალური დირექტორატი, რომელიც ოფიციალურად ცნობილია „ბერძნული დახმარების„ (“Hellenic Aid”) სახელით. ამ უწყებას დაეკისრა პასუხისმგებლობა მსოფლიო მასშტაბით საერთაშორისო განვითარებაში დახმარების კოორდინირებაზე. მისი პოლიტიკაა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ადგილებზე მუშაობა და არა დახმარების გაწევა საბერძნეთის საელჩოების მეშვეობით.

საბერძნეთმა საქართველოსთვის განვითარების სფეროში დახმარების გაწევა 1995 წლიდან დაიწყო, რაც 2003 წლის ჩათვლით გაგრძელდა. საბერძნეთმა საქართველოს გამოუყო დაახლოებით 28,6 მილიონი ევრო. ამ თანხის უდიდესი ნაწილი გამოყენებული იქნა ტექნიკური თანამშრომლობის პროექტებისათვის, ხოლო დარჩენილი თანხა მოწოდებული იყო გადაუდებელი დახმარების სახით. ჰუმანიტარულ დახმარებას უზრუნველყოფს საგარეო საქმეთა სამინისტრო ისეთი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ბერძნული ფილიალების მეშვეობით, როგორიც არის „ექიმები საზღვრებს გარეშე” და „საერთაშორისო წითელი ჯვარი„.

გარდა ამისა, საბერძნეთი ხშირად უწევს ფინანსურ მხარდაჭერას საერთაშორისო ორგანიზაციებს საქართველოსთვის განვითარებასთან დაკავშირებული და ჰუმანიტარული დახმარებისთვის.

2004-2006 წლების მნიშვნელოვანი მოვლენები

2006 წლის აპრილში ჩატარდა საქართველო-საბერძნეთის ბიზნეს-ფორუმი. ფორუმში მონაწილეობის მიზნით საქართველოს ეკონომიკის მინისტრი გაემგზავრა საბერძნეთში, რათა საბერძნეთის ხელისუფლებისა და ბიზნესმენებისთვის გაეცნო საქართველოში არსებული ინვესტირების შესაძლებლობები.

პროექტების მიმოხილვა

პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	**პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა**	**ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით**
თანამშრომლობა და სოლიდარობა განვითარების სფეროში	150 000 2005	ბენეფიციარი: სამედიცინო ცენტრი „ჰიპოკრატე". ძირითადი ამოცანები: თბილისში სამედიცინო ცენტრი „ჰიპოკრატესათვის" აპარატურის გადაცემა.
ფონდი „ჯანმრთელობისა და სიყვარულის ექიმები"	30 000 2005	ბენეფიციარი: თბილისის მოსახლეობა. ძირითადი ამოცანები: თბილისის მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება.
EKY KKA	10 000 2005	ბენეფიციარი: საქართველოს მოქალაქეები. ძირითადი ამოცანები: საქართველოს მოქალაქეებისთვის დახმარების გაწევა.
IOCC	75 000 2005	ბენეფიციარი: სკოლები. ძირითადი ამოცანები: საქართველოში სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების განახლება.
ფონდი „ჯანმრთელობისა და სიყვარულის ექიმები"	30 000 2005	ბენეფიციარი: თბილისის მოსახლეობა. ძირითადი ამოცანები: თბილისის მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება.
მშვიდობის დამყარებისკენ მიმართული კვლევისა და საქმიანობის ცენტრი (KEΔE)	25 000 2005	ბენეფიციარი: ქალები. ძირითადი ამოცანები: სოციალურად გარიყული ქალებისთვის დახმარების გაწევა.
ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის ფონდი	15 000 2005	ბენეფიციარი: მუსიკოსები. ძირითადი ამოცანები: კავკასიის ტრადიციული პოლიფონიური მუსიკის ხელშეწყობა და განვითარება ევროპულ და საერთაშორისო დონეებზე.
განვითარების ბერძნული კომპანია (Hellenic Development Company)	20 000 2005	ბენეფიციარი: სამედიცინო ცენტრი „ჰიპოკრატე". ძირითადი ამოცანები: სამედიცინო ცენტრი „ჰიპოკრატეს" მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.
Open Embrace	45 000 2005	ბენეფიციარი: თბილისის გურამიშვილის სახელობის კლინიკა. ძირითადი ამოცანები: გურამიშვილის სახელობის კლინიკაში მედდების სამსახურის დაარსება და „თამაშის თერაპიის კაბინეტის" მოწყობა.
EKY KKA	25 000 2005	ბენეფიციარი: ბავშვებზე ზრუნვის დაწესებულებები. ძირითადი ამოცანები: საქართველოს ბავშვებზე ზრუნვის დაწესებულებებში ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილება.

ახალგაზრდა იურისტთა ბერძნული კავშირი	105 000 2005	ბენეფიციარი: ახალგაზრდა იურისტები. ძირითადი ამოცანები: საქართველოში ახალგაზრდა იურისტებთან თანამშრომლობით კვლევის წარმოება.
ARGO – საერთაშორისო დახმარება და სტრატეგიული განვითარება	20 000 2005	ბენეფიციარი: სკოლა ფოკაში. ძირითადი ამოცანები: ფოკას სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია და აპარატურის მიწოდება.
OGYGOS	30 000 2005	ბენეფიციარი: საქართველოს მოქალაქეები. ძირითადი ამოცანები: პროექტი Agora-ს მეშვეობით მოქალაქეთათვის სხვადასხვა მომსახურების გაუმჯობესება.
IOCC	75 000 2005	ბენეფიციარი: საქართველოს სკოლები. ძირითადი ამოცანები: საქართველოს სკოლების განახლება.
Hellenic Aid	30 000 2005	ბენეფიციარი: დასავლეთ საქართველო. ძირითადი ამოცანები: დასავლეთ საქართველოში გაზაფხულზე მომხდარი წყალდიდობის შემდეგ მსოფლიო სასურსათო პროგრამის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში ფინანსური მონაწილეობა.
Hellenic Aid	300 000 2005	ბენეფიციარი: იუსტიციის სამინისტრო. ძირითადი ამოცანები: იუსტიციის სამინისტროსთვის დახმარების გაწევა სამოქალაქო რეესტრის პროექტის წამოწყებაში.
Hellenic Development Company	160 000 2005	ბენეფიციარი: ჯანდაცვის სამსახურები. ძირითადი ამოცანები: რენტგენოგრაფიისთვის და კოლონოსკოპიისთვის სამედიცინო აპარატურისა და ელექტროკარდიოგრაფით აღჭურვილი სასწრაფო დახმარების ორი მანქანის მოწოდება.

იტალია

ზოგადი ინფორმაცია

იტალიის საელჩო საქართველოში 2000 წლის თებერვალში გაიხსნა, რაც დაემთხვა საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის, ვიზიტს იტალიაში. იმ დროიდან დაწყებული ურთიერთობები გაღრმავდა და ჩამოყალიბდა მთელი რიგი კავშირებისა. 2002 წელს იტალიამ და საქართველომ ხელი მოაწერეს ფართო სპექტრის კულტურული და სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას. 2000-2005 წლებში იტალიამ საქართველოს აღმოუჩინა მნიშვნელოვანი დახმარება განვითარებისა და თანამშრომლობის სფეროებში პროექტებით. ეს პროექტები ან ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდებოდა, ან მრავალმხრივი ორგანიზაციების მეშვეობით. ვინაიდან საქართველო არ არის ჩართული განვითარების სფეროში თანამშრომლობის იტალიის პოლიტიკაში, ბოლო ორი წელიწადი აღინიშნა ინტენსიური პოლიტიკური დიალოგის პერიოდად ამ ორ ქვეყანას შორის. მნიშვნელოვნად იმატა იტალიელი მინისტრებისა და პოლიტიკოსების საქართველოში ვიზიტების რაოდენობამ. ყველაფერი ეს, პრეზიდენტ სააკაშვილის 2005 წლის მარტში იტალიაში განხორციელებულ ვიზიტთან ერთად, აშკარად გამოხატავს საქართველო-იტალიის ურთიერთობებში ახალი ფაზის დაწყებას.

ინფორმაცია განხორციელების შესახებ

ზემოხსენებულის შედეგად 2004 წლიდან გაიზარდა იტალიის მხრიდან დახმარება, რომელიც შემდეგ სფეროებს ეხება:

- ჰუმანიტარული დახმარება და გადაუდებელი დახმარება;
- პოლიტიკური დახმარება;
- ინსტიტუციური რეფორმებისა და დემოკრატიზაციის პროცესის მხარდაჭერა;
- ეკონომიკური პროექტები და დახმარება საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში;
- საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დახმარების სფეროში განხორციელებული პროექტების ფინანსური მხარდაჭერა;
- დახმარება კულტურის სფეროში.

ჰუმანიტარული დახმარება და გადაუდებელი დახმარება

2004-2005 წლებში განხორციელდა მთელი რიგი ჰუმანიტარული დახმარების ღონისძიებებისა, ფულადი და საგანგებო დახმარების ჩათვლით. დახმარების მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენდნენ დასავლეთ საქართველოში წყალდიდობით დაზარალებული ადამიანები, თბილისში მცხოვრები აფხაზეთიდან ლტოლვილები და ზოგადად დაუცველი ადამიანები.

პოლიტიკური დახმარება

იტალიის საელჩომ, საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიასთან ერთად, მოაწყო ქართულ-აფხაზური მხარეების ერთობლივი ვიზიტი ტრენტინო-ალტო ადიჯეში ადგილობრივი ავტონომიური სტატუსის შესწავლის მიზნით.

ინსტიტუციური რეფორმებისა და დემოკრატიზაციის პროცესის მხარდაჭერა

საქართველოს დაწესებულებებისთვის დემოკრატიზაციის პროცესში დახმარების გაწევის მიზნით იტალიის საელჩომ მოაწყო მთელი რიგი ვიზიტებისა იტალიაში საქართველოს მაღალი რგოლის საჯარო მოხელეებისათვის — შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფინანსური პოლიციის მაღალჩინოსნებისათვის.

ეკონომიკური პროექტები და დახმარება საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში

SIMEST-მა, იტალიის სამეწარმეო საქმიანობის სამინისტროს საკუთრებაში მყოფმა სახელმწიფო კომპანიამ, ჩამოაყალიბა ვენჩურული კაპიტალის ფონდი 70 მილიონი ევროს ოდენობით საინვესტიციო პროექტებისათვის, რომლებიც იტალია-საქართველოს ერთობლივი საწარმოების დაფინანსებას ისახავდა მიზნად.

ამჟამად ხორციელდება მთელი რიგი პროექტებისა ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კადრების მომზადების ხელშეწყობის მიზნით. იურიდულ მხარეს უზრუნველყოფს იტალიის კანონმდებლობა (კანონი 212/90), რომლის მიზანია იტალიური კომპანიების ინტერნაციონალიზების ფინანსური მხარდაჭერა. 2004-2005 წლებში იტალიის საელჩომ მოაწყო იტალია-საქართველოს ორი ბიზნეს-ფორუმი ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისა და იტალიელი ინვესტორების საქართველოში მოზიდვის მიზნით.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დახმარების სფეროში განხორციელებული პროექტების ფინანსური მხარდაჭერა

იტალიამ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დახმარების სფეროში განხორციელებული სხვადასხვა პროექტის დაფინანსებაში. დახმარება გაწეული იქნა აფხაზეთში ჰუმანიტარული რეაბილიტაციის და მშვიდობის დამყარების პროგრამის (გაერო-ს განვითარების პროგრამა), ტრეფიკინგის და ევროკავშირში უკანონო მიგრაციის (მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია) თავიდან აცილების ხელშეწყობის და გალის რაიონში სამოქალაქო პოლიციის (CIVPOL) ღონისძიებათა განხორციელების მიზნით სატრასტო ფონდის ჩამოყალიბების (საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისია) სახით.

დახმარება კულტურის სფეროში

2004-2005 წლებში იტალიამ ქართველებისთვის გამოყო სტიპენდიები თითქმის 250 სასწავლო თვისთვის. იურიდიულ საფუძველს ამისათვის უზრუნველყოფდა 2002 წელს გაფორმებული ორმხრივი კულტურული თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება იტალიასა და საქართველოს შორის.

2005 წელს იტალიის საელჩომ დააარსა სტიპენდია "Roma Prize". ექვს დისციპლინაში – მუსიკა, თეატრი, კინო, არქიტექტურა, ჟურნალისტიკა და მოდელირება – შერჩეული ქართველი სტუდენტები იღებენ ცხრათვიან სტიპენდიას იტალიის აკადემიებში სასწავლად.

პროექტების მიმოხილვა

პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	**პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა**	**ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით**
სამხედრო აღჭურვილობის საჩუქრად გადაცემა *საქართველოს თავდაცვის სამინისტრო*	8,0 მილიონი 2004	ბენეფიციარი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. ძირითადი ამოცანები: საქართველოს შეიარაღებული ძალების აღჭურვილობის გაუმჯობესება. კომპონენტები: სამხედრო აღჭურვილობის, მათ შორის იარაღის, გადმოცემა.
საკვების საჩუქრად გადმოცემა *გაერო-ს მსოფლიო სასურსათო პროგრამა*	1,0 მილიონი 2004	ბენეფიციარი: დაუცველი ადამიანები. ძირითადი ამოცანები: მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ფენებისთვის დახმარების გაწევა. კომპონენტები: საკვების საჩუქრად გადმოცემა.
ჰუმანიტარული დახმარება და გადაუდებელი დახმარება *გაერო-ს მსოფლიო სასურსათო პროგრამა*	15 000 2004	ბენეფიციარი: აფხაზეთიდან ლტოლვილები. ძირითადი ამოცანები: თბილისში მცხოვრებ აფხაზეთიდან ლტოლვილთა მძიმე მდგომარეობის შემსუბუქება. კომპონენტები: საკვები პროდუქტების საჩუქრად გადმოცემა.

ჰუმანიტარული დახმარება და გადაუდებელი დახმარება *სამედიცინო დახმარება*	25 000 2004	ბენეფიციარი: საქართველოს მოსახლეობა. ძირითადი ამოცანები: თანამედროვე მკურნალობის უზრუნველყოფა. კომპონენტები: სამედიცინო დახმარების გაწევა.
ჰუმანიტარული დახმარება და გადაუდებელი დახმარება *გადაუდებელი დახმარების კომპლექტები*	250 000 2005	ბენეფიციარი: წყალდიდობის მსხვერპლნი. ძირითადი ამოცანები: 2005 წლის აპრილში მომხდარი წყალდიდობის შემდეგ საგანგებო სიტუაციაში ჩავარდნილი მოსახლეობისთვის დახმარების გაწევა. კომპონენტები: ტენტებისა და საბნების საჩუქრად გადაცემა.
ჰუმანიტარული დახმარება და გადაუდებელი დახმარება *საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო*	1,0 მილიონი 2005-06	ბენეფიციარი: ჯანდაცვის სამინისტრო. ძირითადი ამოცანები: საქართველოს ყველა რეგიონში უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ ადამიანთა პირობების შემსუბუქება. კომპონენტები: საკვები პროდუქტების, მაგალითად, ზეთის, ბრინჯისა და ყველის, საჩუქრად გადმოცემა.
საქართველოში ინსტიტუციური რეფორმების ხელშეწყობა *ტრენინგის განმახორციელებელი მისია*	— 2005	ბენეფიციარი: იუსტიციის სამინისტრო. ძირითადი ამოცანები: ქართველ მოსამართლეთა ჯგუფის ტრენინგი. კომპონენტები: Comune di Palermo-სთან ერთად იტალიის სისხლის სამართალთან დაკავშირებით ტრენინგის პროგრამის ჩატარება.
ინსტიტუციური რეფორმების ხელშეწყობა *ტრენინგის განმახორციელებელი მისია*	— 2005	ბენეფიციარი: შინაგან საქმეთა სამინისტრო. ძირითადი ამოცანები: შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი რგოლის თანამშრომლების დელეგაციისთვის ტრენინგის პროგრამის ჩატარება. კომპონენტები: ტრენინგი რომში იტალიის უმაღლესი სარდლობის შტაბში.
ინსტიტუციური რეფორმების ხელშეწყობა *ტრენინგის განმახორციელებელი მისია*	— 2005	ბენეფიციარი: ფინანსთა სამინისტრო. ძირითადი ამოცანები: საქართველოს ფინანსური პოლიციის დელეგაციისთვის Italian Corp Guardia di Finanza-ს საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა. კომპონენტები: ტრენინგი რომში Guardiadi Finanza-ს შტაბ-ბინაში.
დახმარების სფეროში ზოგიერთი პროექტისთვის ფინანსური დახმარების გაწევა *მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია*	50 000 2005	ბენეფიციარი: შინაგან საქმეთა სამინისტრო. ძირითადი ამოცანები: ადამიანებით ტრეფიკინგისა და ევროკავშირში უკანონო მიგრაციის აღკვეთა.
დახმარების სფეროში ზოგიერთი პროექტისთვის ფინანსური დახმარების გაწევა *გაერო-ს დამკვირვებელთა მისია საქართველოში (UNOMIG)*	39 000 2005	ბენეფიციარი: გალის რაიონი. ძირითადი ამოცანები: სამოქალაქო პოლიციის (CIVPOL) ღონისძიებების განხორციელება. კომპონენტები: ადგილობრივი პოლიციისათვის საავტომობილო საშუალებების და სასამართლო ექსპერტიზისთვის აპარატურის, მასალებისა და მომსახურების შეძენა.

დახმარების სფეროში ზოგიერთი პროექტისთვის ფინანსური დახმარების გაწევა *გაერო-ს განვითარების პროგრამა (UNDP)*	72 000 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> აფხაზეთის კონფლიქტის ზონის მოსახლეობა. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ჰუმანიტარული რეაბილიტაციისა და მშვიდობის დამყარების პროცესის ხელშეწყობა. <u>კომპონენტები:</u> საქართველოში კონფლიქტის ზონებში მშვიდობის დამყარების პროცესის ხელშეწყობა და მოსახლეობისთვის დახმარების გაწევა.
საბაზრო ეკონომიკის განვითარების ეკონომიკური ხელშეწყობა *SIMEST*	70,0 მილიონი 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> ქართული ბიზნესი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> იტალიურ-ქართული ერთობლივი საწარმოების დაფინანსება იტალიასა და საქართველოს შორის მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების მიზნით. <u>კომპონენტები:</u> იტალიის სამეწარმეო საქმიანობის სამინისტრომ დააარსა ვენჩურული კაპიტალის ფონდი საინვესტიციო პროექტების ხელშესაწყობად.
ინფრასტრუქტურის განვითარება *იტალიურ-ქართული ეკონომიკური პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროგრამა (IGEPP)*	— 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> ქართული ბიზნესი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> იტალიური კომპანიების ინტერნაციონალიზების ფინანსური მხარდაჭერა. <u>კომპონენტები:</u> მეწარმეებისთვის ბაზრის ანალიზში ტრენინგის კურსების მოწყობა; იტალიური კომპანიებისთვის საქართველოში ინვესტირების ძირითადი შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის შემცველი მონაცემთა ბაზის უზრუნველყოფა.
ეკონომიკური პროექტები *ბიზნეს-ფორუმები*	— 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> ქართული ეკონომიკა. <u>ძირითადი ამოცანები:</u> იტალიასა და საქართველოს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება იტალიასა და საქართველოს შორის არსებული კონკრეტული ეკონომიკური კავშირების მიმოხილვის გზით.
დახმარება კულტურის სფეროში *Premio Roma*	212 800 2005	<u>ბენეფიციარი:</u> ქართველი სტუდენტები. <u>ძირითადი ამოცანები</u>: ქართველი სტუდენტებისთვის იტალიაში სწავლის შესაძლებლობის მიცემა. <u>კომპონენტები:</u> 250 სტუდენტისთვის სტიპენდიის გამოყოფა სტუდენტ-თვეზე 750 ევროს განაკვეთით იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც იტალიაში სწავლობენ; სტიპენდია *Roma Prize* შესაძლებლობას აძლევს 6 სტუდენტს, ცხრა თვის განმავლობაში იტალიის აკადემიებში ისწავლონ მათ მიერ არჩეული საგნები – მუსიკა, თეატრი, არქიტექტურა, ჟურნალისტიკა და მოდელირება.

ლიტვა

ზოგადი ინფორმაცია

ლიტვა აბსოლუტურად უჭერს მხარს გაფართოებული ევროკავშირის მიზანს, უფრო ინტენსიური გახადოს ურთიერთობა ახალ, ამ შემთხვევაში აღმოსავლელ მეზობლებთან. ლიტვას ასევე მიაჩნია, რომ თანამშრომლობა განვითარების სფეროში საგრძნობ შედეგებს მოიტანს და მოქალაქეები (როგორც ევროკავშირის, ასევე მისი მეზობელი ქვეყნებისა) გაათვითცნობიერებენ ამ თანამშრომლობის მნიშვნელობას. ლიტველ ექსპერტებს აქვთ ევროკავშირში გაწევრიანების პროცესთან დაკავშირებული საფუძვლიანი კომპეტენცია და დიდი პრაქტიკული გამოცდილება, რაც შეიძლება ძალიან გამოსადეგი აღმოჩნდეს პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისთვის (უკრაინა, მოლდოვა, ბელარუსი, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი).

ლიტვის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების გათვალისწინებით, 2005 წელს ლიტვის რეპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ წამოიწყო მნიშვნელოვანი ტექნიკური დახმარება საქართველოსთვის ევროპაში ინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით. დახმარების მიზანს წარმოადგენდა ევროპულ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის სფეროში ძირითადი დაწესებულებისთვის – ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის – დახმარების გაწევა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობათა განვითარებასა და განხორციელებაში (როგორც სტრატეგიულ, ასევე სამოქმედო დონეებზე). პროექტი ნაწილობრივ დააფინანსა კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ.

პროექტის განხორციელება დაიწყო 2005 წლის იანვრის ბოლოს და დასრულდა 2005 წლის ოქტომბრის ბოლოს. პროექტის განხორციელება ორ ეტაპად იყო გაყოფილი: პირველი ეტაპი მიმდინარეობდა იანვრიდან მაისამდე, ხოლო მეორე – ივნისიდან ოქტომბრამდე. პროექტის ფარგლებში სამუშაოებს ასრულებდა პროექტის გუნდი, რომელიც შედგებოდა გუნდის ხელმძღვანელის (ხანგრძლივი პერიოდით მომუშავე ექსპერტი) და ხანმოკლე პერიოდით მომუშავე 7 ექსპერტისგან.

გარდა ამისა, დახმარება გაწეული იქნა ჰუმანიტარული დახმარების, ქართველი საჯარო მოხელეების ტრენინგის და საქართველო-ლიტვის პარლამენტართა თანამშრომლობის ხელშეწყობის სახით.

პროექტების მიმოხილვა

პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	**პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა**	**ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით**
გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარება *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო*	29 000 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> ინტერნატები და საბავშვო ბაღები თბილისში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის დახმარების გაწევა სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო ბაღების მდგომარეობის გაუმჯობესებაში. <u>კომპონენტები</u>: სხვადასხვა აღჭურვილობისა და ლოგინის შეძენა სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო ბაღების საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.
ტექნიკური დახმარება ქართველი საჯარო მოხელეების ტრენინგში *სახელმწიფო საქმეთა ქართული ინსტიტუტი*	22 000 2004	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს ხელისუფლება. <u>ძირითადი ამოცანები:</u> დახმარება ქართველი საჯარო მოხელეების ადმინისტრაციულ შესაძლებლობათა განვითარებაში. <u>კომპონენტები:</u> სხვადასხვა სამინისტროებისა და სამთავრობო უწყებების პერსონალის ტრენინგი თბილისში; ლიტვაში სემინარების ჩატარება; პროფესიულ უნარ-ჩვევათა გაუმჯობესებაში დახმარების გაწევა.

ტექნიკური დახმარება ევროპასთან ინტეგრაციის საკითხებში *ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი*	86 500 2005	<u>ბენეფიციარი:</u> ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის დახმარების გაწევა ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობათა განვითარებასა და განხორციელებაში. <u>კომპონენტები:</u> კონსულტაციების ჩატარება საქართველოში ევროკავშირთან ინტეგრაციის სტრატეგიის დოკუმენტის მომზადებაში; ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების დაგეგმვა; პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგი; ტრენინგი მიზნობრივი ჯგუფებისთვის ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხებში; ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ფართო საზოგადოებაში.
ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხებში ლიტვის გამოცდილების გაზიარება *საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო*	5 000 2005	<u>ბენეფიციარი:</u> საგარეო საქმეთა სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხებში ლიტვის გამოცდილების გაზიარება და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების ცოდნის გაღრმავება. <u>კომპონენტები:</u> ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხებში საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა; ტრენინგის ჩატარება; პროფესიული შესაძლებლობების განვითარება; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ორი წარმომადგენლისთვის ტრენინგის ორგანიზება.
ლიტვის - როგორც დამწყები დონორის - ქმედითუნარიანობის განმტკიცება *ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ლიტვაში გაერო-ს განვითარების პროგრამის ერთობლივი პროექტი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, საქართველოში გაერო-ს განვითარების პროგრამასთან და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან თანამშრომლობით.*	26 000 2005	<u>ბენეფიციარი:</u> მედია. <u>ძირითადი ამოცანები:</u> საზოგადოებაში ინფორმაციის გავრცელება და ლიტვასა და საქართველოს შორის განვითარების სფეროში თანამშრომლობის განმტკიცების ხელშეწყობა. <u>კომპონენტები:</u> მასობრივი ინფორმაციის ძირითადი ეროვნული/რეგიონული საშუალებების 15 ჟურნალისტისგან შემდგარი ჯგუფის, ასევე ლიტვაში გაერო-ს განვითარების პროგრამისა და ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების საქართველოში სასწავლო ვიზიტის ორგანიზება განვითარების სფეროში თანამშრომლობის კონკრეტული ღონისძიებების შესახებ ცოდნის გასაღრმავებლად.
ლიტვისა და საქართველოს პარლამენტებს შორის თანამშრომლობის პროგრამა *საქართველოს პარლამენტი*	4 500 2005	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს პარლამენტი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ორი ქვეყნის პარლამენტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება კარგი საპარლამენტო პრაქტიკის და ევროკავშირთან პარტნიორობის დამკვიდრების მიზნით. <u>კომპონენტები:</u> ორი ქვეყნის პარლამენტებს შორის გამოცდილების გაზიარება და საქართველოს პარლამენტარებისა და პარლამენტის თანამშრომლების შესაძლებლობათა განვითარებაში დახმარება; ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხებზე სასწავლო ვიზიტების მოწყობა.

ნიდერლანდები

ზოგადი ინფორმაცია

ნიდერლანდების საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სიღარიბის დაძლევა. ამ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლაზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით ნიდერლანდებს თავისი მთლიანი ეროვნული პროდუქტის 0,8% აქვს გაღებული. განვითარების სფეროში ოფიციალური დახმარება ხორციელდება ორმხრივი და მრავალმხრივი ინიციატივების ფორმით, ორმხრივი დახმარება ეწევა 36 პარტნიორ ქვეყანას. დახმარებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება 2015 წლისთვის ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევას და ეროვნულ სტრატეგიებს იმ ქვეყნებში, რომლებსაც ნიდერლანდები უწევს დახმარებას.

განვითარების სფეროში თანამშრომლობის ნიდერლანდების პოლიტიკის თვალნათელ დახასიათებას წარმოადგენს დამხმარე ხასიათი ინიციატივებისა და მცდელობებისა, რომლებიც ხელს უწყობს დახმარების ჰარმონიზებასა და რეგულირებას.

თანამშრომლობის პროგრამა საქართველოსთვის

ნიდერლანდები საქართველოს ინტერესებს წარმოადგენს როგორც მსოფლიო ბანკში, ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდში. საქართველო ნიდერლანდების მთავრობის პარტნიორი ქვეყანაა იმ 36 ქვეყანას შორის, რომლებიც იღებენ ორმხრივ დახმარებას განვითარების სფეროში. ნიდერლანდების მთავრობა აწვდის საქართველოს დახმარებას საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური საბიუჯეტო ხაზებით და საელჩოში გადაცემული თანხებით. 2004 წლის ივნისიდან საქართველოსთვის ხელმისაწვდომი გახდა ის ფინანსური სახსრები, რომლებიც გამიზნულია ნიდერლანდების მთავრობის მიერ მდგრადი ეკონომიკური განვითარების სტიმულირების დასაფინანსებლად განვითარებად ბაზრებში (PSOM da ORET).

2005 წელს საქართველოსთვის გამიზნული დახმარება ცენტრალური საბიუჯეტო ხაზებით მიეწოდა, სხვა მხარეებთან ერთად, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკს (ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამა და ადრეულ გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნების ფონდი), დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს (ODIHR) (რეგიონული ქმედებები არჩევნების ტექნიკური დახმარების სფეროში, დემოკრატიულ პროცესებში ქალების მონაწილეობის გაზრდა და ა.შ.), სატრასტო ფონდ HALO-ს განნაღმვის საქმიანობისთვის, საერთაშორისო იურიდიული თანამშრომლობის ცენტრს (სემინარები სამართლის ნორმებში), ავალონის ფონდს ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარებაში დახმარებისათვის და „მილიეუკონტაქტს“, ჰოლანდიურ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც მუშაობს ნარჩენი პესტიციდების აღმოფხვრის/მყარი ნარჩენების მართვის სფეროში.

საქართველოში განვითარების სფეროში თანამშრომლობის (საელჩოსთვის დელეგირებული) პროგრამის ზოგად მიზანს წარმოადგენს სიღარიბის დაძლევა. 2005 წელს გამოყოფილმა თანხებმა 4,9 მილიონი ევრო შეადგინა. ნიდერლანდების მთელი დახმარება კონცენტრირებულია კარგ ეკონომიკურ მართვაზე, ანუ სახელმწიფო სექტორის განმტკიცებაზე და მმართველობის დემოკრატიულ ფორმაზე გადასვლის სტიმულირებაზე განსაკუთრებული აქცენტით სამართლის ნორმებზე, ადამიანის უფლებებზე, მშვიდობის დამყარებაზე, კონცენტრირებულია, აგრეთვე, ჯანსაღი მაკროეკონომიკური კლიმატის გაძლიერებასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდგომ ხელშეწყობაზე. სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივების გაძლიერებისკენ მიმართული მცირე პროექტების საბიუჯეტო ხაზით საელჩომ 80 000 ევრო გამოყო.

2005 წელს ნიდერლანდებმა, მსოფლიო ბანკთან ერთად, 4 მილიონი ევროთი დააფინანსა სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობის ღონისძიება (PRSO-1). პროგრამამ უნდა გააუმჯობესოს 1) ფინანსური ანგარიშგება და სახელმწიფო სექტორის ეფექტიანობა; 2) ელექტროენერგიით და ბუნებრივი გაზით მომარაგება; 3) კერძო სექტორის შემდგომი განვითარების ხელშემწყობი გარემო და 4) სოციალური მომსახურებები, განსაკუთრებით ჯანმრთელობის დაცვა და განათლება.

1) კარგი (ეკონომიკური) მმართველობა

კარგი (ეკონომიკური) მმართველობის დახმარება გამოყოფილია ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების პროგრამისთვის, კერძოდ, სახელმწიფო სექტორისა და ძირითადი ინსტიტუტების გაძლიერებისთვის ამ პროცესის მიმდინარეობისას. სხვადასხვა პოლიტიკური ძალების გამჭვირვალე ფუნქციონირების სტიმულირების და ინსტიტუციონალიზებული შემოწმებების და ბალანსების ჩამოყალიბების მიზნით, ქმედებები მიმართულია ცენტრალური სამთავრობო ორგანოების და ზედამხედველობის მწარმოებელი დაწესებულებების გაძლიერებისკენ.

2005 წელს მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის ხელშეწყობის პროგრამისთვის. აღნიშნული პროგრამა ტექნიკურ დახმარებას გაუწევს და ხელს შეუწყობს 1) დაგეგმვისა და ბიუჯეტის მართვის შესა-

ძლებლობების გაძლიერებას შუალედური ხარჯების დაგეგმვის სქემის (MTEF) დახმარებით; 2) სახელმწიფო რესურსების გამოყენების კონტროლის უფრო ეფექტიანი სისტემების ამუშავებას ხაზინის მართვის სისტემის გაფართოების საფუძველზე; 3) სახელმწიფო სამსახურის მოცულობის, შემადგენლობისა და ღირებულების მართვის გაუმჯობესებას და 4) ანგარიშგების გაზრდას გარე ზედამხედველობის შესაძლებლობების დახმარებით, განსაკუთრებით კონტროლის პალატის მხრიდან. პროგრამას ხელი მოეწერა 2006 წლის 10 მარტს და იგი ითვალისწინებს ერთობლივ დაფინანსებას საქართველოს ხელისუფლების, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის, ნიდერლანდებისა და მსოფლიო ბანკის მხრიდან. სამი წლის განმავლობაში ნიდერლანდები პროგრამისთვის 1,8 მილიონ ევროს გამოყოფს.

ამავე კატეგორიას განეკუთვნება ისეთი სხვა პროგრამებიც, როგორიც არის "ფინანსური სისტემის მოდერნიზება" (გაერო-ს განვითარების პროგრამა), "საქართველოს პარლამენტის გაძლიერება სახელმწიფო ფინანსების მართვის საკითხებში" (ჰოლანდიური ორგანიზაცია „აღმოსავლეთ-დასავლეთის საპარლამენტო პრაქტიკის პროექტი"), "სახელმწიფო ფინანსების მართვის საკითხებში სამოქალაქო საზოგადოების/მედიის კომპეტენტურობის გაფართოება" (Transparency International) და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელშეწყობა (გაერო-ს განვითარების პროგრამა).

2) ადამიანის უფლებები

ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის სფეროში დახმარება მიმართული იყო ისეთ ღონისძიებებზე, რომელთა მიზანი იყო ზედამხედველობის მექანიზმის განმტკიცება და ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ საზოგადოების ცოდნის გაზრდა. 2005 წელს დახმარება გაეწია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში (2006 წლამდე) და IDEA-ს სამხრეთ კავკასიის ფილიალს დემოკრატიზების პროცესის ხელშეწყობის სფეროებში. პროგრამისთვის „ადამიანებით ტრეფიკინგის აღკვეთა" გამოყოფილი იყო 220 000 ევრო. მთავარ მიზანს წარმოადგენდა საზოგადოებისთვის ტრეფიკინგის რაობის და მისი სავალალო შედეგების გაცნობა.

3) მშვიდობის დამყარება

ნიდერლანდებმა, როგორც მრავალმხრივ, ასევე ორმხრივ დონეებზე, დახმარება გაუწია საქართველოში კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისკენ მიმართულ ინიციატივებს. 2005 წელს დახმარება გაეწიათ საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიას და Conciliation Resources-ს მხარეებს შორის დიალოგის შესაძლებლობათა გაუმჯობესების და აფხაზეთში სოციალური რეაბილიტაციის მიზნით. 2005 წლის შემოდგომაზე საელჩომ 50 000 ევრო შეიტანა ეუთო-ში – სამხრეთ ოსეთში სოციალური რეაბილიტაციისა და ეკონომიკური განვითარებისთვის საჭიროებათა შეფასებაში დახმარების გასაწევად.

პროექტების მიმოხილვა

პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	**პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა**	**ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით**
ფინანსური სისტემის მოდერნიზება, II ფაზა *გაერო-ს განვითარების პროგრამა*	700 000 2005-07	<u>ბენეფიციარი:</u> ფინანსთა სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> სახელმწიფო ფინანსების, ადმინისტრირებისა და მართვის სისტემების გაუმჯობესება ფინანსთა სამინისტროში. <u>კომპონენტები:</u> მმართველობითი შესაძლებლობების განმტკიცება და კადრების განვითარება.
პროგრამა BRIDGE ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შესაძლებლობათა განვითარებისთვის *IDEA*	150 000 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> ცენტრალური საარჩევნო კომისია. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შესაძლებლობათა განვითარების ხელშეწყობა. <u>კომპონენტები:</u> საარჩევნო ორგანოში ამ სფეროს საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა, ტრენინგის შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების განვითარება, სამხრეთ კავკასიის BRIDGE ქსელის დაარსება.

სამოქალაქო საზოგადოებაში სახელმწიფო ფინანსების მართვის თაობაზე ცოდნის გაღრმავება ჟურნალისტების ტრენინგის მეშვეობით *Transparency International*	80 000 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> ქართველი ჟურნალისტები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> საზოგადოებაში საბიუჯეტო პროცესის თაობაზე ცოდნის გაუმჯობესება და ფინანსური რეფორმის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნება. <u>კომპონენტები:</u> ჟურნალისტებისთვის ტრენინგის, მრგვალ მაგიდასთან განხილვების (ეროვნული და რეგიონული მასშტაბით) მოწყობა და პუბლიკაციების ხელშეწყობა.
საქართველოს პარლამენტის გაძლიერება სახელმწიფო ფინანსების მართვის საკითხებში *„აღმოსავლეთ-დასავლეთის საპარლამენტო პრაქტიკა"*	270 000 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს პარლამენტი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> საბიუჯეტო პროცესის მეთვალყურეობის შესაძლებლობათა განვითარება. <u>კომპონენტები:</u> ტრენინგის მოწყობა, მათ შორის პარლამენტის საბიუჯეტო/საფინანსო კომიტეტში, რეგიონული მასშტაბის სემინარების, რეგიონული ვიზიტების ჩატარება, ქსელების შექმნის ხელშეწყობა.
ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის განხორციელება *გაერო-ს განვითარების პროგრამა*	202 460 2004-06	<u>ბენეფიციარი:</u> ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ეკონომიკური განვითარების სამინისტროში იმ განყოფილების გაძლიერება, რომელიც ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის დროულ განხორციელებაზე მუშაობს. <u>კომპონენტები:</u> სამოქმედო გეგმისა და საკომუნიკაციო სტრატეგიის მომზადების ხელშეწყობა.
სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისთვის შინამეურნეობათა კომპლექსური კვლევის ჩატარებაში დახმარება *გაერო-ს განვითარების პროგრამა*	194 000 2004-07	<u>ბენეფიციარი:</u> სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> შინამეურნეობათა კომპლექსური და რაოდენობრივი კვლევის ჩატარება. <u>კომპონენტები:</u> სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში ტრენინგისა და შესაძლებლობათა განვითარების ხელშეწყობა.
ადამიანებით ტრეფიკინგის თავიდან აცილება, II ფაზა *მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია*	278 000 2004-06	<u>ბენეფიციარი:</u> შინაგან საქმეთა სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> საინფორმაციო კამპანიების მოწყობა. <u>კომპონენტები:</u> თბილისში, გურჯაანსა და ქუთაისში ცხელი ხაზებისა და საკონსულტაციო ცენტრებისთვის დახმარების გაწევა.
დახმარების გაწევა Conciliation Resources-ის პროგრამისთვის, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოსა და აფხაზეთში მხარეებს შორის სამშვიდობო დიალოგის ხელშეწყობას	68 000 2005-07	<u>ბენეფიციარი:</u> აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებით დაინტერესებული მხარეები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> პოლიტიკურ და სამოქალაქო ლიდერებს შორის დიალოგის ხელშეწყობა და ახალგაზრდულ ჯგუფებს შორის კონფლიქტთან დაკავშირებული ცოდნის გავრცელების მხარდაჭერა. <u>კომპონენტები:</u> სემინარების და ვიზიტების, მაგალითად, ჩრდილოეთ ირლანდიაში ვიზიტების, მოწყობა, სხვადასხვა ახალგაზრდული ჯგუფების ერთობლივი შეხვედრებისა და დისკუსიების ორგანიზება.

სატრასტო ფონდი, რომლის დანიშნულებაა ნდობის აღდგენა *საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისია*	99 000 2006	<u>ბენეფიციარი:</u> აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებით დაინტერესებული მხარეები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ნდობის აღდგენისკენ მიმართული ინიციატივების ხელშეწყობა. <u>კომპონენტები:</u> არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობა, აგრეთვე, მცირე ინფრასტრუქტურული ერთეულებისა და ა.შ. რეაბილიტაცია და აღდგენა.
სამხრეთ ოსეთში საჭიროებათა შეფასება *ეუთო*	50 000 2005-06	<u>ბენეფიციარი:</u> კონფლიქტების მოგვარების სფეროში სახელმწიფო მინისტრის აპარატი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> სოციალური რეაბილიტაციისა და ეკონომიკური განვითარების საკითხის შესწავლის ხელშეწყობა საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში. <u>კომპონენტები:</u> რეგიონების განვითარების, საწარმოებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა ენერგეტიკის, ფინანსებისა და სოციალურ სფეროებში.
RSO-1-ის თანადაფინანსება მსოფლიო ბანკთან ერთად *მსოფლიო ბანკი*	4,0 მილიონი 2005	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს ხელისუფლება. <u>ძირითადი ამოცანები:</u> საქართველოს ხელისუფლებისთვის დახმარების გაწევა რეფორმების პროგრამის განხორციელებაში. <u>კომპონენტები:</u> (1) საჯარო სექტორის გაძლიერება, (2) ელექტროენერგიისა და გაზის მოწოდების გაუმჯობესება, (3) კერძო სექტორის განვითარება და (4) სოციალური დაცვის, ჯანდაცვისა და განათლების სისტემების გაუმჯობესება.

პოლონეთი

ზოგადი ინფორმაცია

საქართველო ერთ-ერთი პრიორიტეტული ქვეყანაა განვითარების სფეროში თანამშრომლობის პოლონეთის პროგრამისთვის. 2006 წელს პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განზრახული აქვს 3 მილიონი ზლოტის (750 000 ევრო) გამოყოფა საქართველოსთვის განვითარების სფეროში ოფიციალური დახმარების სახით. პრიორიტეტული სფეროებია:

- ადგილობრივი მმართველობის განვითარებაში პოლონეთის გამოცდილების გაზიარება;
- ეკონომიკური განვითარების დაგეგმვა და მართვა;
- სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმირება, კანონმდებლობის შემუშავების ჩათვლით, ეუთო-სთან თანამშრომლობით;
- ყოფილი სამხედროების ხელახალი ინტეგრირება სამოქალაქო საზოგადოებაში;
- ეროვნული პოლიციის დახმარება, მათ შორის, ტრენინგი, აღჭურვილობის გადაცემა და თანამშრომლობა პოლიციის აკადემიებს შორის;
- ტექნიკური დახმარების გაწევა საქართველოს პარლამენტისთვის;
- სოფლის მეურნეობა;
- გარემო;
- ენერგეტიკა.

ინფორმაცია განხორციელების შესახებ

პოლონეთის მიერ ზემოთ ჩამოთვლილ სფეროებში გაწეულ დახმარებას ახორციელებენ არასამთავრობო ორგანიზაციები და დარგობრივი მინისტრები. პოლონეთის მონაწილეობა სხვა დონორების – ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნების – მიერ განხორციელებულ ქმედებებში განვითარების სფეროში განხილვის პროცესშია. პოლონეთი ასევე შეიძლება შეუერთდეს ისეთ მრავალმხრივ პროგრამებს, რომელთა მიზანია პოსტკონფლიქტურ ზონებში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება და იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრირება საზოგადოებაში, ანდა ითანამშრომლოს გაერო-ს მსოფლიო სასურსათო პროგრამასთან, რომელიც დახმარებას უწევს საქართველოს ყველაზე დაუცველ მოსახლეობას.

2004-2005 წლებში პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თანადაფინანსება გაუწია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ საქართველოში განხორციელებულ 8 პროექტს განვითარების სფეროში. ამისათვის მან გამოყო 800 000 ზლოტი (200 000 ევრო). ზემოხსენებული პროექტები ეხებოდა ჯანმრთელობის დაცვას, ადგილობრივი მმართველობის განვითარებას, სახელმწიფო მართვის განვითარებას, სქესთა თანასწორობას, განათლებასა და ჟურნალისტიკას.

შვედეთი

ზოგადი ინფორმაცია

შვედეთის მიერ საქართველოსთვის დახმარების გაწევა დაიწყო ჰუმანიტარული დახმარების ფორმით, რომელიც ქვეყანას თავდაპირველად მოეწოდებოდა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო საზოგადოებათა ფედერაციის მეშვეობით. განვითარების სფეროში გრძელვადიანი თანამშრომლობა 1992 წელს დაიწყო. შვედეთის ხელშეწყობა ეფუძნებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებში მიღებულ გამოცდილებას. ინიციატივათა უმრავლესობა განახორციელეს შვედეთის ორგანიზაციებმა, რომლებმაც წარმატებით იმუშავეს ამ სფეროში ბალტიისპირეთის ქვეყნებში, რუსეთსა და უკრაინაში. მთელ რიგ შემთხვევებში დაქირავებული ექსპერტები ამ პარტნიორი ქვეყნებიდან შვედ კოლეგებთან ერთად მუშაობდნენ. ამის შედეგად შესაძლებელი გახდა შედარებით მეტი პროექტის წამოწყება რთულ ვითარებაში განვითარების სფეროში თანამშრომლობის გზების ძიების მიზნით.

ინფორმაცია განხორციელების შესახებ

2003-2005 წლებში რეგიონულმა სტრატეგიამ სამხრეთ კავკასიაში მეტი აქცენტი გადაიტანა საქართველოზე სომხეთსა და აზერბაიჯანთან შედარებით. ეს ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როცა შვედეთმა იგრძნო, რომ მას მხარი უნდა დაეჭირა ახალი მთავრობისთვის დემოკრატიის მშენებლობის გზაზე. საქართველოში თავისი საქმიანობის გაფართოების მიზნით შვედეთის საერთაშორისო განვითარებაში თანამშრომლობის სააგენტომ 2004 წლის მარტში თბილისში გახსნა ოფისი. შესაბამისად, 2004 წელს ფინანსური დახმარება გაიზარდა და 30 მილიონი შვედური კრონა (3,3 მილიონი ევრო) შეადგინა, 2005 წელს თანხა კიდევ უფრო გაიზარდა და 4,3 მილიონ ევროს მიაღწია. სამხრეთ კავკასიაში 2006-2009 წლებში თანამშრომლობის ახალი სტრატეგიის მიხედვით დაგეგმილია საქართველოსთან თანამშრომლობის გაორმაგება და, სავარაუდოდ, სტრატეგიული პერიოდის ბოლოსთვის წლიურად გამოყოფილი თანხა დაახლოებით 11 მილიონ ევროს მიაღწევს.

2004-2005 წლებში შვედეთის დახმარება საქართველოსთვის, უპირველეს ყოვლისა, მიმართული იყო დემოკრატიული მმართველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისკენ. ყველაზე მნიშვნელოვან დახმარებას წარმოადგენდა მმართველობის რეფორმის პროგრამების, ომბუდსმენის სისტემის, გენდერული პროექტების, მიწათმოწყობისა და რძის პროდუქტების წარმოებასთან დაკავშირებული პროექტების ხელშეწყობა.

გაერო-ს განვითარების პროგრამასა და სოროსის ფონდთან ერთად მმართველობის რეფორმირების პროგრამისათვის შვედეთის მიერ გაწეულმა დახმარებამ შედეგად მოიტანა მთავრობის მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა და მონაწილეობა რეფორმასთან დაკავშირებულ ინიციატივებში. მთავრობის მაღალჩინოსნების ხელფასები, რომლებსაც ადრე პროექტი აფინანსებდა, დაგეგმილზე ადრე იქნა ჩართული ცენტრალურ ბიუჯეტში. პროექტის დარჩენილი თანხები გადაეცა ამავე პროგრამის შესაძლებლობათა განვითარების ფონდს სამინისტროებში რეფორმების მხარდაჭერის მიზნით.

2004-2005 წლებში განხორციელებულმა კანონის უზენაესობის მისიამ EUJUST THEMIS ტექნიკური დახმარება გაუწია საქართველოს ძირითად სამთავრობო დაწესებულებებს ევროპელი იურისტ-ექსპერტების მივლინების მეშვეობით (ერთი შვედი ექსპერტი).

გარდა ამისა, 1999-2005 წლების განმავლობაში სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს რეგულარულად იწვევდნენ შვედეთის საერთაშორისო განვითარებაში თანამშრომლობის სააგენტოს ტრენინგის საერთაშორისო პროგრამებში. შვედეთი აფინანსებს, აგრეთვე, გაერო-ს განვითარების პროგრამაში პროგრამის უმცროსი ოფიცრის თანამდებობას.

შვედურმა ინსტიტუტმა განახორციელა სტიპენდიების პროგრამები განათლებისა და კვლევის სფეროებში და დააფინანსა, აგრეთვე, განათლების, კვლევისა და კულტურის სფეროებში ექსპერტთა გაცვლის პროგრამები.

პროექტების მიმოხილვა

პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	**პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა**	**ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით**
ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში ერთობლივი მოქმედების სამინისტროთაშორისო კომისიისთვის დახმარების გაწევა *„იუნისეფი საქართველო„*	2,8 მილიონი შვედური კრონა (300 000 ევრო) 2005 -08	<u>ბენეფიციარი:</u> სამინისტროთაშორისო კომისია. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ხელისუფლების შესაძლებლობის გაძლიერება, მოახდინოს რეფორმების პროცესის კოორდინირება სახელმწიფო და კერძო მხარეებს შორის და უზრუნველყოს ტექნიკური დახმარება სამინისტროთაშორისო კომისიისთვის. <u>კომპონენტები:</u> ქვეყნის კოორდინატორის, ასისტენტისა და სხვადასხვა შესაბამის სფეროში რამდენიმე ექსპერტის გამოგზავნა, სხვადასხვა შესწავლისა და კვლევის წარმოება კომისიის სტრატეგიული გადაწყვეტილებებისთვის საინფორმაციო საფუძვლის უზრუნველსაყოფად; ხელისუფლების წარმომადგენელთა შესაძლებლობების განვითარება სასწავლო ვიზიტების მეშვეობით და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ტრანსფორმირების ხელშეწყობის მიზნით.
საქართველოში გაერო-ს სახელმძღვანელო პრინციპების გავრცელება და ადამიანის უფლებათა სფეროში განათლების დამკვიდრება *ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო*	3,9 მილიონი შვედური კრონა (420 000 ევრო) 2005-08	<u>ბენეფიციარი:</u> იძულებით გადაადგილებული პირები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების უკეთესი გათვითცნობიერება და ამ უფლებების განხორციელების ხელშეწყობა; იძულებით გადაადგილებულ პირებს, ხელისუფლების ადგილობრივი და ცენტრალური ორგანოების მოხელეებს, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებით დაინტერესებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს ჩაუტარდებათ ტრენინგი სახელმძღვანელო პრინციპებში და საქართველოს კანონმდებლობის საკითხებში. <u>კომპონენტები:</u> განათლება თეატრალიზებულ წარმოდგენებში მონაწილეობის მეშვეობით; შიდს-ი/აივ და გენდერული საკითხები; შემწყნარებლობის ხელშეწყობა; თანამშრომლობა და თანაგრძნობა კონფლიქტების ტრანსფორმირების ცნებების სწავლების გზით; კრიტიკული აზროვნება და კულტურათაშორისი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები.
კონფლიქტის თავიდან აცილებისა და ინტეგრაციის პროგრამა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში *ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარი*	6,6 მილიონი შვედური კრონა (720 000 ევრო) 2005-08	<u>ბენეფიციარი:</u> სომხური უმცირესობა სამცხე-ჯავახეთში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> სამცხე-ჯავახეთში ეთნიკური დაძაბულობის შემცირება და დახმარების გაწევა კონფლიქტის წარმოშობის ისეთი პოტენციური ფაქტორების ნეიტრალიზებაში, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს დაძაბულობის ესკალაცია; ქართულ საზოგადოებაში სამცხე-ჯავახეთში მოსახლეობის უმრავლესობის — სომხური უმცირესობის — პოლიტიკური და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა. <u>კომპონენტები:</u> ქართულ საზოგადოებაში სომხური უმცირესობის პოლიტიკური და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა.

რძისა და რძის პროდუქტების წარმოების სექტორის ხელშეწყობა საქართველოში *OPTO International AB*	39 მილიონი შვედური კრონა (4,3 მილიონი ევრო) 2003-06	<u>ბენეფიციარი:</u> გლეხები კახეთსა და ცხინვალში/სამხრეთ ოსეთში. <u>ძირითადი ამოცანები:</u> რეგიონებში სიღარიბის შემცირება კახეთსა და ცხინვალში (სამხრეთ ოსეთი) მცირე და საშუალო ზომის მეურნეობებში რძისა და რძის პროდუქტების წარმოებით დაკავებული ქალებისა და მამაკაცებისათვის შემოსავლის გაზრდის მეშვეობით. ეს გაკეთდება კახეთსა და ცხინვალში მცირე და საშუალო ზომის მეურნეობებში რძისა და რძის პროდუქტების სტაბილური წარმოების განვითარებით და საქართველოში რძისა და რძის პროდუქტების სტაბილური ბაზრების შექმნით. <u>კომპონენტები:</u> კახეთსა და ცხინვალში მცირე და საშუალო ზომის მეურნეობებში რძისა და რძის პროდუქტების სტაბილური წარმოების განვითარება და საქართველოში რძისა და რძის პროდუქტების სტაბილური ბაზრების შექმნა.
სახელფასო დანამატის ფონდი მმართველობის რეფორმირების პროგრამისათვის *გაერო-ს განვითარების პროგრამა საქართველოში* (შეწყდა, ვინაიდან მთავრობამ მოახერხა, მთლიანად საკუთარ თავზე აეღო სახელმწიფო მოხელეთათვის ხელფასების უზრუნველყოფა).	8,0 მილიონი შვედური კრონა (860 000 ევრო) 2004-07	<u>ბენეფიციარი:</u> ფინანსთა სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> საჯარო სამსახურის რეფორმირებასა და კორუფციასთან ბრძოლაში საქართველოს ახალი ხელისუფლების მხარდაჭერა იმ ფონზე, როდესაც საზოგადოების მოლოდინი რეალური ცვლილებებისა დიდია, ხოლო დრო წარმატების მისაღწევად - ძალზე შეზღუდული. <u>ძირითადი კომპონენტები:</u> საგადასახადო დეპარტამენტში მაღალი რგოლის საჯარო მოხელეებისათვის ხელფასების უზრუნველყოფაში დახმარება სამწლიანი პერიოდის განმავლობაში, რაც ხელისუფლებას მისცემს შესაძლებლობას, შეინარჩუნოს კომპეტენტური პროფესიონალები რეფორმის პროცესის სამართავად და უზრუნველყოფს ბარიერებს კორუფციისთვის.
პოლიტიკურ მეცნიერებათა თბილისის სკოლა - კონფერენციები დემოკრატიის თემაზე - 3 ფაზა *შვედეთის საერთაშორისო საქმეთა ინსტიტუტი Utrikespolitiska Institutet*	3,2 მილიონი შვედური კრონა (340 000 ევრო) 2001-06	<u>ბენეფიციარი</u>: პოლიტიკურ მეცნიერებათა თბილისის სკოლა. <u>ძირითადი ამოცანები/კომპონენტები:</u> I და II ფაზები: პოლიტიკურ მეცნიერებათა თბილისის სკოლისთვის დახმარების გაწევა დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების თემაზე შვედი ექსპერტების მონაწილეობით კონფერენციების ჩატარებით, 2001 წლის ივნისი/ნოემბერი. III ფაზა: საქართველოში და მთელს რეგიონში დემოკრატიის თემაზე საჯარო დებატების ხელშეწყობა პოლიტიკურ მეცნიერებათა თბილისის სკოლისთვის საქართველოსა და შვედეთში სემინარების ჩატარებაში დახმარების გაწევით; სემინარები ჩატარდება დემოკრატიულ პროცესებთან და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემაზე. სემინარებში შვედი ექსპერტები მიიღებენ მონაწილეობას.

ქალთა რესურს-ცენტრი სამცხე-ჯავახეთში *გაერო-ს განვითარების პროგრამა საქართველოში*	5,0 მილიონი შვედური კრონა (540 000 ევრო) 2003-06	ბენეფიციარი: ქალთა რესურს-ცენტრი სამცხე-ჯავახეთში. ძირითადი ამოცანები: კონფლიქტის პოტენციალის შესუსტება ადგილობრივი მმართველობის, სიღარიბის დაძლევისა და საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში რეგიონებში მცხოვრები ქალების აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობის გზით. კომპონენტები: სამცხე-ჯავახეთის რაიონში ქალთა რესურს-ცენტრის დაარსება და ხელშეწყობა გაერო-ს განვითარების პროგრამის უფრო ფართო პროგრამის — სამცხე-ჯავახეთის ერთიანი განვითარების პროგრამის — ნაწილის სახით.
რძის პროდუქტების წარმოების პროექტი – ძროხიდან მომხმარებლამდე *Scanagri (ყოფილი SwedeAgri)*	10 მილიონი შვედური კრონა (1,1 მილიონი ევრო) 2000-05	ბენეფიციარი: რძის პროდუქტების წარმოება საქართველოში. ძირითადი ამოცანები: საქართველოში რძის პროდუქტების წარმოების განვითარებისა და აღდგენის ხელშეწყობა; ერთ სულ მოსახლეზე მოხმარების გაზრდა; უსაფრთხო (დამუშავებული) რძის მიწოდება მომხმარებელთათვის; ხორციელდება პროექტის კოორდინირება „თეთრალავალის" საინვესტიციო პროექტთან „საქართველოში რძის პროდუქტებისა და წვენების წარმოების პროექტი". კომპონენტები: 1) გლეხების/რძის მწარმოებლების ტრენინგი და მათი შესაძლებლობების განვითარება; 2) ცოდნის გადაცემა გადაწყვეტილებათა მიმღები პირებისა და საზოგადოებრივი ლიდერებისათვის.
ქალები საქართველოში – 1-ლი და მე-2 ფაზები *Kvinna till Kvinna*	16 მილიონი შვედური კრონა (1,8 მილიონი ევრო) 1999-06	ბენეფიციარი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ძირითადი ამოცანები: თავისი წვლილის შეტანა კადრების განვითარებაში; საქართველოში ჯანდაცვის ახალი, თანამედროვე სისტემის საჭიროებათა დაკმაყოფილება. ძირითადი კომპონენტები: ძირითადი პერსონალის ტრენინგი სამ მთავარ სფეროში. ეს სფეროებია: საზოგადოებრივი ჯანდაცვა/პირველადი ჯანდაცვა, საავადმყოფოების მართვა და სამედიცინო აპარატურის ტექნიკური მართვა და მოვლა-შენახვა; ტრენინგის მეცადინეობები და სემინარები შვედეთსა და საქართველოში.
რეგისტრაციისა და კადასტრის მართვის და ხელშეწყობის პროექტი *SwedeSurvey*	21 მილიონი შვედური კრონა (2,3 მილიონი ევრო)	ბენეფიციარი: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იუსტიციის სამინისტრო. ძირითადი ამოცანები: კომპიუტერული სისტემის შემოღება მონაცემთა ბაზების მართვის ცენტრებისთვის. კომპონენტები: რაიონულ ოფისებთან მონაცემთა გაცვლის პროცედურების დაარსება; ყველა დონის პერსონალის ტრენინგი და მართვის თანამედროვე მეთოდების შემოღება.

სახალხო დამცველის სამსახურის გაძლიერება - 3 ფაზა *რაულ ვალენბერგის სახელობის ინსტიტუტი*	19 მილიონი შვედური კრონა (1,8 მილიონი ევრო) 1998-06	<u>ბენეფიციარი:</u> სახალხო დამცველის სამსახური. <u>ძირითადი ამოცანა:</u> საქართველოში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ცოდნისა და პატივისცემის დამკვიდრების ხელშეწყობა. პროექტი გაერო-ს განვითარების პროგრამის უფრო ფართო ინიციატივის ნაწილია. <u>კომპონენტები:</u> ტრენინგი ადამიანის უფლებების სფეროში სახალხო დამცველის სამსახურის პერსონალისთვის; ადამიანის უფლებების სფეროში ბიბლიოთეკის დაარსება; ადამიანის უფლებების სფეროში არსებული დოკუმენტაციისა და ტრენინგის მასალების თარგმნა და გამოქვეყნება; სახალხო დამცველის სამსახურში მართვის კომპიუტერიზებული სისტემის დაყენება.
მივლინება საქართველოში ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიაში *შვედეთის სახელმწიფო ბრალმდებელი (RÅ)*	1,7 მილიონი შვედური კრონა (190 000 ევრო) 2004-05	<u>ბენეფიციარი:</u> გენერალური პროკურატურა. <u>ძირითადი ამოცანა:</u> საქართველოში ევროკავშირის კანონის უზენაესობის ერთწლიანი მისიის ხელშეწყობა. მისიის ამოცანაა კანონის უზენაესობის დამყარებასა და კორუფციის შემცირებაში მონაწილეობის მიღება. დაუყოვნებელი ამოცანაა დახმარების გაწევა ისეთი ჰორიზონტალური სამთავრობო სტრატეგიის შემუშავებაში, რომელიც უხელმძღვანელებს რეფორმების პროცესს სისხლის სამართლის სექტორში; ამ დახმარებაში შედის საკოორდინაციო მექანიზმის შექმნა და სისხლის სამართლის სისტემის რეფორმისათვის პრიორიტეტების დასახვა. <u>კომპონენტები:</u> შვედეთის სახელმწიფო ბრალმდებლის მივლინება გენერალურ პროკურატურაში.
განათლება აივ/შიდსთან დაკავშირებულ და გენდერულ საკითხებში *ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო*	3,0 მილიონი შვედური კრონა (340 000 ევრო) 2003-05	<u>ბენეფიციარი:</u> არასამთავრობო ორგანიზაციები. <u>ძირითადი ამოცანა:</u> მონაწილეობა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფასეულობათა დამკვიდრებასა და განმტკიცებაში; გადაადგილებულ პირებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის მშვიდობისა და ტოლერანტობის დამკვიდრების ხელშეწყობა. <u>კომპონენტები:</u> შემდგომი ტრავმებისგან დაცვა; იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯგუფებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის დაძაბულობის შემცირება; მასწავლებლებისთვის ისეთი სახელმძღვანელოს შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს და უფრო ეფექტიანს გახდის სწავლებას ადამიანის უფლებების სფეროში.
პენიტენციური სისტემის რეფორმის მოსამზადებელი კვლევა *შვედეთის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის ადმინისტრაცია*	184 000 შვედური კრონა (20 000 ევრო) 2005	<u>ბენეფიციარი:</u> იუსტიციის სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანა:</u> საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარეობს რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს სისტემის დაახლოებას ევროპულ სტანდარტებთან. არსებობს წინადადება საქართველოს, ესტონეთსა და შვედეთს შორის სამმხრივი თანამშრომლობის შესახებ. განხორციელდება მოსამზადებელი ვიზიტი საქართველოში, რათა შემუშავდეს წინადადება და სამუშაო გეგმა აღნიშნულ სამმხრივ თანამშრომლობასთან დაკავშირებით. <u>კომპონენტები:</u> ხანმოკლე კვლევა.

გაერთიანებული სამეფო

ზოგადი ინფორმაცია

გაერთიანებულმა სამეფომ და საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობა 1992 წელს დაამყარეს და მას შემდეგ გაერთიანებული სამეფო გახდა საქართველოს ერთ-ერთი აქტიური მეგობარი და პარტნიორი, რომელიც ეხმარება ქვეყანას, მაგალითად, ადამიანის უფლებების, კარგი მმართველობისა და კანონის უზენაესობის სფეროების განვითარებასა და დამკვიდრებაში.

თანამშრომლობა განვითარების სფეროში წარმოადგენს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის (DFID) პასუხისმგებლობას. ეს არის ბრიტანეთის მთავრობის დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობაზე. საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტს სურს ისეთ მთავრობებთან თანამშრომლობა, რომლებიც ცდილობენ საერთაშორისო მიზნების მიღწევას, და პარტნიორობა ისეთ ბიზნესებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და კვლევით დაწესებულებებთან, რომლებიც იღვწიან პროგრესისა და სიღარიბის დაძლევისათვის. გარდა ცალკეული ქვეყნების ორმხრივ საფუძველზე დონორობისა, განვითარების სფეროში დეპარტამენტის დახმარების 43% უზრუნველყოფილია ისეთი მრავალმხრივი სააგენტოების მეშვეობით, როგორიც არის, მაგალითად, მსოფლიო ბანკი, გაერო-ს სააგენტოები და ევროკომისია.

2006 წელს გაერთიანებული სამეფო გაიღებს 500 000 გირვანქა სტერლინგს (710 000 ევრო) აფხაზეთისა და ოსეთის კონფლიქტების მოგვარების მიმდინარე სამუშაოებისთვის კონფლიქტების პრევენციის საერთაშორისო ფონდის (GCPP) მეშვეობით. საერთაშორისო შესაძლებლობათა ფონდის (GOF) დახმარებით გაერთიანებული სამეფო მხარს უჭერს დემოკრატიის მშენებლობას და ადამიანის უფლებათა დამკვიდრებას.

ინფორმაცია განხორციელების შესახებ

საქართველო ერთ-ერთი ძირითადი ქვეყანაა სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, რომელშიც საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი თავის საქმიანობას ახორციელებს. დეპარტამენტის ბიუჯეტი პროგრამული სამუშაოებისთვის 2005-2006 წლებში შეადგენს 3 მილიონ გირვანქა სტერლინგს (4,3 მილიონი ევრო). აღნიშნული თანხა გამოყოფილია შემდეგი საქმიანობებისთვის:

ჯანმრთელობის დაცვა და კეთილდღეობა

2003 წლის ოქტომბერში საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტმა დაიწყო პირველადი ჯანდაცვის მე-2 პროექტი, რომელსაც საფუძვლად დაედო საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის მიერ ჯანმრთელობის დაცვის სექტორისთვის ადრე გაწეული დახმარება. მსოფლიო ბანკმა, ევროკავშირის პროგრამა „ტასისმა", საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტმა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ხელი მოაწერეს მემორანდუმს პარტნიორობის შესახებ პირველადი ჯანდაცვის რეფორმის სფეროში. საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას შემდეგი მიმართულებებით: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საორგანიზაციო განვითარება და ინსტიტუციური გაძლიერება, პირველადი ჯანდაცვის დანერგვა, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის დაფინანსების გაუმჯობესება, ჯანდაცვის მართვის საინფორმაციო სისტემა, ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა.

სტაბილური საცხოვრებელი პირობები

2005 წლის ოქტომბერში საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტმა წამოიწყო პროექტი SLAAR („სტაბილური საცხოვრებელი პირობები ადიგენის და მეზობელ რაიონებში"), რომელსაც საფუძვლად უდევს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის მიერ სამცხე-ჯავახეთის რეგიონისთვის წინა წლებში გაწეული დახმარება. საქმიანობა პროექტის ფარგლებში გაფართოვდება და ხელს შეუწყობს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას სამცხე-ჯავახეთის ექვსივე რაიონში. პროექტი დახმარებას გაუწევს რეგიონული განვითარების გეგმის შემუშავებას და გააუმჯობესებს სოციალურ-ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას ფინანსური და იურიდიული მომსახურების, ტრენინგის, მცირე გრანტებისა და სხვა შესაძლო დახმარების მეშვეობით.

კარგი მმართველობა

ტექნიკური დახმარება ფინანსთა სამინისტროს – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის მოკლევადიანი ტექნიკური დახმარების გაწევა დაიწყო 2004 წლის იანვარში შუალედური ხარჯების დაგეგმვის სქემის (MTEF) ხელშეწყობით. საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი კვლავაც გააგრძელებს

სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის მხარდაჭერას. აღნიშნული დახმარება საქართველოსათვის განხორციელდება სახელმწიფო სექტორის რეფორმის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, რომელსაც დააფინანსებენ მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი, ჰოლანდიისა და შვედეთის მთავრობები.

სტატისტიკის დეპარტამენტისთვის დახმარების გაწევა – პროექტი დაიწყო 2000 წელს. იგი სტატისტიკის დეპარტამენტს დაეხმარა სოციალური სფეროს სტატისტიკის გაუმჯობესებაში. ჩატარდა შინამეურნეობათა კვლევა. ჩამოყალიბდა სიღარიბის შეფასებისა და მონიტორინგის სწრაფი ინდიკატორები. უზრუნველყოფილი იქნა, აგრეთვე, ტრენინგი თანამშრომლებისთვის, აღჭურვილობა, მიგრაციის გაუმჯობესებული სისტემა, ჯანმრთელობისა და განათლების სტატისტიკა და დახმარება პრესისა და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებისთვის. სტატისტიკის დეპარტამენტის თხოვნით საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი განახორციელებს დამატებით ცხრათვიან პროგრამას.

მოქალაქეთა რეგისტრაციისა და იდენტიფიკაციის რეფორმისთვის დახმარების გაწევა – სხვა დონორებთან ერთად, საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის პროექტს თავისი წვლილი შეაქვს სამოქალაქო რეესტრის რეფორმის პროექტის I ფაზაში და საფუძველს უყრის მოქალაქეთა რეგისტრაციის სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას ადეკვატური საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის და სამართლებრივი ბაზის შემუშავების, აგრეთვე, საზოგადოების ინფორმირების გზით.

სკოუპინგის მისია – საქართველოს მთავრობის მრჩეველი ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელებასა და პოლიტიკაში – პროექტი დახმარებას უწევს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს ევროპასთან ინტეგრირების სტრატეგიის ჩამოყალიბებაში, საქართველოს მთავრობის სხვადასხვა სამინისტროებში პოლიტიკის თანმიმდევრულობის შეფასებაში, დონორთა საქმიანობის კოორდინირებასა და უფრო ფართო სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფაში.

დახმარების გაწევა საქართველოს კონტროლის პალატისთვის – პროექტმა დახმარება გაუწია საქართველოს მთავრობას კორპორატიული განვითარებისა და რეორგანიზაციის განხორციელების გეგმის ხუთწლიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებასა და დამტკიცებაში.

საქართველოს ხელისუფლებისთვის სუვერენული საკრედიტო რეიტინგის მოპოვებაში დახმარების გაწევა - საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის პროექტმა ზოგადად საქართველოს მთავრობას, კერძოდ კი ფინანსთა სამინისტროს დახმარება გაუწია სუვერენული საკრედიტო რეიტინგის მოპოვებაში, რაც კიდევ ერთი ინდიკატორია ქვეყნის განვითარების შეფასებისას.

საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის სტრატეგიული ფონდი

ფონდის მიზანია მცირე სტრატეგიული ინიციატივების განხორციელება და მთავრობისგან, სხვა დონორებისგან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიდან, მათ შორის ქვეყანაში არსებული სასწავლო ორგანიზაციებიდან და კერძო სექტორიდან, წამოსულ წინადადებებზე რეაგირება.

სამომავლო საქმიანობა

საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი მომავალშიც გააგრძელებს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის დახმარების გაწევას. საერთაშორისო მრჩეველი უზრუნველყოფს კონსულტაციებს სტრატეგიის შემუშავებაში, პარლამენტსა და სამოქალაქო საზოგადოებაში როლების, პასუხისმგებლობის, შიდა კოორდინირებისა და კომუნიკაციის საკითხებში.

საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი ხელს შეუწყობს ევროპაში ინტეგრირებასთან დაკავშირებულ დიალოგში სამოქალაქო სექტორის მონაწილეობას სამხრეთ კავკასიის რეგიონის საჯარო პოლიტიკის შემქმნელ ორგანიზაციებში შესაძლებლობების გაუმჯობესების, ადგილობრივი კანონმდებლობის და პოლიტიკის ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზების ხელშეწყობის და სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის ჟურნალისტების მიერ მომზადებული სტატიებისა და სამაუწყებლო პროგრამების დახმარებით ჟურნალისტებისა და მოსახლეობის მიერ მიზნობრივი პოლიტიკური საკითხების უკეთ გაგების მიზნით.

სახელმწიფო ფინანსებზე ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის სფეროში საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი და შვედეთის საერთაშორისო განვითარებაში თანამშრომლობის საგენტო ხელს შეუწყობენ სამოქალაქო საზოგადოების ჩართვას სახელმწიფო ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებში და დაეხმარებიან მთავრობას სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიზნით გაწეული სახელმწიფო დანახარჯების შესახებ ანგარიშგების გაუმჯობესებაში.

პროექტების მიმოხილვა

პროექტის სახელწოდება და განმახორციელებელი ორგანიზაცია	პროექტის ღირებულება € ხანგრძლივობა	ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით
DFID		
საქართველოში პირველადი ჯანდაცვის II პროექტი *Oxford Policy Management (OPM)*	5 მილიონი გირვანქა სტერლინგი (7,1 მილიონი ევრო) 2003 – 2008	<u>ბენეფიციარი:</u> შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ღარიბი მოსახლეობისთვის ძირითადი სოციალური მომსახურების უზრუნველყოფის ეროვნული და ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარება; სამინისტროს ინსტიტუციური შესაძლებლობის გაძლიერება; სამინისტროსთვის დახმარების გაწევა პირველადი ჯანდაცვის რეფორმის კოორდინაციასა და რეფორმისთვის გამოყოფილი შიდა და გარე რესურსების მართვაში.
სტაბილური საცხოვრებელი სახსრები ადიგენისა და მეზობელ რაიონებში - გაგრძელება (SLAAR2EP) *Care International*	2,6 მილიონი გირვანქა სტერლინგი (3,7 მილიონი ევრო) 2005-2008	<u>ბენეფიციარები:</u> სამცხე-ჯავახეთის რეგიონის შინამეურნეობები, ხელისუფლების ადგილობრივი და ცენტრალური ორგანოები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> რაიონში/რეგიონში ადგილობრივი ხელისუფლების მონაწილეობით და პასუხისმგებლობით სოციალური და ეკონომიკური დახმარებების შემოსაღებად გეგმების შემუშავების ხელშეწყობა; იმის უზრუნველყოფა, რომ შემუშავდეს რაიონის/რეგიონის განვითარების გეგმები და ეს გეგმები შესაბამისობაში იყოს ქვეყნის განვითარების გეგმებთან; როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება შიდა და გარე რესურსების მართვის მიზნით; სხვა დონორებისა და საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებისთვის მოწოდება, მოახდინონ განვითარების სფეროში საკუთარი გეგმებისა და საქმიანობის ჰარმონიზება.
ფინანსთა სამინისტროსთვის ტექნიკური დახმარების გაწევა *Enterplan*	165 000 გირვანქა სტერლინგი (240 000 ევრო) 2006	<u>ბენეფიციარი:</u> ფინანსთა სამინისტრო. <u>ძირითადი ამოცანები:</u> სამინისტროში შუალედური ხარჯების დაგეგმვის სქემის (MTEF) დანერგვის პროცესის ხელშეწყობა.
საჯარო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმის ხელშეწყობის პროექტი (PSFMRSP) *ფინანსთა სამინისტრო*	3 მილიონი გირვანქა სტერლინგი (4,3 მილიონი ევრო) 2006– 2010	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს ხელისუფლება. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ეფექტიანი და გამჭვირვალე ფინანსური მართვის ხელშეწყობა, გაუმჯობესება ხელისუფლების შესაძლებლობისა, დაგეგმოს და განახორციელოს ბიუჯეტი და სახელმწიფო ბიუჯეტს და რესურსების განაწილებას საფუძვლად დაუდოს პოლიტიკა [განვითარების ეროვნული გეგმა]; მონაწილეობა კორუფციასთან ბრძოლაში კონტროლის პალატისა და სახელმწიფო ხარჯებზე პასუხისმგებელი სხვა მექანიზმების ხელშეწყობით.
სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა სახელმწიფო ფინანსების ხარჯვაზე ანგარიშვალდებუ-ლებისა და მისი გამჭვირვალობის უზრუნველყოფის პროცესში კონკურსის საფუძველზე	400 000 გირვანქა სტერლინგი (570 000 ევრო) 2006-2008	<u>ბენეფიციარი:</u> ფინანსთა სამინისტრო, სამოქალაქო საზოგადოება. <u>ძირითადი ამოცანები:</u> მმართველობის გაძლიერება და სიღარიბის შემცირება სახელმწიფო რესურსების მართვის ეფექტიანობის, ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების გზით.

სტატისტიკის დეპარტამენტისთვის დახმარების გაწევა *Hart Group*	80 000 გირვანქა სტერლინგი (110 000 ევრო) 2006-2007	<u>ბენეფიციარი:</u> სტატისტიკის დეპარტამენტი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> შინამეურნეობათა კვლევის შემდგომი ხელშეწყობა, ინსტიტუციური თვალსაზრისით გაძლიერება, ურთიერთობა მომხმარებლებთან და ტრენინგი სხვადასხვა სფეროში.
დახმარების გაწევა მოქალაქეთა რეგისტრაციისა და იდენტურობის დადგენის პროცესის რეფორმისთვის – I ფაზა *ეუთო* *იუსტიციის სამინისტრო*	269 000 გირვანქა სტერლინგი (370 000 ევრო) 2005-2006	<u>ბენეფიციარი:</u> იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს ყველა მოქალაქე. <u>ძირითადი ამოცანები:</u> მოქალაქეთა რეგისტრაციის ელექტრონული, ერთიანი, ცენტრალიზებული და მრავალი ფუნქციის მქონე სისტემის შექმნა, რათა ქვეყანას მიეცეს შესაძლებლობა, იქონიოს ინფორმაცია მოსახლეობის შესახებ, რომელიც აუცილებელია საჯარო მომსახურების უზრუნველსაყოფად.
სკოუპინგის მისია – მრჩეველი საქართველოს ხელისუფლებისთვის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და მთელს ხელისუფლებაში პოლიტიკის თანმიმდევრულობის სფეროებში *HTSPE Limited*	32 660 გირვანქა სტერლინგი (46 000 ევრო) 2006	<u>ბენეფიციარი:</u> ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის დახმარების გაწევა ევროპასთან ინტეგრაციის სტრატეგიის შემუშავებაში; საქართველოს ხელისუფლების სხვადასხვა სამინისტროს (რომლებსაც ეხებათ ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის, ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამისა და სხვა ეროვნული სტრატეგიებისა და განვითარების გეგმების განხორციელება) პოლიტიკის შეფასება, დონორთა საქმიანობის კოორდინირება და ამ პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების უფრო ფართო მონაწილეობა.
საქართველოს კონტროლის პალატისათვის დახმარების გაწევა *Enterplan*	50 000 გირვანქა სტერლინგი (71 000 ევრო) 2005 - 2006	<u>ბენეფიციარი:</u> კონტროლის პალატა. <u>ძირითადი ამოცანები:</u> კონტროლის პალატის რეორგანიზაციის გეგმის შემუშავება.
საქართველოს ხელისუფლებისთვის დახმარების გაწევა სუვერენული საკრედიტო რეიტინგის მოპოვებაში *S&P*	78 000 გირვანქა სტერლინგი (110 000 ევრო) 2005	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს ხელისუფლება. <u>ძირითადი ამოცანები:</u> სუვერენული საკრედიტო რეიტინგის მოპოვება საინვესტიციო კლიმატის გასაუმჯობესებლად; პოზიტიური ზემოქმედება პოლიტიკასა და ხელისუფლებაზე.
ევროპული ინტეგრაციის საკითხებზე დიალოგში სამოქალაქო სექტორის მონაწილეობის ხელშეწყობა *ფონდი „ევრაზია"*	104 000 გირვანქა სტერლინგი (150 000 ევრო) 2006-2007	<u>ბენეფიციარი:</u> საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სამოქალაქო საზოგადოებები და ხელისუფლებები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> სამხრეთ კავკასიაში ეროვნული კანონმდებლობებისა და პოლიტიკის ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზების ხელშეწყობა; ჟურნალისტებისა და საზოგადოების მიერ ამ სფეროში არსებული პოლიტიკის გაგების გაუმჯობესება; სამხრეთ კავკასიის რეგიონში თანამშრომლობის ურთიერთობების დამყარება და გაღრმავება.

სტრატეგიული ფონდი	300 000 გირვანქა სტერლინგი (430 000 ევრო) 2005-2008	<u>ბენეფიციარები:</u> სხვადასხვა. <u>ძირითადი ამოცანები:</u> ახალგაზრდებისა და საზოგადოებრივი ლიდერებისთვის დახმარების გაწევა ცვლილებების მართვაში, კორუფციასთან ბრძოლის საქმიანობაში პარლამენტისა და საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობა; ქვეყანაში და მთელს რეგიონში ევროპულ სამეზობლო პოლიტიკასა და ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესზე მუშაობის ხელშეწყობა; ადგილობრივი ექსპერტებისა და პროფესიონალებისთვის დახმარების გაწევა ანალიზის გაუმჯობესებასა და ტაქტიკის ინფორმაციაზე დაყრდნობით შემუშავებაში.
GCPP-ის დაფინანსება		
ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დაძლევისა და მშვიდობის დამყარების ხელშეწყობა *Conciliation Resources*	200 000 გირვანქა სტერლინგი (285 000 ევრო) 2006	<u>ბენეფიციარები:</u> სხვადასხვა. <u>ძირითადი ამოცანები:</u> დახმარების გაწევა აფხაზეთში II სამოქალაქო საზოგადოებაზე მიმართული ე.წ. "არაოფიციალური" დიპლომატიის შემუშავებაში კონფლიქტის მოგვარების ხელშესაწყობად.
სამოქალაქო ინიციატივების მეშვეობით მოსახლეობის უსაფრთხოების ხელშეწყობა *International Alert*	64 776 გირვანქა სტერლინგი (93 000 ევრო) 2006	<u>ბენეფიციარები:</u> სხვადასხვა. <u>ძირითადი ამოცანები:</u> აფხაზეთში მოსახლეობის უსაფრთხოების ხელშესაწყობად სამოქალაქო საზოგადოებაში ცოდნის გავრცელება და სამუშაოების ჩატარება.
ეთნიკური დაძაბულობის შესუსტება მოვლენების პასუხისმგებლობაზე დამყარებული გაშუქების მეშვეობით *Thomson Foundation*	45 000 გირვანქა სტერლინგი (64 000 ევრო) 2006	<u>ბენეფიციარები:</u> სხვადასხვა. <u>ძირითადი ამოცანები:</u> მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში არსებული კონფლიქტური სიტუაციების პასუხისმგებლობაზე დამყარებული, სამართლიანი, ზუსტი და დაბალანსებული გაშუქების უზრუნველყოფა.
სამხრეთ ოსეთის ეკონომიკის რეაბილიტაციის ხელშეწყობა *ეუთო*	125 000 გირვანქა სტერლინგი (193 000 ევრო) 2006	<u>ბენეფიციარები:</u> სხვადასხვა. <u>ძირითადი ამოცანები:</u> დახმარების გაწევა ეუთო-ს ინიციატივისთვის, რომელიც მიმართულია სამხრეთ ოსეთში მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისკენ, კონფლიქტის მოგვარების მიმდინარე მცდელობების ხელშეწყობის მიზნით.
რეგიონული მედიის ხელშეწყობა *BBC World Service Trust*	44 740 გირვანქა სტერლინგი (64 000 ევრო) 2006	<u>ბენეფიციარები:</u> სხვადასხვა. <u>ძირითადი ამოცანები:</u> მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ უპირატესად სომხებით დასახლებულ ტერიტორიებზე საკითხების პასუხისმგებლობაზე დამყარებული, სამართლიანი, ზუსტი და დაბალანსებული გაშუქების უზრუნველყოფა.
GOF-ის დაფინანსება		
ხელისუფლების ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა: პარლამენტის მაჟორიტარ წევრთა ტრენინგი *Transparency International*	161 000 გირვანქა სტერლინგი (230 000 ევრო) 2005-2008	<u>ბენეფიციარები:</u> პარლამენტის მაჟორიტარი წევრები. <u>ძირითადი ამოცანები:</u> პარლამენტის მაჟორიტარ წევრთა მუშაობის ხელშეწყობა ტრენინგის მეშვეობით; მათი როლისა და ამომრჩეველთა წინაშე პასუხისმგებლობის გათვითცნობიერებაში დახმარება პარლამენტის წევრთა ოფისების პერსონალის ტრენინგისა და ხელშეწყობის გზით.

ანგარიში
ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის შესახებ

2005

ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში

ნინო ჩხეიძის 38, თბილისი 0102, საქართველო
ტელ.: (995 32) 94 37 68
ელ-ფოსტა: DELEGATION-GEORGIA@ec.europa.eu

www.delgeo.ec.europa.eu